საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№26 (308)

15 - 21 ივლისი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru



## აკრძალული სიმართლე და «სიძულვილის ენა»

MDF
მედიის განვითარების ფონდი
4

## «დასავლეთს საქართველოს დახმარება არ ძალუძს» 5



„2008 წლის ომის დროსაც ბევრს ეგონა, რომ შავ ზღვაში ჩვენი პარტნიორების გემებს ვიხილავდით და ისინი საომარ მოქმედებებში ჩაერთვებოდნენ, მაგრამ ომი ჩვენი ბიჭების დაღუპვითა და ტერიტორიების დაკარგვით დამთავრდა“



8

## «უსუფაშვილმა ქართველ ამომრჩეველს დასცინა»

მამა გურამი (გამცემლიძე):

## საქართველოს არ სჭირდება ისეთი «მეგობრები», რომლებიც კოლონიად გადაგვაქცევენ... 7



## დასაქმებული ღარიბების ქვეყანა 6



«მოდის, არჩევნები მოდის!»

## მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგი 14



შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ალტერნატივა

2 «მცოცავი ანექსია რუსეთის პასუხია საქართველოს პოლიტიკაზე»

საქართველოს საპატრიარქომ იუნესკოს მიმართა 2

ჩინეთისა და რუსეთის უარი დოლარის გამოყენებაზე აშშ-ს ფინანსური კრახით ემუქრება 3

9 «თავდაცვის მინისტრი პროვოკაციას აწყობს»

10 «სტალინისა და დავით აღმაშენებლის ძეგლები ძველ ადგილას უნდა დავაბრუნოთ!»

11 შავი ზღვის «ქართულ აკვატორიას» თურქი მეზღვაურები დაეპატრონნენ

12 «ქალაქი პროფესიონალებმა უნდა ააშენონ»

18 პროკურატურის საყურადღებოდ!

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გლდანში აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაშავდა



**გლდანში, მე-6 მიკრორაიონში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთაგან ერთი ქალია, მეორე — მამაკაცი, დაშავებულია კიდევ 4 პირი. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.** აფეთქება გლდანში, მე-6 მიკრორაიონში, №2 საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულზე მოხდა. შემთხვევის შედეგად სამი სართულის კედლები დაზიანდა. მიმდებარე კორპუსებში ჩამსხვრეულია მინები. ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, აფეთქების შედეგად დაშავებული ორი გოგონას მდგომარეობა კრიტიკულია.



# საქართველოს საპატრიარქომ იუნესკოს მიმართა

**საქართველოს საპატრიარქო იუნესკოს სთხოვს, ზედამხედველობა დააწესოს იმ ტერიტორიებზე არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, რომლებსაც საქართველო ვერ აკონტროლებს. გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) ყოვლად მიუღებლად შეაფასა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის ხაზის გადმოწევა.**

“რაც შეეხება სამაჩაბლოს ტერიტორიაზე არსებულ ჩვენს ეკლესია-მონასტრებს, სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, თირის მეთხუთმეტე საუკუნის უნიკალური ფრესკები ნაწილობრივ დაზიანდა. გადაკეთდა ცხინვალის ღვთისმშობლის ეკლესიაც. ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულება სირცხვილია ნებისმიერი საზოგადოებისთვის. როგორც ვიცით, აღნიშნულმა ფაქტებმა ცხინვალის ინტელიგენციაშიც უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია, რაც გვაძლევს იმედს იმისას, რომ საშიშროება, რომელიც, სავარაუდოდ, ემუქრებოდა სხვა ქართულ ტაძრებსაც (იკორთა, პარმა, ყანჩაეთი, გომართა), რეალობად არ იქცევა. ამასთანავე, ჩვენ ვთხოვთ იუნესკოს, დაგვეხმარონ, ჩვენ მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე არსებულ ეკლესია-მონასტრებზე ზედამხედველობა გასწიონ, რათა მსგავსი ქმედებები აღიკვეთოს“, — განაცხადა მეუფე ანდრიამ.

# ემზარ კვიციანი ირაკლი ალასანიას: ბატონო ირაკლი, რატომ ჩააბარეთ კოდორის ხეობა მტერს?

**კოდორის ყოფლი რწმუნებულის პოსტი 2004 წლის დეკემბერში აფხაზეთის იმჟამინდელი ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის — ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით გაუქმდა. „რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება, პირადად ვუთხარი ირაკლის. რამდენად სწორი ვიყავი მე, ეს ცხოვრებამ გვიჩვენა“, — განაცხადა კოდორის ყოფილმა რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა.**

„ჩვენ ახლა ეკონომიკურად მოვაძლიერებთ ხეობას, გზებს გავაკეთებთ, ინფრასტრუქტურას შევქმნით, ჯარსაც შევიყვანთ...“ და ჯარი რომ ახსენა, გავაჩერე და ვუთხარი, — თუ ხელშეკრულების გაუქმებამდე ჯარის შეყვანას აპირებ, გამოდის, ხეობის ჩაბარება აქვს გადაწყვეტილი ხელისუფლებას-მეთქი. გამორიცხულია, მე აქ არ ვარო?! ვუთხარი, მის ნაცვლად ოდესმე სხვა რომ დანიშნონ, მაშინ ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი ხეობაზე? —მე ვიქნებიო, — გამიმეორა. ამიტომ ვეკითხები ყოველთვის, როცა ამის საშუალება მეძლევა: ბატონო ირაკლი, რატომ ჩააბარეთ კოდორის ხეობა მტერს?

**ირაკლი ალასანია** ისე მიიყვანეს, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი. ოქრუაშვილი „მონადირის“ მოსასპობად, ხოლო ალასანია — გუბერნიის. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ირაკლი ალასანია და ირაკლი ოქრუაშვილი ჯგუფელები ყოფილან და არამხოლოდ ეს ორი. როგორც გაირკვა, მთელი ჯგუფი ჩართული იყო კოდორის ხეობის გასხვისებაში და შემდგომ, მიხეილ სააკაშვილთან ერთად — მთელი ქვეყნის გასხვისებაში. კოდორის ხეობა ჩაბარდა, გაეროში მაშინ ვინ იყო ჩვენი წარმომადგენელი? — ირაკლი ალასანია. გაერომ რა? — უბრალოდ, დაბურძგლა და სულ ეს იყო“, — განაცხადა ემზარ კვიციანმა.



# რატომ უშლის ხელს საქართველოს ხელისუფლება რუსეთში გამგზავრების მსურველთათვის ვიზების გაცემას

**საქართველოდან რუსეთში წამსვლელთათვის წელიწადში, საშუალოდ, 25 ათასი ვიზა ფორმდება, უფრო მეტიც გაიცემოდა, მაგრამ ამას ხელს საქართველოს ხელისუფლება უშლის, როგორც ჩანს, ამერიკელების შიშით. რას მოუტანს საქართველოს დასავლეთის დაკრულზე ცეკვა და ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფა, ძნელი მისახვედრი არ არის, თანაც იმ ფონზე, როდესაც რუსეთის პირველმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგის დაწყების წინააღმდეგი არ არიან.**

საქართველო რუსეთს ნებას არ აძლევს, გაზარდოს თბილისში, შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის სექციის პერსონალის რაოდენობა, — განუცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრიგორი კარასინმა** საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“.

„ჩვენ არსებითად გავაფართოვეთ ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც რუსეთში კერძო და საოჯახო საქმეების გამო შედიან, აგრეთვე, ჰუმანიტარული, სპორტული, კულტურული და საქმიანი კონტაქტების ფარგლებში. წელიწადში, საშუალოდ, 25 ათასი ვიზა ფორმდება. უფრო მეტიც გაიცემოდა, მაგრამ თბილისში ჩვენი სექციიის მცირერიცხოვანი პერსონალი ფიზიკურად ვერ უმკლავდება დამატებითი მოცულობის სავიზო სამუშაოებს. კიდევ ორი თანამშრომლის გაგზავნის უფლებას კი საქართველო არ გვაძლევს“, — განაცხადა კარასინმა.

2008 წლიდან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში შუამავლის როლს თამაშობს შვეიცარიის საელჩო, რომელშიც რუსეთის სექციაა გახსნილი.



# ირაკლი ღარიბაშვილი: ამ ეტაპზე რუსეთთან დიალოგის ფორმატის გადახედვა ან გაფართოება არ იგეგმება

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვიცეპრემიერ კახა კალაძის განცხადების კომენტირებისას განაცხადა: „ამ ეტაპზე არ იგეგმება არავითარი ფორმატის გაფართოება. ის ფორმატი, რომელიც ჩვენ გვაქვს, დარჩება. მეორე ფორმატი არის ჟენევის დისკუსიები. ასე რომ, არ ვაპირებთ ამ ეტაპზე რაიმე ფორმატის გადახედვას ან გაფართოებას!“**



ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ პოლიტიკური მიმართულებით რუსეთთან მძიმე ურთიერთობა გვაქვს და საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. მისი თქმით, აბაშიძე-კარასინის ფორმატი ამ მიმართულებით სამუშაოდ შეიძლება არ გამოდგეს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მოვიფიქროთ სხვა ფორმატი, ურთიერთობების დალაგება რომ მოვახერხოთ. კალაძის განცხადების თანახმად, სახელისუფლო გუნდში აუცილებლად იქნება ახალი ფორმატის შექმნაზე საუბარი.

# სოსო ცინცაძე: მცოცავი ანექსია რუსეთის პასუხია საქართველოს პოლიტიკაზე



**რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალურ ავტომაგისტრალთან ახლოს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვა „მოულოდნელი სენსაცია“ არ ყოფილა პოლიტოლოგ სოსო ცინცაძისთვის. მისი შეფასებით, მომხდარი არის რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის შედეგი. რა საპასუხო ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ — ამ საკითხზე პოლიტოლოგი სააგენტო „რეპორტიორს“ ესაუბრა:**

„არის ორი ვარიანტი: პირველი — ერთი შეხედვით სწორი, მაგრამ ნულოვანი ეფექტით და მეორე — შეიძლება არაპოპულარული ზოგიერთისთვის, მაგრამ ეფექტიანი. პირველი ეს არის, რასაც გვირჩევენ ჩვენი ამერიკელი მეგობრები და ევროპელი პოლიტიკოსები, რომ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დავაყენოთ ეს საკითხი. ეს სასაცილო მოსაზრებაა, ეს ცინიზმია! ვინც ამას გვირჩევს, ძალიან კარგად იცის, რომ ამ ნაბიჯის ეფექტი არის ნულოვანი. ეს არის მხოლოდ საჯარო განცხადებები, რომ გმობენ რუსეთის ქმედებებს და აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთისთვის ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. მეორე — ეფექტიან ვარიანტს რაც შეეხება, ეს არის რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება. მცოცავი ანექსია თავისებური გზავნილია, დიპლომატიური მესიჯებია, რომ, თუ საქართველო კვლავ განაგრძობს ასეთ პოლიტიკას, ღიად გამალიზიანებელ პოლიტიკას იმავე ნატოს მიმართ, რუსეთიც განაგრძობს ამგვარ ქმედებებს, ამიტომ აუცილებელია დიალოგი!“ — განაცხადა სოსო ცინცაძემ.

# გია ხუხაშვილი: რესპუბლიკელებს იმაზე მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე საზოგადოების მხარდაჭერა



**პრემიერმინისტრის ყოფილი მრჩეველმა, ექსპერტმა გია ხუხაშვილმა „რუსთავი 2“-თან საუბრისას განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტისთვის ბრძოლაში რესპუბლიკელები დამარცხებისთვის არიან განწირული და, თუ მაინც ბრძოლას მაინც განაგრძობენ, „კოალიციაში საბედისწერო პრობლემები შეექმნებათ.“**

„ჩვენ ჯერჯერობით ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, რომელშიც მენტალურად ჩაბეტონებულია განცდა, რომ, ვინც აკონტროლებს ძალოვან სტრუქტურებს, ის აკონტროლებს ძალაუფლებას. მესმის, რომ რესპუბლიკელებს აქვთ განცდა, ტორტის მორიგი ნაჭერი მიიღონ, მაგრამ ყელზე დაადგება ნებისმიერ პარტიას. იმიტომ, რომ ეს მათ მისცემთ ძალაუფლებას, რომლის გამოყენებასაც ვერ შეძლებენ და ცუდად დაასრულებენ. ვინც ივაჭრებს ამ კუთხით, ის წააგებს. კოალიციაში შემავალ არც ერთ პარტიას არ აქვს იმის ლეგიტიმაცია, რომ ძალოვან სტრუქტურებზე ხელი მიუწვდებოდეთ. მათ იმაზე მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე საზოგადოების მხარდაჭერის კუთხით გააჩნიათ“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკელთა 56% თვლის, რომ აშშ-ის კონგრესი უმაქნისია



**აშშ-ის კონგრესის იმიჯს კიდევ ერთხელ დაარტყა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა. კომპანია Rosmussen Reprts-მა ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანი აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს მიმართ ამერიკელთა ნდობის შეფასება იყო.** გამოკითხულთა მხოლოდ 13% თვლის აშშ-ის კონგრესის მუშაობას დამაკმაყოფილებლად, **56% კი დარწმუნებულია, რომ აშშ-ის კონგრესი უმაქნისია.** გამოკითხული ამერიკელების 14%-ის აზრით, კონგრესმენებს კიდევ ერთი ვადით პატიოსანი კენჭისყრით ირჩევენ, **64% კი თვლის, რომ არჩევნებს ყოველთვის აყალბებენ.** გამოკითხულთა **51%** ნეგატიურად აფასებს პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** მოღვაწეობას, **62%** — აშშ-ის **დემოკრატიულ პარტიას**, კიდევ უფრო მეტს აქვს უარყოფითი დამოკიდებულება **რესპუბლიკური პარტიის** მიმართ — **72%-ს.**



## რონ პოლი: ჩინეთისა და რუსეთის უარი დოლარის გამოყენებაზე აშშ-ს ფინანსური კრახით ემუქრება

**აშშ-ს ისეთივე ეკონომიკური კრიზისი ემუქრება, როგორიც საბერძნეთშია, თუკი დოლარი, როგორც სარეზერვო ვალუტა, გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება, — წერს ამერიკელი პოლიტიკოსი, წარმომადგენელთა პალატის წევრი, 1988 წელს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი რონ პოლი.**

„აშშ-ს მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი ელის, თუკი ქვეყნები საერთაშორისო ოპერაციების განხორციელებისას უარს იტყვიან დოლარზე. **შეერთებულ შტატებს ისეთივე პრობლემები აქვს, როგორიც საბერძნეთს — სოციალური უზრუნველყოფაზე მეტისმეტი დანახარჯები და სუბსიდიები. ამას გარდა, აშშ ასტრონომიულ თანხებს ხარჯავს შეიარაღებაზე. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტის მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯება მოსახლეობის დაცვაზე გარე საფრთხეებისგან, მილიარდობით დოლარი კი ხმარდება იმპერიულ საგარეო პოლიტიკას, რომლის გამოც ამერიკელები თითქმის დაუცველნი არიან.**




საბერძნეთის კრიზისი გვიჩვენებს პერსპექტივას, რას უნდა ველოდოთ, თუკი არ შევწყვეტთ და არ აღვადგენთ მდგრად ფულად სისტემას. სწორედ დოლარის, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის, სტატუსმა მისცა საშუალება აშშ-ს, თავი აერიდებინა დიდი ეკონომიკური კრიზისისთვის, მაგრამ ახლა ამერიკულმა ვალუტამ შეიძლება ვეღარ შეინარჩუნოს პოზიციები.

**რუსეთი და ჩინეთი უკვე აღარ იყენებენ დოლარს საერთაშორისო ოპერაციებში. სხვა ქვეყნების მიერ დოლარზე, როგორც სარეზერვო ვალუტაზე, უარის თქმა დროის საკითხია და, როდესაც ეს მოხდება, „ბერძნული სტილის კატასტროფა“ გარდაუვალი იქნება“,** — ასკვნის რონ პოლი.



## ფინიონ კანინგემი: კინკლაობა ევროკავშირში აშშ-ის ანტირუსულ გეგმებს საფრთხეს უქმნის

**აშშ ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, არ დაუშვას ანტირუსული ბლოკის დაშლა ევროკავშირში და ყველაფერს აკეთებს, რათა საბერძნეთმა ევროზონა არ დატოვოს, თუმცა მას საბერძნეთის მომავალი სულაც არ ადარდებს, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი ფინიონ კანინგემი გამოცემა Strategic Culture Foundation-ის ვებგვერდზე.**

„აშშ-ს რაც აღელვებს, არის ის, რომ ევროპაში კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით დიდი გეოპოლიტიკური რყევები: კერძოდ, ევროკავშირში დაწყებულმა კინკლაობამ შეიძლება დაანგრიოს ვაშინგტონის მიერ გულმოდგინედ შემუშავებული ანტირუსული გეგმები, რომლებშიც გაერთიანებული ევროპა მნიშვნელოვან როლს თამაშობს აშშ-ისთვის.

**ევროკავშირის სხვა წევრქვეყნებზე საბერძნეთის ფინანსური კრიზისის გავრცელება განხეთქილებას შეიტანს პოლიტიკურ ბლოკში და ძირს გამოუთხრის აშშ-ის სტრატეგიას ევროპისგან რუსეთის იზოლაციაზე. თვით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალსაც კი შეიძლება საფრთხე დაემუქროს, თუ ევროკავშირში ფინანსური კრიზისი კონტროლს აღარ დაექვემდებარება.**

ევროპის ცენტრალური ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განკვეთილი საბერძნეთი, იმისათვის, რომ თავი გადაირჩინოს, შეიძლება შებრუნდეს რუსეთის, ჩინეთისა და ბრიჩსის ჯგუფის ქვეყნებისკენ. ამაზე ფიქრიც კი საშინელებაა აშშ-ისთვის. სწორედ ამიტომ პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია ცდილობს, აიძულოს გერმანია, შეამსუბუქოს თავისი პოზიცია საბერძნეთის სახელმწიფო ვალის მიმართ.

რუსეთის იზოლაციის გეოპოლიტიკური მიზანი აშშ-ის აიძულებს, გერმანიას დაუპირისპირდეს. ვაშინგტონს სურს, გერმანიამ მიიღოს დარტყმა ევროკავშირის ერთიანობის შესანარჩუნებლად. თავის მხრივ, გერმანია — ევროპის მთავარი კრედიტორი — ძალიან ბევრს დაკარგავს, თუკი საბერძნეთს ვალებს ჩამოაწერენ“, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი.



## ბულგარეთის პრემიერმა აღიარა, რომ მის ქვეყანას სუვერენიტეტი არ აქვს

**ბულგარეთის მთავრობის მეთაური ბოიკო ბორისოვი იმედოვნებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს მალე გააუქმებენ.**



„დღეს სანქციების დროა. სანქციები დაწესებულია, ერთი მხრივ, რუსეთის მიმართ, მეორე მხრივ, რუსეთმა თვითონ დაუწესა კონტრსანქციები ევროკავშირს. ამ ვითარებაში ყველა წაგებულია. **სანქციებით ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იხეირებს. ბულგარეთმა, როგორც ნატოს წევრმა ქვეყანამ, მხარი დაუჭირა სანქციებს, მაგრამ ამის გამო ძალიან ბევრს კარგავს**.

სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის, აგრეთვე, ტურიზმის დიდი ნაწილი დაკავშირებულია რუსეთთან, ამიტომ ჩვენ დიდ დანაკარგებს განვიცდით. რა თქმა უნდა, ეს ვითარება აღელვებს რუსეთის ხელმძღვანელობასაც. შემთხვევითი არ იყო პრეზიდენტ პუტინის მკვეთრი გამონათქვამები ბულგარეთის მიმართ. მას ჰქონდა ამის საფუძველი. შედეგად, **ჩვენ აღმოვჩნდით უდანაშაულო დამნაშავის როლში, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სურვილი, მით უმეტეს მიზანი, არ გვქონია, რუსეთსა და ბულგარეთს შორის ურთიერთობა გაცივებულიყო. ღმერთს ვევედრები, რომ დიდმა უფროსებმა ერთმანეთში საქმე მალე მოაგვარონ და სანქციები გაუქმდეს“,** — განაცხადა ბულგარეთის პრემიერმა.

**«ჩვენ აღმოვჩნდით უდანაშაულო დამნაშავის როლში, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სურვილი, მით უმეტეს მიზანი, არ გვქონია, რუსეთსა და ბულგარეთს შორის ურთიერთობა გაცივებულიყო. ღმერთს ვევედრები, რომ დიდმა უფროსებმა ერთმანეთში საქმე მალე მოაგვარონ და სანქციები გაუქმდეს»**



## მაკკეინმა უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს დებილები უწოდა

**ამერიკელმა სენატორმა, რუსოფობმა ჯონ მაკკეინმა ინტერნეტგამოცემა rbc.ru-ისთვის („როსბიზნესკონსალტინგი“) მიცემულ ინტერვიუში უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს დებილები უწოდა.**

ჟურნალისტ ჟანა ნემცოვას შეკითხვაზე — რას ფიქრობს მუკაჩევოს ინციდენტზე (დასავლეთ უკრაინის ამ ქალაქში 11 ივლისს დაჯგუფება „მემარჯვენე სექტორის“ ბოევიკებმა სროლა აუტეხეს სამართალდამცველებს, დაიღუპა 3 და დაიჭრა 10 ადამიანი — რედ.), მაკკეინმა განაცხადა: **„თქვენ ჩემგან რუსეთის დადანაშაულებას ელით? ამჯერად — არა! კიევმა დაუშვა ის, რაც არ უნდა დაეშვა, ამ დებილების ნდობა არ შეიძლება“.** შეკითხვაზე: რა უნდა გააკეთოს კიევმა? მაკეინმა უპასუხა: **„სკოლაში კარგად უნდა ისწავლო!“**



ჩევრიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა დასავლეთის პროპაგანდას ისეთი არსებები ეწევიან, როგორიც არიან მიხეილ სააკაშვილი, თეა თუთბერიძე, ბექა მინდიაშვილი, ქეთა გაბიანი, მიხეილ თავხელიძე და სხვები, ასეთი დასავლეთი უფასოდაც აღარავის უნდა!**
**„ნაცების“ „გამპრავებლებო“! როცა შემდეგ „ანგარიშს“ მოამზადებთ, ეს ფრაგმენტი არ გამოგრჩეთ, როგორც „ინდივიდუალური შუღლის“, ქსენოფობიისა და ძალადობისკენ მოწოდების მაგალითი! თქვენს დასავლელ პატრონებს კი გადაეცით, რომ თქვენი წყალობით დიდ მონაპოვარი მიიღეს: ამდენი ფული იმაში დახარჯეს, რომ დასავლეთის მიმართ ლოიალურად განწყობილ საქართველოს საბოლოოდ შეაძულეს თავი!**

# აკრძალული სიმართლე და «სიძულვილის ენა»

**საქართველო ის ქვეყანაა, რომელშიც მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლების სიძულვილია დაშვებული, სხვა — ნებისმიერი უმცირესობით დაწყებული და თვით მრავალმილიონიანი თურქეთით დასრულებული, მზრუნველობისა და დაცვის ობიექტად არის გამოცხადებული.**

MDF
მედიის განვითარების ფონდი

ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ უმცირესობების უფლებებზე გაერთიანებული ერების უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის „ჩრდილოვანი“ ანგარიში წარადგინა. მხოლოდ ერთი კვირის – 16-22 მარტის — განმავლობაში **ამ ხუთმა დამაშვრალმა უფლებადამცველმა არასამთავრობომ ათეულობით დარღვევა აღმოუჩინა ქართულ მედიას: „სიძულვილის ენა — 2; ინდივიდუალური შუღლის გაღვივება — 3; ძალადობის წახალისება — 3; ქსენოფობია — 4; თურქოფობია — 1; ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება — 1; რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია — 1; ჰომოფობია — 5; სექსიზმი, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია — 3; ანტიდასავლური განწყობები – 27.**

ასე განსაჯეთ, სიძულვილის ენის გამოვლენა ყოფილა: **„სირცხვილია, სასამართლო სისტემას ჰყავდეს ურთმელიძის მსგავსი გონებაშეზღუდული და მონა მოსამართლე“** ან **„ამ ავად სახსენებელმა კოჰაბიტაციამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ავადმყოფი „ნაციონალები“ აქციას აანონსებენ“.**

ახლა ჩემს ადგილზე ვინმე ჩასაფრებული ანტინაცი რომ იყოს, ხომ ჰკითხავდა ამ „ანგარიშის“ ავტორებს — **რატომ არ უთქვამთ არასოდეს, რომ სიძულვილის ენაა მართლმადიდებლების „ბნელებად“ გამოცხადება და პატრიარქზე სოციალურ ქსელში „მე მიყვარს ჩემი გეი პატრიარქის“ გვერდის დაანონსება** ან — **„ყველანი ციხეში“**, ან **„სულს ამოგხდით!“ და სხვა მრავალი, რითაც 9 წლის განმავლობაში „გვანებივრებდნენ“ „ნაციონალთა“ ბელადები?** ის ბელადები, რომელთა მიმართაც „ინდივიდუალური შუღლის გაღვივების“ გამო დღეს ასე ჭმუნავენ „უფლებადამცველები“. აი, ამის ორი მაგალითიც: **„დღეს ქართველ ხალხში მისადმი (მიხეილ სააკაშვილი) და მისი თანამზრახველებისადმი საყოველთაო ზიზღი და სიძულვილია“. „დიახ, უგულავა, რომელსაც ბლოგების წერა კი არა, უკანალში მეტრანახევრიანი ცოცხის ტარი უნდა ჰქონდეს გარჭობილი, დღეს თავისუფალია“!**

ეს ინდივიდუალური შუღლის გაღვივებაა თუ შეფასება? **ვინც სხვას ცოცხებს ურჭობდა ან თუნდაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წამახალისებელი იყო, იმას სიტყვითაც არ უნდა აკადრო, რასაც იმსახურებს?** თუმცა ამ ყველაფერს საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს და იქამდეც მივალთ, ახლა კი ისევ „ანგარიშს“ მივუბრუნდეთ.

ძალადობის წახალისება ყოფილა: **„საკუთრებაში ვინმე შემოვა და შეურაცხყოფას მიაყენებს ჩემს საკუთრებას, იქვე დავმარხავ!“**

**არასამთავრობოებო, ნაცისტების ზეობისას საკუთრება დაცული იყო, ძალადობა სულ არ იყო წახალისებული და საპროცესო გარიგების ხარჯზე წართმეული მილიონებით არ „გულაობდნენ“ თქვენი დაცვის დღევანდელი ობიექტები?**

ძალადობის წახალისება ყოფილა: „მე ნამდვილად არ შემეცოდება, თუ რომელიმე ნასყიდ ნაცაცქვიტიას 21 მარტს, თავად „ნაცები“ გააგორებენ... როცა საქართველოს უჭირდა, ქართველი კაცი თოხს და ნამგალს გვერდზე დებდა და ხელში ხმალს იღებდა! თუ ხელისუფლება „ნაცებს“ არ გაასამართლებს, მაშინ ამას ქართველი ხალხი გააკეთებს სახალხო სასამართლოთი“. მაშ, **სასამართლო ძალადობის წახალისებაა? დიახ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა გასამართლების პერსპექტივა ნაცლიდერებს ემუქრებათ და არა მაშინ, როცა მათი ჯიბის სასამართლო მკვლელებს სიმბოლურ სასჯელს აკმარებდა, ხოლო არასრულწლოვანს სამაგალითოდ სჯიდა 10-წლიანი პატიმრობით!**

ახლა — **ქსენოფობიაში „მხილება“:** „სულ მინდოდა, მეკითხა, რომ, ქალბატონო ეკა [გიგაური], როგორ მოგიბრუნდათ ხელი ასეთი საჩივრის [საკონსტიტუციო სარჩელი მიწის უცხოელებზე გასხვისების აკრძალვის ანტიკონსტიტუციურად ცნობის შესახებ] დასაწერად, ჩვენ ხომ ცოტა ხანში, ქართველები, მიწის გარეშე დავრჩებით“. **როდის აქეთ არის ფაქტის კონსტატაცია ქსენოფობია?**

აი, კიდევ ერთი „ქსენოფობიური“ განცხადება: „რაც შეეხება ფაქტს, არაბი, რომელიც ქართულ მიწას ოდითგანვე დახარბებული იყო, დღეს მზადაა, ქართველებზე ორჯერ მეტი თანხა ჩაუცუროს ხელისუფლებას და საბოლოოდ გაბატონდეს, დომინანტი გახდეს ამ მიწაზე. ეს მისი ისტორიული ოცნებაა... უბედურება ისაა, რომ სათავეში გვიზის ტიპური მეხუთე კოლონა.. თორემ ქვეყანას, რომელიც თავის დროზე მურვან ყრუმ და ბუღა თურქმა ვერ გატეხეს, ძუნძგლიანი „ინვესტორი“ რას დააკლებდა“. **ტყუილია ეს? თუ სიმართლეა, ამ სიმართლის თქმა აკრძალულია?**

„ქსენოფობების“ რიგში საპატიო ადგილი თქვენს მონამორჩილსაც ერგო ამ ციტატისთვის: **„საქართველოს ყველა კუთხეში ნახავ ნაირნაირი ჯურის ადამიანებს. ქართველები კი უცხოეთში გარბიან და იქ ეძებენ საარსებო წყაროს. მიწები უცხოელების ხელში გადადის და ისედაც გაზარმაცებული გლეხობა მოჯამაგირეობისთვის არის განწირული“, — ეს თუ ქსენოფობიაა, მაშინ სიმართლეს რაღა ჰქვია?**

თურქოფობია საგანგებოდ არის ცალკე გამოყოფილი: „რადგანაც აქეთ პირდაღებული თურქეთია, რომელსაც ნახევარი საქართველო ჰყავს გადაყლაპული და დღესაც პირდაფჩენილი შემოგვყურებს, ნამდვილად საჭიროა ურთიერთობა რუსეთთან, რადგანაც გარდაუვალია ომი, გარდაუვალი“. თითქოს ამხელა ქვეყანას და მის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას საქართველოში ამ ციტატამ შეიძლება ზღვარი დაუწესოს! ალბათ, **ამის შიში აქვთ „ანგარიშის“ ავტორებს“, თორემ თურქებისთვის ბათუმისა და თბილისის აეროპორტების გადაცემა (თავის აჭარიან-აღმაშენებლის გამზირიანად – საფლავში ამობრუნდა დიდი დავითი!) მათ არასდროს უჩენდა „გონივრულ ეჭვს“! თურქეთი დაიცავით, უფლებადამცველებო, „დიდი ოსმალეთის“ ფაქტობრივ აღდგენას საფრთხე რომ არ შეექმნას!** და კიდევ: **დარღვევები თურქულ პრესას დაუთვალეთ, რომელიც თურქეთის ლიდერების დაუფარავ პანთურქულ განცხადებებს ყოველდღიურად ავრცელებს!**

ამ ხუთ არასამთავრობოს სწორედ სიმართლეს ტკენს თვალებს. ისინი პირდაპირ აბეზღებენ «ამერიკელ ხალხთან» ქართულ მედიას, ქართველ პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას. «ნაციონალური მოძრაობის» ეს ადვოკატები სრულიად საქართველოს ებრძვიან, პატრიოტიზმი მათთვის საქილიკო თემაა. უსამშობლო არსებები (სიძულვილის ენა არ გეგონოთ, ჩემი შეფასებაა, თუ არა — გამოვიდნენ და სამშობლო დაიფიცონ!) ამ დაბეზღებაში კარგა გვარიან ფულსაც შოულობენ «ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით»


თამარ კინწურაშვილი


გიორგი ტუღუში


ბექა მინდიაშვილი


გიგა ზედანია

ეთნიკური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითების მაგალითი „ანგარიშში“ ასე გამოიყურება: „მას შემდეგ, რაც ბაქოელი სომხების ორმა ნაშიერმა — სააკოვმა და კასპაროვმა — აშშ-ს უკრაინისთვის იარაღი ვერ გამოსძალეს, სააკაშვილის ყოფნამ უკრაინაში პრეზიდენტთან არსებული რეფორმების საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელის პოსტზე ყოველგვარი აზრი დაკარგა“.

**მამაცხონებულებო, ის მაინც გეთქვათ, სააკაშვილისა და კასპაროვის მითითებული „ეთნიკური იდენტობა“ ტყუილიაო, „დაუსაბუთებელ მითითებას“ რომ ედავებით ციტატის ავტორს!** სააკაშვილზე თვითონ გაარკვიეთ, აი, კასპაროვი კი ებრაელია და არა — სომეხი, თუმცა, ალბათ, არც ამის დაწერის უფლება გვაქვს თქვენი „სტანდარტების“ თანახმად!

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის მაგალითად ვკითხულობთ: „ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, ბათუმში დაიდგას მეცხრამეტე საუკუნის დამპყრობელი ოსმალეთის იმპერიის სულთან აბდულა აზიზიეს სახელობის მეჩეთი“. **სად არის აქ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია? მუსლიმანებს ერჩის ვინმე თუ, საზოგადოდ, მეჩეთებს? ან იქნებ ოსმალეთის იმპერია დამპყრობელი არ იყო?** მეტსაც გეტყვით: ის ახლაც დამპყრობელია, ოღონდ, წარსულისგან განსხვავებით, მახვილით აღარ მოქმედებს — თანამედროვე, ეკონომიკური მეთოდებით განაგრძობს ექსპანსიას!

**ამ ეგრეთ წოდებულ ანგარიშში ყველაფერი ყირაზეა დაყენებული. როცა მის ავტორებს ფაქტები არ მოსწონთ, სხვადასხვა ტერმინს უსადაგებენ და „ფობიებს“ არქმევენ, სიმართლისთვის ტაბუს დადებას ცდილობენ, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ამ ანგარიშებს ისინი „ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით“ ამზადებენ.** ეს ფრაზაც შეუძლიათ „ანტიდასავლური განწყობების“ ქვეთავში მოათავსონ სამომავლოდ, რომელიც ყველაზე ვრცელია. ამ „გულუხვ დახმარებას“ კიდევ მივუბრუნდებით, ახლა კი ანგარიშში მოტანილ „ანტიდასავლური განწყობების“ მარგალიტს გავეცნოთ:

**„ბრაიან ფიშერი, ამერიკელი კონსერვატორი: „ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი ევროატლანტიკური ქვეყანა, ფაქტობრივად, თავისი** ▶

**„რუსეთთან მოლაპარაკება და დიალოგი აუცილებლად უნდა დაიწყოს. დასავლელმა პარტნიორებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოსთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უნდა გავითვალისწინოთ უკრაინის მაგალითი, უკიდურეს გაჭირვებაშიც კი ამ ქვეყნის დახმარება დასავლეთმა ვერ შეძლო“.**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფესვების უგულებელყოფის გზას დაადგა, მათ შორის, ქრისტიანული ღირებულებებისაც... ტარდება პოლიტიკა, რომელიც მრავალშვილიან ოჯახსა და ერთნაირსქესიან პარტნიორობას, ღვთისა და სატანის რწმენას ერთ დონეზე აყენებს. მიმდინარეობს პედოფილიის პროპაგანდა... ეს პირდაპირი გზაა დეგრადაციისა და პრიმიტივიზაციისკენ, ღრმა დემოგრაფიული და ზნეობრივი კრიზისკენ“.

საქართველოში მოქმედი ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია ქართულ მედიას საყვედურობს, რატომ ავრცელებს ამერიკელი კონსერვატორის თვალსაზრისს! **თვითონ ბრაიან ფიშერს რომ მიუთითოთ „ანტიდასავლურობის“ გამო, არ გიცდიათ? თუ ამერიკაში ამის თქმა „მოსულა“, მაგრამ მთავარია, საქართველოში არავინ არაფერი გაიგოს?**

შემდეგი ციტატაც ანტიდასავლურობის მაგალითად არის მოტანილი „ანგარიშში“: „...საერთოდ, **დიდი ხანია, ნატო ჩვენთან, ერთგვარ რელიგიად იქცა. ეკლესიის ლანძღვა შეიძლება, პატრიარქისაც, მაგრამ ნატოზე ცუდის თქმა ერეტიკოსობას ნიშნავს. ამ იდეოლოგიის აპოლოგეტებს რომ შეეძლოთ, ალბათ, ინკვიზიციასაც შემოიღებდნენ და ცეცხლში დაწვავდნენ ადამიანებს, რომლებიც ალიანსზე რამე კრიტიკულს იტყოდნენ“.**

**განა ეს სიმართლე არ არის? მაგრამ ამ ხუთ არასამთავრობოს სწორედ სიმართლე სტკენს თვალებს. ისინი პირდაპირ აბეზღებენ „ამერიკელ ხალხთან“ ქართულ მედიას, ქართველ პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას. „ნაციონალური მოძრაობის“ ეს ადვოკატები სრულიად საქართველოს ებრძვიან, პატრიოტიზმი მათთვის საძილიკო თემაა. უსამშობლო არსებები (სიძულვილის ენა არ გეგონოთ, ჩემი შეფასებაა, თუ არა — გამოვიდნენ და სამშობლო დაიფიცონ!) ამ დაბეზღებაში კარგა გვარიან ფულსაც შოულობენ „ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით“.** გადაჭარბებაში რომ არ ჩამითვალოთ, ჯერ ამ ხუთი არასამთავრობოს შემადგენლობას გადავხედოთ და შემდეგ მათი დაფინანსების არასრულ, მაგრამ ერთობ ანგარიშგასაწევ რაოდენობას.

მედიის განვითარების ფონდის გამგეობის წევრები არიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი **თამარ კინწურაშვილი** (თავმჯდომარე), **გიგა ზედანია, ბექა მინდიაშვილი** („ნაციონალი“ სახალხო დამცველისგან მემკვიდრეობით მიღებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი). რაკი სიტყვამ მოიტანა, იმჟამინდელი სახალხო დამცველი **გიორგი ტუღუში**, რომლის დაცული ადამიანი არავის უნახავს, დღეს თავგამოდებით იცავს ნაცლიდერებს „პოლიტიკური ნიშნით“ დევნისგან და ამ „ანგარიშის“ ერთ-ერთი ხელმომწერია.

**ბოლო წლების განმავლობაში მედიის განვითარების ფონდს სხვადასხვა დასავლური დონორი ორგანიზაციისგან უამრავი გრანტი აქვს მიღებული. მაგალითად, მედიის კვლევის, უმცირესობათა დაცვისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროპაგანდისთვის ამერიკულ დოლარებში: 78 870; 26 865; 34 558; 63 620; 31 285; 18 561; ლარებში: 54 430; 43 570.**

**ეს არასრული ჩამონათვალია ხუთიდან მხოლოდ ერთი ორგანიზაციის დაფინანსებისა. მთლიანობაში ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდისთვის ეს „გულუხვი დახმარება“ ათეულობით მილიონზე ადის და აღარც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ საკუთარი მიწა-წყლის უცხოელებისთვის მიყიდვის უფლების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოშიც დარბიან და საქაშვილის ჯიბის ეს ორგანო უკმაყოფილებს კიდეც სარჩელს.**

ამ „ანგარიშიდან“ თვალნათლივ ჩანს, რომ მისი ავტორები **ჰომოფობიასა** და **ანტიდასავლურობას** აიგივებენ, ანუ, თუ ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი ხარ, ავტომატურად ანტიდასავლურ განწყობებში გედება ბრალი და პირიქით. ახლა წარმოვიდგინოთ, **ამგვარ პროპაგანდას, მაგალითად, რომელიმე რუსული ფონდი რომ აფინანსებდეს ასე „გულუხვად“, რა ამბავი ატყდებოდა „დემოკრატიის ქომაგების“ მხრიდან! აკი, დაიწყო კიდეც საუბარი „რუსულ პროპაგანდაზე“. მერე რა, რომ არც რუსული ფული ჩანს და საზოგადოების განწყობებიც, დიდწილად, სწორედ ამგვარი დასავლური პროპაგანდის გამო იცვლება. მთავარი ხომ ის არ არის, სინამდვილეში ხალხი როგორ ფიქრობს; მთავარია, აგვიკრძალონ ამაზე ლაპარაკი, ხოლო მედიას დაემუქრონ, რომ დასავლეთში დააბეზღებენ!**

დასავლეთი თვითონ უწყობს ხელს ანტიდასავლური განწყობების შექმნასა და გაძლიერებას. ამის მაგალითად მხოლოდ ერთნაირსქესიანთა ქორწინების „მთელ მსოფლიოში გავრცელების“ მანიაკური იდეაც გამოდგებოდა. თუმცა არის კიდევ ერთი მიზეზიც: **როცა დასავლეთის პროპაგანდას ისეთი არსებები ეწევიან, როგორიც არიან მიხეილ სააკაშვილი, თეა თუთბერიძე, ბექა მინდიაშვილი, ქეთა გაბიანი, მიხეილ თავხელიძე და სხვები, ასეთი დასავლეთი უფასოდაც აღარავის უნდა!**

**„ნაცების“ „გამპრავებლებო“! როცა შემდეგ „ანგარიშს“ მოამზადებთ, ეს ფრაგმენტი არ გამოგრჩეთ, როგორც „ინდივიდუალური შუღლის“, ქსენოფობიისა და ძალადობისკენ მოწოდების მაგალითი! თქვენს დასავლელ პატრონებს კი გადაეცით, რომ თქვენი წყალობით დიდი მონაპოვარი მიიღეს: ამდენი ფული იმაში დახარჯეს, რომ დასავლეთის მიმართ ლოიალურად განწყობილ საქართველოს საბოლოოდ შეაძულეს თავი!**

**თამარ დავითულიანი**

თამარ კიკნაძე:

# დასავლეთს საქართველოს დახმარება არ ძალუძს



**გასული კვირა პარლამენტარის, მსახიობ გოგი ქავთარაძის მწვავე განცხადებით დაიწყო: „რას გვახვეწნინებენ ამ ნატოში შესვლისთვის. დავიჯეროთ, ნატოს წევრი ქვეყნებიდან ზოგიერთი უფრო მეტად იმსახურებს ნატოს წევრობას? შეხედეთ, როგორ იბრძვიან ჩვენი ბიჭები ნატოს ჯარისკაცების მხარდამხარ. თუ გვიფიქრია იმაზე, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ჩუმად ქირქილებენ, როდესაც უყურებენ, როგორ ვიხვეწებით ნატოში შესვლას, ისინი კი არ გვიღებენ. ადამიანის მსგავსად, ქვეყანასაც აქვს თავმოყვარეობა“. გოგი ქავთარაძის ეს განცხადება მკვეთრად ლიბერალური ძალებისთვის გოგი თოფაძის ცნობილ განცხადებაზე მწვავე და გამაღიზიანებელი აღმოჩნდა...**

**კვირის ბოლოს საზოგადოების აღშფოთების მიზეზი რუსეთის მიერ ორჭოსანსა და ხურვალეთში საზღვრის კილომეტრ-ნახევრით გადმოწევა გახდა. ორჭოსანის ხსენებაზე უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ამჟამინდელი პირველი მოადგილე გაახსენდა, ალბათ, ყველას. 2008 წლის ომში ხალხს რომ ამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, რუსის ჯარმა ორჭოსანისკენ გადაუხვია, თბილისისკენ არ მოდისო. ეკა ზღულაძეს ორჭოსანი, სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიაც არ ეგონა... ეს რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ მოადგილეს, მაგრამ უფრო საინტერესო იყო თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრის — თინა ხიდაშელის განცხადება, რომელმაც ყელი მოიღერა და თქვა: „ჩვენი გზა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწორედ ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ოკუპაციის, ძალმომრეობის, ძალადობისაგან თავის დაღწევის. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ საქართველო ამ 20 მეტრს ან 2 კილომეტრს კი არა, იმ 20%-ს დაიბრუნებს და რუსებს საკუთარი ხელით მოუწევთ ტრანსფარანტებისა თუ ტრაფარეტების, რასაც დგამენ ჩვენს მიწაზე, უკან, ოფიციალური, საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვრისკენ გადაწევა“.**

**საქართველოსა და მსოფლიოს გასული კვირის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის რიტორიკა, რომ მალე რუსეთი იძულებული იქნება, ტერიტორიები დაგვიბრუნოს, მხოლოდ პიარის ელემენტია

**— ქალბატონო თამარ, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკვე მეორე პარლამენტარმა გამოხატა თავისი არცთუ მოკრძალებული მოსაზრება ნატოში გაწევრებაზე. პარლამენტარ გოგი თოფაძის შემდეგ ამ თემაზე ვრცელი მოხსენება გოგი ქავთარაძემ გააკეთა. მან განაცხადა, რომ ერის შეურაცხყოფაა ნატოსთვის ამდენი ხვეწნა-მუდარის წერილების გაგზავნა. ეს ადამიანები ვინმეს აზრს ხომ არ ახმიანებენ?**

— **გოგი თოფაძესა** და **გოგი ქავთარაძეს** კოალიციის სხვა წევრებისგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. რაც შეეხება იმას, რომ ვილაცის აზრს ახმიანებენ, თორემ სხვანაირად ვერ გაბედავენ, გეტყვით, რაც მეტი ადამიანი გაბედავს და იტყვის სიმართლეს, უკეთესია. საჭიროა, დამთავრდეს აბსურდი, რომელშიც ვცხოვრობთ. დღეს სიმართლის თქმა სამოქალაქო გმირობის ტოლფასია და ასეთი ადამიანები პატივისცემას იმსახურებენ.

ხურვალეთში რუსეთმა საზღვარი გადმოწია და „ბრიტიშ პეტროლიუმის“ მილსადენი ჩვენი საზღვრის მიღმა აღმოჩნდა. მცოცავი ანექსია გრძელდება. ამ ფაქტმა, ე.წ. პრორუსული ორიენტაციის ადამიანებიც კი გააღიზიანა. ასეთი ქმედებები მოსახლეობას რუსეთისადმი უარყოფითად განაწყობს, მაგრამ **ეს არის რუსეთის პასუხი და გზავნილი საქართველოსთვის ნატოს რიტორიკაზე. ამ ქმედებით რუსეთი გვაჩვენებს, რომ დასავლეთს საქართველოს დახმარება არ ძალუძს, მხოლოდ განცხადებებით, აღშფოთებითა და შეშფოთებით იფარგლება.**

**ასე იყო 2008 წლის ომის დროსაც ბევრს ეგონა, რომ შავ ზღვაში ჩვენი პარტნიორების გემებს ვიხილავდით და ისინი საომარ მოქმედებებში ჩაერთვებოდნენ, მაგრამ ომი ჩვენი ბიჭების დაღუპვითა და ტერიტორიების დაკარგვით დამთავრდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის რიტორიკა, რომ მალე რუსეთი იძულებული იქნება, ტერიტორიები დაგვიბრუნოს, მხოლოდ პიარის ელემენტია.**

ასეთი ქმედებებით შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

**— და მაინც, ქალბატონო თამარ, შესაძლოა, რომ მალე პოლიტიკური კურსის გადახედვის საკითხი დადგეს?**

— არასოდეს მითქვამს და არც ახლა ვიტყვი, რომ შეიძლება მკვეთრი და უეცარი ცვლილება მოხდეს, მაგრამ **რუსეთთან მოლაპარაკება და დიალოგი აუცილებლად უნდა დაიწყოს. დასავლელმა პარტნიორებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოსთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უნდა გავითვალისწინოთ უკრაინის მაგალითი, რომ უკიდურეს გაჭირვებაშიც კი ამ ქვეყნის დახმარება დასავლეთმა ვერ შეძლო.**

ქვეყანამ, როდესაც საკუთარი პრობლემების პირისპირ რჩება, პრაგმატული პოლიტიკა უნდა გაატაროს. დღეს საქართველო დიდი პრობლემების წინაშე დგას.

შეიძლება, ევროასოცირების ხელშეკრულება საქართველომ სასიკეთოდ გამოიყენოს. **ჩვენი მეზობელი სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია, ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია, რუსეთსა და ევროპას შორის ხიდის ფუნქცია შევასრულოთ. ანგელა მერკელიც კი ალაპარაკდა ეკონომიკურ სივრცეზე ლისაბონიდან ვლადივასტოკამდე.**

რამდენიმე დღის წინათ უფაში გაიმართა **ბრიქსისა** (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა — ე. ნ.) და **შთო**-ს (თანამშრომლობის შანხაიური ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და ამა წლის 10 ივლისიდან ინდოეთი და პაკისტანიც — ე. ნ.) ქვეყნების შეხვედრები. ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა, რომელსაც ირანის პრეზიდენტიც დაესწრო. **შთო**-ში გაერთიანდნენ პაკისტანი და ინდოეთიც. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, პაკისტანსა და ინდოეთს შორის სერიოზული უთანხმოებაა პროვინცია ჯამუ და ქაშმირის გამო. **ეს არის ორი დიდი ატომური ქვეყანა, მათ ტერიტორიული პრობლემები აქვთ ჩინეთთანაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინდოეთისა და პაკისტანის პრემიერები ერთმანეთს შეხვდნენ და დღეს ჩინეთთან ერთად ერთ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებულნი.**

**შთო**-ში დამკვირვებლად შესვლის სურვილი გამოთქვა ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ლუკაშენკომ.** ამასთანავე, შეიქმნა **ბრიქსის ბანკი**, რომელიც აბრეშუმის გზის ინფრასტრუქტურის პროექტებს დააფინანსებს. საუბარია, აგრეთვე, **დოლარის ამოღებაზე ურთიერთანგარიშსწორებისას. ეს ყველაფერი კი არსებული წესრიგის შეცვლისკენ არის მიმართული. ვექტორი აზიისკენ ინაცვლებს.**

როგორც პუტინმა აღნიშნა, ეს სივრცე გეოპოლიტიკური თამაშების სივრცე არ არის. აქ ხალხი ცხოვრობს და მთავარი მათი კეთილდღეობაა. შეიძლება ციტირება ზუსტი არ არის, მაგრამ აზრი ასეთი იყო.

**— ქართველი პოლიტიკოსები თუ ხვდებიან ამას?**

**— ჩვენ სიურრეალიზმში ვცხოვრობთ. ინფორმაცია ხალხს ისე მიეწოდება, პოლიტიკოსები და ექსპერტებიც ისე საუბრობენ, ვერასდროს გაიგებ, რა არის საქართველოს რეალური ამოცანა. გამუდმებით გვარწმუნებენ და გვიმტკიცებენ, რომ თეთრი შავია და პირიქით. ისევ გავიმეორებ: დღეს პრაგმატული პოლიტიკის დროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის საქმე ცუდად წავა. ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. საუბარი აღარ არის იმაზე, თუ როგორ უჭირს ხალხს, საფრთხეშია ჩვენი გენოფონდი. ხალხი ვერ იღებს საკვების საჭირო რაციონს, რაც ფსიქიკურ აშლილობასა და ჯანმრთელობის შერყევას იწვევს. სიტუაცია სულ უფრო მძიმდება.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ოცნება“ ისეა დაბნეული, რომ ხან ერთი ნიშის დაჭერას ცდილობს, ხან — მეორის, ხან — მესამის და, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 წლის განმავლობაში ჯერაც ვერავინ გაგვაგებინა ქართველებს, რა არის ჩვენი ოცნება – ტრადიციული ქართული ოჯახი თუ ლგბტ-ლიბერალიზმი, ურთიერთობის დათმობ-დათბობა რუსეთთან თუ უკანმოუხედავი ბრახუნი ნატოს კარზე, მემარცხენე სოციალისტური მიდგომები თუ აბსოლუტურად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა...**

# აბრუნდ-დაბრუნდი, ანუ დასაქმებული ღარიბების ქვეყანა

**თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხის“ ერთ-ერთი გმირი — იორამი, ახლა რომ დაედო ყური მიწაზე და გატრუნულიყო, ალბათ, აღარ წამოიძახებდა აღგზნებული ხმით: „მოდის, რევოლუცია მოდის!“**

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად შექმნილ ვითარებას „წინარევოლუციურს“ ვერაფრით დაარქმევს კაცი, თუმცა წინასაარჩევნო მცირე „სეისმური“ ძვრები უკვე შეინიშნება.

მაგალითად, არჩევნების თარიღის კიდევ უფრო მოახლოებაზე მიანიშნებს პრემიერ ღარიბაშვილის ამასწინანდელი განცხადება: **„ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს და ეს ჩვენი სირცხვილია! ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ღირსეულად იცხოვრონ!“**

განა ეს ის პრემიერი არ არის, რომელიც ამ ორიოდე თვის წინათ გაიძახოდა, „საქართველოში ყოველი 10 ადამიანიდან 9 დასაქმებულია, ბედნიერია და არაფერი აკლია“-ო? რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური პრემიერული მეტამორფოზა? — რაღა თქმა უნდა, არჩევნებმა!

უკვე 25 წელიწადია, მივეჩვიეთ, რომ ჩვენს სინამდვილეში არჩევნები მასში მონაწილე ადამიანების საოცარ მეტამორფოზს იწვევს.

**ზოგს უცებ ახსენდება ამ ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველები, ზოგი სწორედ ამ დროს პოულობს რომელიღაც უბანში გაურემონტებელ საბავშვო მოედანს, ზოგი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს სუფრას უშლის და ზოგიც, საერთოდ, ხიდიდან ხტება... ასე იცის არჩევნების მოახლოებამ და ასეთ „წინასაარჩევნო საქციელს“, როგორც წესი, არჩევნების თარიღამდე 1 წლით ადრე იწყებენ ხოლმე.**

მართალია, ამჯერად ცოტა ნაადრევად მოუვიდათ — წელიწადითა და ორიოდე თვით ადრე დაიწყეს, მაგრამ მოგეხსენებათ, 2016 წლის არჩევნები — ეს ისეთი მოულოდნელობებით სავსე არჩევნები იქნება, რომ ნაადრევი გააქტიურებაც გასაგებია და საკუთარი თავის სხვადასხვა უცნაური ხერხით „გაპიარებაც“.

ამ მხრივ ყველაზე საინტერესო სწორედ დღევანდელი მმართველი კოალიციაა. მოგეხსენებათ, **„ნაციონალებს“, „თავისუფალ დემოკრატებს“, „პატრიოტთა ალიანსს“, ლეიბორისტებსა თუ „გაერთიანებულ დემოკრატებს“ — ყველას თავისი ხელწერა აქვს პიარისა. აი, „ოცნება“ კი ისეა დაბნეული, რომ ხან ერთი ნიშის დაჭერას ცდილობს, ხან — მეორის, ხან — მესამის და, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 წლის განმავლობაში ჯერაც ვერავინ გაგვაგებინა ქართველებს, რა არის ჩვენი ოცნება — ტრადიციული ქართული ოჯახი თუ ლგბტ-ლიბერალიზმი, ურთიერთობის დათმობ-დათბობა რუსეთთან თუ „უკანმოუხედავი ბრახუნი ნატოს კარზე, მემარცხენე სოციალისტური მიდგომები თუ აბსოლუტურად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა...**

პირდაპირ რომ ვთქვათ, მოქმედ მთავრობას და ხელისუფლებას არც ერთ სფეროში, არც ერთ მიმართულებაზე არ აქვს გამოკვეთილი კონკრეტული პრიორიტეტები და **ქვეყანაც ეთგვარი ავტოპილოტით იმართება კონკრეტული საჭიროებების მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა აძლევს ხელს ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში მთავრობას.**

ქვეყნის ასეთი მეთოდით მართვა რომ საბოლოოდ „ავტოპილოტის“ მოშლასა და გარდაუვალ „შეჯახებებს“ იწვევს, საკამათო არ არის. თუმცა ვის რა უნდა მოსთხოვო, როდესაც ჯერ ისიც ვერ გადაუწყვეტიათ მოქმედ პოლიტიკურ ელიტარებს, მათი „ბელადი“ პოლიტიკაში მობრუნდება თუ არა.

აი, ეს არის, ალბათ, ის ერთადერთი „კოზირი“, რომელსაც „ქართული ოცნება“ დღეს ფლობს, თუმცა ეჭვი მეპარება, მისი სწორად, დროულად და ეფექტიანად გამოყენება შეეძლოს.

არადა, ფაქტია, **როგორც კი მძიმე საზოგადოებრივი ნიჰილიზმის ნიშნებს შენიშნავენ, წამსვე იწყება ე.წ. კულუარული საუბრები ივანიშვილის დაბრუნებაზე დიდ პოლიტიკაში!**

**„ბიძინა ბრუნდება“-ს ილეთი „ოცნების“ „პიარშიკებმა“ არაერთხელ გამოიყენეს და, თუკი კვლავაც ასე განაგრძობენ, ეჭვი მაქვს, 2016 წლის შემოდგომაზე გასამართი საპარლამენტო არჩევნებისთვის მას უკვე ცნობილი იგავის — „ცრუს“ ეფექტიღა ექნება შერჩენილი — „მგელი მოდის!“** ანუ, ამ ილეთით გადაღლილი ამომრჩეველი, ყურადღებას საერთოდ აღარ მიაქცევს, მოდის თუ არა „მგელი“ — მართლა ბრუნდება თუ არა ბიძინა.

ესეც რომ არ იყოს, ისედაც ისმის მარტივი კითხვა — **წყვეტს კი რამეს დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება-არდაბრუნება?**

ალბათ, ერთადერთს — ივანიშვილის დაბრუნების შემთხვევაში უკვე ხელჩაქნეული ამომრჩევლის რაღაც ნაწილი კიდევ ერთხელ მობრუნდება „ოცნებისკენ“ და ბოლო იმედის ფენომენით მიცემს ხმას „ქართულ ოცნებას“, ანუ ბიძინას **მობრუნებას** მხოლოდ ამომრჩევლის კიდევ ერთხელ მოსატყუებლად და გასაწბილებლად ექნება მნიშვნელობა, თორემ რეალურად ეს ვერაფერს შეცვლის. მეტიც, ჩვენ შეგვიძლია, ლეგიტიმურად დავსვათ კითხვა — წავიდა კი ივანიშვილი ქართული პოლიტიკიდან?

როგორც წესი, პოლიტიკა ისეთი რამეა, იქ არც მოსვლას აქვს აზრი **გუნდური** მოსვლის გარეშე და არც წასვლას **გუნდური** წასვლის გარეშე.

ჰოდა, **თუ გავიხსენებთ, რომ პრემიერმინისტრიც, პრეზიდენტიც, დედაქალაქის მერიც და სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებიც, არათუ უბრალოდ კოალიცია „ქართული ოცნების“, არამედ კონკრეტულად ივანიშვილის პირადი კადრები არიან, მაშინ მის სადმე „წასვლაზე“ საუბარი მხოლოდ ღიმილის მომგვრელია.**

მერე რა, თუკი ამ პირადი კადრებიდან ერთეულებმა არ გაუმართლეს და, ასე ვთქვათ, **საჩვენებელი ურჩობა** გაუბედეს?! საბოლოო ჯამში, ფაქტია, რომ **მილიარდერის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული** და წასვლა კი სულაც არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკურ გადაადგილებას ერთი კაბინეტიდან მეორეში ან თუნდაც ერთი შენობიდან მეორეში.

ამიტომ **მედიაში აქა-იქ გაჟონილი ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნების თაობაზე, მიწაზე დასანარცხებლად განწირული „ქართული ოცნებისთვის“ კვლავ აღმაფრენის ძალის მისანიჭებელი ტრიუკია მხოლოდ.**

არა, ეს არ ნიშნავს, რომ ივანიშვილი, თუ საჭირო შეიქნა, ხალხს მოატყუებს დაბრუნების დაპირებით და არ დაბრუნდება. ის მართლაც მოუბრუნდება ფორმალურ პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მის პარტიას შეუნარჩუნებს პოლიტიკურ სიცოცხლეს და არაფერს შეცვლის იმ ხალხისთვის, რომელიც ამის გამო კიდევ ერთხელ გამოუცხადებს ნდობას „ქართულ ოცნებას“, უფრო ზუსტად კი — გაცრუებულ ქართულ იმედს.

მახსოვს ქართული ზღაპარი, რომლის გმირი აბრუნდ-დაბრუნდის ჯადოსნურ ჯოხს თუ რაღაც საგანს ფლობდა; მისი მეშვეობით შეეძლო, უცებ გაჩენილიყო იქ, სადაც სურდა, და მერე, როცა მოესურვებოდა, დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც „აორთქლდა“. ეს — ზღაპარში, მაგრამ რეალობაში, **„აბრუნდ-დაბრუნდის“ რამდენი ფოკუსიც უნდა აკეთოს ივანიშვილმა, ბოლო სამმა წელიწადმა უფრო ნათლად დაგვანახვა, რომ საქართველოს ბედი საქართველოში არ წყდება და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება საქართველოში პირველი პირი და სად იჯდება ის — სახელმწიფო კანცელარიის შენობაში თუ ე.წ. სოლოლაკის შუშის სასახლეში.**

**მთავარი აქ დიღმის სასახლეა და სხვა ყველანაირი სასახლე თუ რეზიდენცია — მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრძანებების უტყვი გამტარებელი;** თუნდაც ისეთი ბრძანებების, რომლებიც ქართველ ხალხს არაფრად ეპიტნავება, მაგრამ მოქმედი ხელისუფლება მაინც ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ წევს. მიხვდით, ალბათ, რომ ამის ყველაზე აშკარა და ნათელი მაგალითი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და ე.წ. კოჰაბიტაციის პროცესია.



სიტყვამ მოიტანა და, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, **„ერთიანად დასაქმებული“, მაგრამ რატომღაც მაინც სიღარიბეში მცხოვრები ქართველი ხალხის გულის მოგება მალე კოჰაბიტაციის სასტიკი დაგმობითაც დაიწყება. გეგონება, ეს კოჰაბიტაცია ცხონებულმა ბაბუაჩემმა წამოიწყო!**

ამას დაემატება **ფეხებზე დაკიდებულ თანამებრძოლთა „დაფასების“ მოწოდებები** — გეგონება, ეს თანამებრძოლები, ასევე, მამაჩემის მამამ დაიკიდა თავის დროზე ფეხებზე!

ერთი ამბავი ატყდება **„პრემიებისა და დანამატების“** გამოც — გეგონება, ამ პრემიებსა და დანამატებს ჩემი უბნელი ლოთი ჯემალა უნაწილებდა თავის „კოლეგა“ უშანგას და ვალიკოს...

და **ამ „ბუკეტს“ დაემატება თვით ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების დაპირება — გეგონება, ვიდრე წავიდოდა, არც კოჰაბიტაცია დაწყებულა, არც ფეხებზე დაუკიდებიათ თანამებრძოლები და არც პრემიები და დანამატები უჭამიათ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს!**

და მაინც, **საკითხავია: უშველის კი ეს ყველაფერი „ხიდიდან გადამხტარის“ გარეშე და გათავდაცვისმინისტრებულის დაქალების ამარა დარჩენილ „ქართულ ოცნებას“?**

**მით უმეტეს ახლა, როდესაც ხალხმა მათგან ლგბტ-თემისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მხარდაჭერა უკვე მოისმინა?**

## «მოდის, არჩევნები მოდის!»

ასეთ კითხვებზე პირდაპირი პასუხები ისეთი რთულია, ჯერ რომ არ ყოფილა. აკი, შესავალშივე ვთქვით — შეიძლება, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები უამრავი მოულოდნელობით იყოს აღსავსე...

ასპროცენტიანი და უტყუარი მხოლოდ ერთია — ჩვენს ქვეყანაში ცნობილმა პოლიტიკოსებმა უკვე დაიწყეს ისეთი მოძრაობები და ისეთი საქციელის ჩადენა, რომ იმ ცნობილი ქართული მხატვრული ფილმის გმირს მიწაზე დამხობა და ყურის დადებაც აღარ დასჭირდება, ისედაც შეუძლია, აღგზნებული ხმით წამოიძახოს: **„მოდის, არჩევნები მოდის!“**

**ეს ხელისუფლება ერთი-ერთზე იმეორებს სააკაშვილის პოლიტიკას. მეტიც, ამათ გაბედეს ის, რაც ვერ გაბედა სააკაშვილმა — მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი და ერი შეურაცხყვეს. ეს კანონი რა უბედურებაც არის, ბევრს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული და ჩვენ ამას ძალიან მალე დავინახავთ. ეს კანონი არის ის განასკვული მზაკვრობა, რომელსაც მომავალში სხვა უბედურებები მოჰყვება...**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გურამი (გამცემლიძე):

# საქართველოს არ სჭირდება ისეთი «მეგობრები», რომლებიც კოლონიად გადაგვაქცევენ...

**მას შემდეგ, რაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ სოდომია ქვეყნის ორმოცდაათივე შტატში დააკანონა და მესაჯდომეებს ერთმანეთზე ქორწინების უფლება ოფიციალურად მისცა, ქართველ სოდომისტებს კურტუმოები უშნოდ უცუნდრუკებთ. „ლიბერასტები“ სოციალურ ქსელებში ბობოქრობენ და პირდაპირ იმუქრებიან, რაც უნდა მოხდეს, ჩვენსას მაინც გავიტანთ, მალე თბილისის თავზე „ცისარტყელის დროშას“ ავაფრიალებთო. ისე, იმ განცხადების შემდეგ, რომელიც ამას წინათ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გააკეთა (ვგულისხმობ ერთნაირსქესიანთა ქორწინების სხვა ქვეყნებში დაკანონებას), ქართველ მესაჯდომეთა ამგვარი რწმენა მთლად გასაკვირიც არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, თეთრი სახლი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ საქართველო „დემოკრატიის ცუნამიმ“ წალეკოს, ხალხი „ჭეშმარიტ დასავლურ ფასეულობებს“ ეზიაროს და ქვეყანა ერთ დიდ საქათმედ გადაიქცეს. ...რა ცვლილებებია კანონმდებლობაში მოსალოდნელი უახლოეს მომავალში, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს ხელისუფლება ამერიკის დაკვეთით, რომ ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებები გაიზარდოს, და რა მიზანს ემსახურება ეს პროცესები — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის მღვდელმსახური მამა გურამი (გამცემლიძე).**



## «ამერიკამ და მისმა პოლიტელიტამ ძალიან კარგად იციან, როგორ გარყვნან მსოფლიო»

**— მამაო, ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ 26 ივნისს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება ქვეყნის ყველა შტატში დაკანონდა, ქართველი „ნეოლიბერალები“ გარკვეულწილად შეაგულიანა. სოციალურ ქსელებში უკვე აქტიურად ამოქმედდა კამპანია „გააფერადე ჰომოფობი“ და საკმარისია, ვინმემ რამე ცუდი თქვას ე.წ. სექსუალურ უმცირესობებზე, მაშინვე „ცისარტყელის“ ფერებში „ღებავენ“. ამ ინტერვიუს შემდეგ, შესაძლოა, ჩვენც გავხდეთ აღნიშნული კამპანიის სამიზნე. როგორ ფიქრობთ, რა პროცესები მიდის, რასთან გვაქვს რეალურად საქმე?**

— ეს ხალხი, რომელიც ახლა აჟივჟივდა და ვითომ თავგადაკლული იცავს ადამიანის უფლებებს, დღეს არ გამოჩენილა, დიდი ხანია, აქტიურობს და ყველამ ვიცით, რა ძალაც დგას მის უკან. სიმართლე გითხრათ, არც ის გადაწყვეტილება გამკვირვებია, რომელიც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ მიიღო... **სატანური დროშა ჰქონდათ აქამდე და, ახლა ლგბტ-ების დროშა რომ აღმართონ, ბევრი არაფერი შეიცვლება.** ვფიქრობ, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, სავსებით ლოგიკურია, ეტყობა, უკვე ბოლოჟამი მოახლოვდა. ვინც ჭეშმარიტ ღირებულებებზე დგას, გადარჩება, ვინც სხვა გზას ირჩევს, მისი გადასაწყვეტია.

**რაც შეეხება ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ტყავიდან ძვრებიან დასავლური ფასეულობების პიარსა და პროპაგანდაში, სიახლე არავისთვის არის, რომ ყველა ეს ორგანიზაცია ფინანსდება ვაშინგტონიდან, ისინი არიან ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და მოქმედებენ ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მითითებებით.** უბრალოდ, მათ ახლა ჩამოიხსნეს ნიღაბი და მოახდინეს ერთგვარი თვითლუსტრირება, რაც თავისთავად ძალიან კარგია. ხალხმა კიდევ ერთხელ დაინახა, ვისთან გვაქვს საქმე და რა ძალები დგას რეალურად ამ ორგანიზაციების უკან, კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რას უნდა ველოდოთ ამ ძალებისგან მომავალში...

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ჩათვალეს მათ, რომ ახლა დადგა დრო, როცა ნიღაბი უნდა ჩამოიხსნან?**

— ისინი თვითონ ვერაფერს აკეთებენ, ვერც აზროვნებენ, ამიტომ, როგორც ამერიკიდან უბრძანებენ, ისე იქცევიან. ახლა, ეტყობა, ეუბნებიან, რომ უნდა იაქტიურონ და შეუტიონ პატრიარქს, სამღვდელოებას; ამიტომაა, ასეთი ანტიეკლესიური და ანტიმართლმადიდებლური კამპანია რომ მძვინვარებს. კიდევ ვიმეორებ: **ეს ყველაფერი მოდის ამერიკიდან და, როცა ეტყვიან, იმოქმედეთო, აქტიურდებიან; როცა ეტყვიან, შეძვერით სოროშიო, — შეძვრებიან; ასე რომ, თუ ჩვენ, საზოგადოება, წინ არ აღვუდგებით ამ სიბინძურეს, მალე ისინი მართლა ააფრიალებენ ნაირფერ დროშას...**

**— 1996 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის მხოლოდ 27 პროცენტი იყო მომხრე, რომ ქვეყანაში ერთნაირ სქესიანთა ქორწინება დაეკანონებინათ, ახლი კი ეს მაჩვენებელი 60 პროცენტამდე გაიზარდა. როგორ ფიქრობთ, თუ მოსახლეობის რაოდენობით 300-მილიონიან სახელმწიფოში პროპაგანდამ იმდენი ქნა, რომ, სულ რაღაც, 18 წელიწადში საზოგადოებრივი აზრი კარდინალურად შეეცვალა და 27 პროცენტი სამოცად იქცა, დიდია საფრთხე, საქართველოშიც იგივე მოხდეს? „ლიბერალური“ პროპაგანდა ხომ აქაც აქტიურად მუშაობს?**

— გათვლა კეთდება ზუსტად იმაზე, რომ ხალხის აზროვნება შეცვალონ 180 გრადუსით. ამისთვის მოიყვანეს სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც თავიდანვე მიზანში ამოიღო სულიერება, და ამისთვის დასვეს დღევანდელი ხელისუფლებაც. **ეს ადამიანები გამოდიან და გვესაუბრებიან უმცირესობების უფლებებზე. სინამდვილეში ყველას უფლებები ფეხებზე ჰკიდიათ და რეალურად საზოგადოების დეგრადირებას, ადამიანების დაცემას ემსახურებიან.** აბა, **ვინმეს უნახავს, გამოსულიყოს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და სოციალურად დაუცველი ხალხის უფლებებზე ესაუბრა? ქვეყანაში ამდენი უბინაოა, ამდენი უმუშევარი და გაჭირვებული, ოდესმე გსმენიათ, რომ მათი უფლებების დასაცავად ვინმე გამოსულიყოს?**

საუბედუროდ, ამერიკამ და მისმა პოლიტელიტამ ძალიან კარგად იცის, როგორ გარყვნას მსოფლიო. მათ იციან, როგორ უნდა მართონ სხვა ქვეყნები და მოახვიონ თავს იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში ჩაკლავს ზნეობას...

**— თქვით, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც ზუსტად იმ მიზნით მოიყვანა ამერიკამ, რა მიზნითაც თავის დროზე სააკაშვილი. როგორ ასრულებს დღეს მმართველი გუნდი თავისი პოლიტიკური გარანტორის დაკვეთას?**

— მე ვიტყოდი, პირნათლად. შეიძლება, ზუსტად იმავე მეთოდებით არა, როგორც წინამორბედი, მაგრამ **ეს ხელისუფლება ერთი-ერთზე იმეორებს სააკაშვილის პოლიტიკას. მეტიც, ამათ გაბედეს ის, რაც ვერ გაბედა სააკაშვილმა — მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი და ერი შეურაცხყვეს. ეს კანონი რა უბედურებაც არის, ბევრს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული და ჩვენ ამას ძალიან მალე დავინახავთ. ეს კანონი არის ის განასკვული მზაკვრობა, რომელსაც მომავალში მოჰყვება სხვა უბედურებები...**

**— ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გულისხმობთ?**

— ამაზე ძალიან მალე დაიწყებენ საუბარს და ეს მოხდება იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე წარმოგიდგენიათ. **ბევრი ფიქრობს, რომ ვერ გაბედავენ, რადგან ეს საქართველოა და ჩვენი ტრადიციები განსხვავებულია, მაგრამ მერწმუნეთ, ეს პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება. ამისთვის შემოგვისიეს თავის დროზე სააკაშვილის ფაშისტური ხელისუფლება და იგივე ამოცანა აქვთ ამათაც.** ასე რომ, ესენიც ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს ამოცანა ზედმიწევნით შესრულდეს, სხვა შემთხვევაში, იციან, რომ ამერიკისა და ევროპის მხარდაჭერას დაკარგავენ...

**— თუმცა გვეუბნებიან, რომ „დემოკრატიული დასავლეთი“ არაფერს გვაძალებს.**

— მაშინ **რას ნიშნავს ტერმინები: ევროკავშირის დირექტივა, ამერიკის რეკომენდაცია, ევროსტანდარტი, ამის სტანდარტი, იმის სტანდარტი, თუ ასეთი თავისუფლები ვართ და დასავლეთი კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას გვპირდება, რა საჭიროა მათი მითითებები?** ესენი შანსს არ გიტოვებენ, მაინცდამაინც პროდასავლური უნდა იყო, სხვაგან თუ გაიხედავ, ბნელი ხარ და გაუნათლებელი... ეს არის ამათი დემოკრატია? **საქართველოს არ სჭირდება ასეთი დემოკრატია. საქართველოს არ სჭირდება ისეთი „მეგობრები“, რომლებიც კოლონიად გადაგვაქცევენ...**

**— ხელისუფლება გვეუბნება, რომ ევროინტეგრაცია ქართველი ხალხის არჩევანია. ხშირად გვესმის ხოლმე ამგვარი ფორმულირებაც: „ისტორიული არჩევანი“. რა აზრის ხართ^ ამ ყველაფერზე?**

— ეს არის დიდი ტყუილი და ფარსი, რომელიც არც ერთ საღად მოაზროვნე მოქალაქეს არ სჯერა. ეს ერთი და მეორე კიდევ — **სად აქვს საქართველოს კურსი? რა კურსი, ჩვენ ვართ კოლონია, რასაც იქიდან გვიკარნახებენ, იმას ვაკეთებთ...**

რაც შეეხება დასავლეთს, დღეს ამერიკა არის სოდომი, ხოლო მათი მიმდევარი ევროპის მოცისფრო ნაწილი — გომორი...

**— თქვით, რომ დღევანდელი ხელისუფლება პირნათლად ასრულებს დასავლეთის დირექტივებს. ამასწინათ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა და მასში საქართველოში დემოკრატიის კუთხით არსებული მდგომარეობა საკმაოდ მძიმედ შეაფასა. როგორ ფიქრობთ, თუ დირექტივები ზუსტად სრულდება, კრიტიკას რატომ ვიმსახურებთ? რა დავაკელით „ჭეშმარიტ დასავლურ დემოკრატიას“?**

— **თუ, მაგათი აზრით, დემოკრატია არის ის, ვინ უფრო მალე გახდება მამათმავალი, ჩვენ ეგეთი დემოკრატია არ გვინდა. მათ კი, ვისაც „დასავლურად“ უძგერს გული და მიაჩნია, რომ საქართველო ვერ არის მთლად ევროპული სახელმწიფო, შეუძლიათ, მიბრძანდნენ იმ „ჭეშმარიტი“ დემოკრატიის ქვეყნებში.** ჩვენთვის გარყვნილება დარჩება გარყვნილებად, უზნეობა ყოველთვის იქნება უზნეობა და ქართველი კაცი ამას არ მიიღებს.

**— ფაქტია, რომ დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ქვეყნის პოლიტიკური სადავეები მუდმივად ე.წ. ნეოლიბერალური ფრთის ხელშია (გამონაკლისი იყო გამსახურდია, რომელსაც ერთი წელიც არ ადროვეს). თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მუდმივად ეს ძალები არ იყვნენ სათავეში? რა ბერკეტები აქვს ამისთვის საზოგადოებას?**

— არავის დაუტანებია ძალა ქართველი ამომრჩევლისთვის, რომ მისულიყო და ხმა მიეცა, მაგალითად, **თამარ კორძაიასთვის, ხიდაშელისთვის** ან სხვა რომელიმე რესპუბლიკელისთვის და მათნაირად მოაზროვნე კანდიდატებისთვის. როდესაც იცი, რომ ადამიანი უზნეობას ქადაგებს, იმას ხმა არ უნდა მისცე. რა მნიშვნელობა აქვს, რომელ პარტიაშია, რომელ კოალიციაში ან ვის გვერდით დგას. აი, ეს შეცდომა მოსდის მუდმივად ჩვენს საზოგადოებას და მერე თავში ხელს ვიცემთ ხოლმე; ამიტომ ვფიქრობ, გამოსავალი მხოლოდ ერთია: ვიდრე აირჩევ და ქვეყნის სადავეებს ჩააბარებ, უნდა გაიგო, ვინ არის და როგორ აზროვნებს ის კანდიდატი, არის თუ არა ეროვნული და ზნეობრივი ადამიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბრმად მივალთ საარჩევნო ყუთთან, ვიღაც-ვიღაცები ყოველთვის ეცდებიან შემოძრომას. მერე გულზე მჯიღისცემა ვერ გვიშველის, არჩეული არჩეულია და ძალაუფლებაც მის ხელშია...

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

ჩეკლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უსუფაშვილის განცხადებამ მაინც ყველა „რეკორდი“ მოხსნა. ხალხის რჩეულები ვართო. ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როცა ენას ძვალი არ აქვს და შუბლს — ძარღვი, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამეა. ცინიზმი და ბედის ირონიაა, რომ სამპროცენტიანი პოლიტიკური ცვედანი, რომელიც, სულ რაღაც, ორწლი-ნახევრის წინათ საარჩევნო ბარიერის გადალახვაზე ოცნებობდა, ახლა საკუთარ თავს ხალხის რჩეულს უწოდებს.**

# უსუფაშვილმა ქართველ ამომრჩეველს დასცინა



**10 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პლენარულ სხდომაზე უმრავლესობის სახელით გამოსვლისას დეპუტატებს ასე მიმართა: „ხალხის რჩეულები ვართ და მეტი უნდა ვიმუშაოთ“. ცხადია, ამ განცხადების ადრესატი უკლებლივ ყველა დეპუტატი იყო, მათ შორის, „ნაციონალიც“, თავისუფალი დემოკრატიც და რესპუბლიკელიც. მიუხედავად ამისა, პატივცემულმა თავმჯდომარემ ეს სიტყვები ისე წარმოსთქვა, თვალიც არ დაუხამხამებია. მოკლედ, ინტონაცია ისეთი ბუნებრივი იყო, კინაღამ გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ რესპუბლიკური პარტია სინამდვილეში სამპროცენტიანი პოლიტიკური ბალაგანი კი არა, რეიტინგის უკონკურენტო ლიდერია.**

საზოგდოდ, ქართველი საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრისთვის მიუნჰაუზენების ლაყბობა უცხო ხილი არ არის. მხოლოდ იმის გახსენება რად ღირს, „ნაცების ბარონი“ სააკაშვილი რუსულ ავიაციას ღრუბელ-ღრუბელ რომ დაემალა; საქართველო რომ სინგაპური და დუბაი უნდა გამხდარიყო, თავის დროზე ასევე არანაკლებ შთამბეჭდავი ზღაპარი იყო, მაგრამ **უსუფაშვილის განცხადებამ მაინც ყველა „რეკორდი“ მოხსნა. ხალხის რჩეულები ვართო — ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როცა ენას ძვალი არ აქვს და შუბლს — ძარღვი, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამეა. ცინიზმი და ბედის ირონიაა, რომ სამპროცენტიანი პოლიტიკური ცვედანი, რომელიც, სულ რაღაც, ორწლი-ნახევრის წინათ საარჩევნო ბარიერის გადალახვაზე ოცნებობდა, ახლა თავის თავს ხალხის რჩეულს უწოდებს.** მეტიც, ეს პოლიტიკური იმპოტენტი მასთან ერთად პარლამენტში მსხდომ სხვა იმპოტენტებსაც ხალხის მიერ არჩეულ კანონმდებლებად მოიხსენიებს და კოლეგებს ეუბნება, დაგავიწყდათ, მოსახლეობა რომ გენდოთ, ამომრჩეველს იმედი არ უნდა გაუცრუოთო. ვინ-ვინ და „რესპების ქორმა“ ძალიან კარგად იცის, რომ რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში მისი პარტია პარლამენტში ვერ გაჭაჭანდება; იცის, რომ დეპუტატის მანდატი და ფუმფულა სავარძელი სანატრელი გაუხდება, მაგრამ მას ეს საერთოდ არ ადარდებს. უსუფაშვილიც და მისი თანაგუნდელებიც ამ მხრივ თავს სრულიად დაცულად გრძნობენ, რადგან **ზუსტად იციან, რომ „დემოკრატიული დასავლეთი“ რიგგარეშე არჩევნებს არ დაუშვებს.** ისე, ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო და სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას: უსუფაშვილი იმის თქმასაც რომ არ თაკილობს, ხალხის რჩეულები ვართო, ისევ და ისევ ჩვენი, რიგითი ამომრჩევლის, ბრალია. თავის დროზე „ნაცების“ სიძულვილს რომ არ დავებრმავებინეთ და საარჩევნო ყუთთან იმ განწყობით არ მივსულიყავით, ოღონდ სააკაშვილის რეჟიმი არა და ვინც გინდა, ნებისმიერიო, ახლა სამპროცენტიანი „რესპის“ მიუნჰაუზენობა ნერვებს არ მოგვიშლიდა. ყოველ შემთხვევაში, სიტყვა არჩეულის ხსენებაზე უსუფაშვილს „რუხი ოლიგარქის“ სახე მოელანდებოდა და საკუთარ თავს თვითონვე მიჯირყვნიდა, მაგრამ, **სამწუხაროდ, ქართველმა საზოგადოებამ თავის დროზე ვერ გაითვალისწინა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ბრმა არჩევანი მალე თავში საცემი შეიძლებოდა გახდომოდა და მილიარდერი ივანიშვილი მესიასავით მიიღო. ეგ იყო და ოლიგარქს ყველაფრის უფლება მივეცით, მათ შორის, კოალიციაში წამყვან ძალად რესპუბლიკელების დაყენებისაც და აი შედეგი: დღეს ეს პარტია ურცხვად გვეუბნება, თქვენი არჩეული ვართ, ჩვენ თქვენს პოლიტიკურ ნებას გამოვხატავთო.** ამ ლოგიკით რომ მივყვეთ, თურმე **ჩვენი ნება ყოფილა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაც, მიწების უცხოელებზე გასხვისების მოღალატეობრივი დადგენილებაც და ა.შ.**

## საზოგადოების შეცდომა რომ არა, «რესპების ქორი» მსგავს განცხადებას ვერ გაბედავდა

ბევრი რომ არ გავაგრძელო, საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველო სულ მალე „ჭეშმარიტ დასავლურ დემოკრატიას“ ეზიარება და აქაც ისეთივე კანონებს მიიღებენ, როგორსაც ამერიკა და ევროპის სახელმწიფოები იღებენ. ვგულისხმობ სოდომიის დაკანონებას, შემდეგ ერთსქესიანთა ოჯახებისთვის შვილის აყვანის უფლების მიცემას და კიდევ სხვა მრავალ მსგავს გადაწყვეტილებას. მოკლედ, **როცა ამ საკანონმდებლო ცვლილებებს მიიღებენ, არ გაგიკვირდეთ, თუ იგივე უსუფაშვილი კვლავ წარბშეუხრელად გამოგვიცხადებს, ეს ჩვენი არჩევანიაო. იქნებ მართლაც ასე არის. სხვა შემთხვევაში ხალხი არ დაუშვებდა პოლიტიკური მუმიების პარპაშს და, თავის მხრივ, ვერც სამპროცენტიანი პოლიტიკური ცვედანები გაბედავდნენ საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრას.**

ასეა თუ ისე, ფაქტია, საზოგადოება დუმს, არადა, საკითხავია — ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილი ოქროა, თუ ის, როცა დუმილით გაიცემა ღმერთი...

**ჯაბა ჟვანია**

# ქართულო ჯარო, აშშ-ის არმიაზე სწორდი!

**ჩვენი შინნაზარდი ლიბერალები დროდადრო გვაბრიყვებენ, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს თავიანთი ჩექმებით შემოაქვთ „თავისუფლების მიწა“, ჰაერი უმალ იჟღინთება „თავისუფლების სურნელით“, წყალიც იღებს „თავისუფლების გემოს“ და წარმოიდგინეთ, აშშ-ის სარაკეტო-საავიაციო დარტყმების შემდეგ შენობებიც კი რაღაც „განსაკუთრებული თავისუფლებით“ ინგრევა და იწვის...**



„თავისუფლება ამერიკულად“, სამწუხაროდ, დაავიწყდა ევროკავშირის წამყვან ქვეყანას — გერმანიას, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკულ საოკუპაციო ზონაში, სახელდახელოდ აგებულ ტყვეთა ბანაკებში ამერიკელმა „დემოკრატებმა“ შიმშილით ამოხოცეს მილიონზე მეტი გერმანელი სამხედრო პირი. სამაგიეროდ „ატლანტიკგაღმელების“ ველურობა მშვენივრად ახსოვთ ვიეტნამში, პანამაში, გრანადაში, იუგოსლავიაში, ავღანეთში, ერაყსა და სხვა ქვეყნებში, სადაც კი „დემოკრატიის“ დასამკვიდრებლად შეიჭრნენ „მამაცი იანკები“... „უწყინარი ამერიკელები“ მოწინააღმდეგეებსაც ირჩევენ, როგორიც მათ სიმამაცეს შეეფერება — სამხედრო დარგში მათზე აშკარად სუსტს, თუმცა პატარა ვიეტნამმა უზარმაზარ აშშ-ს, რა თქმა უნდა, დიდი საბჭოთა კავშირის დახმარებით, კბილები, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩამოულო.

ყველაზე მეტად კი ამერიკელებს უყვართ ისეთი ომი, რომელშიც თვითონ არ მონაწილეობენ, მხოლოდ სვამენ ლუდს, წრუპავენ კოქტეილს და დასდევენ ადგილობრივ ქალებს. „ჰამბურგერგამოკვებილნი“ და „კოკა-კოლდალეულნი“ აუპატიურებენ ყველაფერს, რაც კი მოძრაობს; არც ერთმანეთს ინდობენ. აგერ, პენტაგონის ოფიციალური სტატისტიკა: **რაოდენობა ამერიკელი სამხედროებისა, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, 2013-დან 2014 წლის ჩათვლით, გაიზარდა 19 ათასიდან 26 ათასამდე. გამოდის, რომ აშშ-ის არმიაში ყოველდღიურად აუპატიურებენ 71 სამხედროს! აქვე აღსანიშნავია, რომ ამ სიაში არ შედის სხვა „მოკავშირე“ სახელმწიფოების მცხოვრებთა (როგორც ქალების, ისე კაცების) გაუპატიურების შემთხვევები. მაგალითად, იაპონიის კუნძულ ოკინავაზე, სადაც განლაგებულია აშშ-ის სამხედრო ბაზა, ერთი თვის განმავლობაში ამერიკელები აუპატიურებენ დაახლოებით 25 ადგილობრივ ქალს.** ეს — ოფიციალურად. იაპონური მასმედიის მონაცემებით კი, სამჯერ მეტი გაუპატიურებული ქალი, სირცხვილის გამო, არ აცხადებს პოლიციაში მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე.

ვერც სამხრეთ კორეაში განლაგებული ამერიკული ბაზების ხელმძღვანელობა დაიკვეხნის სამაგალითო დისციპლინით. **1952-2014 წლებში აშშ-ის სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ სამხრეთ კორეაში 100 ათასს გადააჭარბა!** პირველ ადგილზე, რასაკვირველია, გაუპატიურებებია; მეორეზე — საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები; ხოლო მესამეზე — განზრახული და არაგანზრახული მკვლელობები... უფრო ზუსტად, მკვლელობების დიდი უმრავლესობა სახელდება, როგორც „არაგანზრახული“ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამერიკელი სამხედროები სამხრეთ კორეის სასამართლოებისთვის მიუწვდომელნი არიან!..

მკითხველი დაინტერესდება, იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც აშშ-ის სასამართლო საკადრისად სჯიდა ამერიკელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს მათ მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულითვის? სჯიდა, მაგრამ ასეთი მაგალითები ძალზე იშვიათია, შეიძლება ითქვას, თითზე ჩამოსათვლელი!

**ამერიკელებისთვის სულერთია, რომელ „მოკავშირე“ ქვეყანაში იმყოფებიან, თავს ყველგან დაუსჯელად გრძნობენ. იქ მათ ვერავინ გაასამართლებს, მით უმეტეს, აშშ-ში არავინ მოსთხოვს მათ პასუხს „ველურების“ მიმართ ჩადენილ დანაშაულზე! მოკლედ, როგორც ანგლო-საქსები ცინკურად ხუმრობენ, „ატლანტიკისგაღმელი ჯენტლმენი პასუხს არ აგებს იმაზე, რასაც სჩადის ჯენტლმენი ატლანტიკის გამოღმა“.**

მაშ, დაემსგავსოს ქართული ჯარი ამერიკულ არმიას? ვინაა მომხრე?

**გიორგი კორძაძე**

„ნატოს დახურული კარის მტვრევა სარგებელს არ მოგვიტანს. ჩვენ მხარში არავინ დაგვიდგება. ნუთუ უკრაინის მაგალითი საკმარისი არ არის? — რუსეთმა ყირიმი ცხვირწინ ააცალა დასავლეთს. დარწმუნებული ვარ, ორჭოსანთან საზღვრის გადმოწევა პირდაპირ არის დაკავშირებული საწვრთნელი ცენტრების განთავსებასთან. თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ რუსეთი თავის ხელით გადაწევს საზღვარს უკან, სააკაშვილის განცხადებისგან არაფრით განსხვავდება. ეს პროვოკაციული განცხადებაა“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჯუმბერ კირვალიძე:

# თავდაცვის მინისტრი პროვოკაციას აწყობს

10 ივლისს ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის ტერიტორიაზე თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის ახლოს ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი აღმართეს. კილომეტრ-ნახევრით საზღვრის გადმოწევამ, უფრო ზუსტად, ბანერის დადგმამ წარწერით: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ სრულიად საქართველო შეაშფოთა, მათ შორის, რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანებიც.

14 ივლისს სოფელ ხურვალეთში გაიმართა სხვადასხვა მედიაორგანიზაციის წარმომადგენელთა საპროტესტო აქცია „არა ოკუპაციას“. ჟურნალისტებმა რუსი ოკუპანტების მიერ დამონტაჟებული ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი მოთხარეს და ნაგავში გადააგდეს. ჟურნალისტების თქმით, მათ „მცოცავი ოკუპაცია“ და ოკუპანტების მხრიდან საზღვრების უკანონოდ მითვისება გააპროტესტს. ბანერის დადგმას მუქარით უპასუხა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა...

მართებულია თუ არა ხელისუფლების, მედიის წარმომადგენლებისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციების რეაქცია ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის დადგმაზე? რამ გააღიზიანა რუსეთის ფედერაცია? დადგა თუ არა დრო, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები უფრო აქტიურ და მნიშვნელოვან ფაზაში გადავიდეს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე გვესაუბრება.

**— ბატონო ჯუმბერ, მომწიფდა თუ არა სიტუაცია ისე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირება აქტიურ ფაზაში გადაიყვანოს და თუნდაც აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოებაზე იზრუნოს? პრემიერი ამბობს, რომ ფორმატის გაფართოება არ იგეგმება...**

— სიტუაცია მომწიფდა კი არა, გადამწიფდა კიდეც. **ორჭოსანთან და ხურვალეთთან საზღვრის კილომეტრ-ნახევრით გადმოწევამ ბევრ რამეზე უნდა დააფიქროს ხელისუფლება. მართალია, ამ ტერიტორიაზე დემარკაცია არ არის, მხოლოდ ბანერი დაიდგა და ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, მაგრამ, ქვეყანა ასეთი ფაქტის წინაშე რომ დგება, რეაგირება აუცილებელია, ასეთ ფაქტებს რეაგირების გარეშე სააკაშვილი ტოვებდა.**

ახალმა ხელისუფლებამ თავდაპირველად კარგად დაიწყო რუსეთთან ურთიერთობა, როდესაც აბაშიძე-კარასინის შეხვედრები დაგეგმა, მაგრამ ეს ფორმატი პოლიტიკურ საკითხებზე საუბრის საშუალებას არ იძლევა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლების პირველმა პირებმა არაორდინარული გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, რუსეთთან ურთიერთობაში მეტი ნაბიჯებია გადასადგმელი, იმის ნაცვლად, რომ აბაშიძეს ფუნქციები გაუზარდონ, ერთ ადგილას გაყინეს.

**დიცში რომ გადმოწიეს საზღვარი, ოპოზიციას რომ უწოდებენ, ის დესტრუქციული ძალები ჩავიდნენ იქ და აქციები მოაწყეს, ახლაც ვიღაცები, ჟურნალისტებთან ერთად, ჩავიდნენ და ბანერები ჩამოგლიჯეს, ყველა ეს ადამიანი თბილისში დაბრუნდება. იქ, ადგილზე კი, ადგილობრივი მოსახლეობა რჩება პრობლემის პირისპირ, თანაც — მარტო. მათზე არავინ ფიქრობს.**

— რუსეთს ასეთი საქციელის მიზეზს ხანდახან საქართველო ხომ არ აძლევს?

— **სექტემბერში ნატოს საწვრთნელი ცენტრები რომ იხსნება, ვინმეს თავში მოსდის აზრად, რომ რუსეთი თვალს დახუჭავს და თავს მოიტყუებს? ეს წარმოუდგენელია.**

აბაშიძე-კარასინის შეხვედრების გარდა, რუსეთთან მოლაპარაკების სხვა ფორმატი არ გვაქვს, ჩვენ მათთან პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებზე ხომ არ ვსაუბრობთ?



**«ერთობა» იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც საერთაშორისო ხელშეკრულება გააფორმა «ედინაია როსიასთან» — პუტინის პარტიასთან, იმხანად ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული არ იყო. არ ვიცი, ბურჯანაძეს მოსკოვში რას ჰპირდებიან, მაგრამ 2002 წელს «ერთობის» ეს ინიციატივა ძალიან ნაყოფიერი იყო და შედეგიც მოჰყვებოდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებიდან არავინ დაინტერესდა. თვითონ ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარე კი ჩვენ რუსეთუმეებს გვექახდა»**

**ნატოს დახურული კარის მტვრევა სარგებელს არ მოგვიტანს, მხარში არავინ დაგვიდგება. ნუთუ უკრაინის მაგალითი საკმარისი არ არის?! რუსეთმა ყირიმი ცხვირწინ ააცალა დასავლეთს. დარწმუნებული ვარ, ორჭოსანთან საზღვრის გადმოწევა პირდაპირ უკავშირდება საწვრთნელი ცენტრების განთავსებას.**

**თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ რუსეთი თავის ხელით გადაწევს საზღვარს უკან, სააკაშვილის განცხადებისგან არაფრით განსხვავდება. ეს პროვოკაციული განცხადებაა.** საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან საუბრის ტონი შეცვალა, ამ დროს კი თავდაცვის მინისტრი პროვოკაციას აწყობს. **თინა ხიდაშელი სასწრაფოდ ან პარლამენტში დააბრუნონ, ან არასამთავრობო სექტორში გაუშვენ. თუ ხიდაშელის განცხადებას რეაგირება არ მოჰყვება, მაინტერესებს, რამე რომ მოხდეს, ვინ იქნება პასუხისმგებელი თავდაცვის მინისტრის უაპელაციო განცხადებაზე — თვითონ თუ მთელი მთავრობა?**

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია რუსეთთან ტერიტორიების დაბრუნებაზე საუბარი?**

— რა თქმა უნდა, შეგვიძლია და ბევრი რამ კიდევ არის გასაკეთებელი, ოღონდ ცოტა შორიდან დავიწყებ. ახლახან ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ერთადერთი ვარ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ვისაც რუსეთთან საუბარი ძალუძს და რუსეთში მხოლოდ მე მელოდებიანო... მხოლოდ ერთხელ ვიყავი პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელსაც „ერთობა“ ერქვა, მას ხელმძღვანელობდნენ **ჯუმბერ პატიაშვილი** და **ალექსანდრე ჭაჭია.** იმ პერიოდიდან მახსოვს ნინო ბურჯანაძის თვალსაზრისი რუსეთის ფედერაციაზე. **„ერთობა“ იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც საერთაშორისო ხელშეკრულება დადო „ედინაია როსიასთან“ — პუტინის პარტიასთან,** იმხანად ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული არ იყო. არ ვიცი, ბურჯანაძეს მოსკოვში რას ჰპირდებიან, მაგრამ 2002 წელს „ერთობის“ ეს ინიციატივა ძალიან ნაყოფიერი იყო და შედეგიც მოჰყვებოდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებიდან არავინ დაინტერესდა. თვითონ **ნინო ბურჯანაძე, პარლამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარე, ჩვენ რუსეთუმეებს გვექახდა, ის შევარდნაძის ხელისუფლებას წარმოადგენდა და პროდასავლური კურსის ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი იყო „რეფორმატორ“ სააკაშვილსა და „დემოკრატ“ ჟვანიასთან ერთად. ასე იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც...**

**— საქართველოდან რუსეთში წამსვლელი ძალიან ბევრია და ყველა ვერც ახერხებს გამგზავრებას, რაზეც გრიგორი კარასინმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, განაცხადა, რომ რუსეთში წამსვლელებს პრობლემა იმიტომ ექმნებათ, რომ საქართველოს საკონსულოში საკმარისი პერსონალი არ ჰყავთ და თანამშრომლების დამატების უფლებას საქართველო არ აძლევს...**

— ეს ტექნიკური საკითხია, დეტალებს არ ვიცნობ, მაგრამ ვიტყვი, ამდენი წლის გასვლის შემდეგ გაუცხოება დაიწყო, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საერთოდ ყველა ძაფი გაწყდა. ამიტომ **აუცილებელია, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების შეხვედრა. გასაგებია, რომ ამ შეხვედრის წინააღმდეგნი საქართველოშიც არიან და რუსეთშიც, მაგრამ არიან და იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლოთ. ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ევგენი პრიმაკოვის შესაძლებლობები და ვერც იგორ ივანოვისა. რუსეთში ყოველთვის მოიძებნებიან საქართველოს კეთილის მსურველები.**

**— რა ნაბიჯები უნდა გადადგას სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ საქართველომ, რუსეთთან ურთერთობა უფრო მეტად რომ არ გამწვავდეს?**

— 15 ივლისს აბაშიძე და კარასინი ერთმანეთს ხვდებიან და სწორედ მათ უნდა დაგეგმონ, რათა უმოკლეს ვადაში გაიმართოს საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრა. აუცილებელია ამის გაკეთება, რადგან გამოუვალ სიტუაციაში ვართ.

მინდა, ყველას ვუთხრა, ქვეყანაში საგანგაშო სიტუაციაა, ვგრძნობ, რაღაც უნდა მოხდეს, ისიც ვიცი, რომ რუსეთთან დალაპარაკების საშუალება არის, არის ადამიანიც, რომელიც ამას გააკეთებს. ნაბიჯები ხვალვეა გადასადგმელი, 15 ივლისის შეხვედრაზე აბაშიძემ და კარასინმა ყველა შესაძლო პროვოკაცია თავიდან უნდა აირიდონ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

მოკლედ

## საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი ბრიუსელში მიღწეულ შეთანხმებას მხარს არ უჭერს

**საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა პანოს კამენოსმა განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ბრიუსელში საბერძნეთის თაობაზე მიღწეულ შეთანხმებას. ბრიუსელის შეთანხმებით უკმაყოფილო არიან ციპრასის ხელისუფლების სხვა წევრებიც.**

„გეგმა, რომელიც საბერძნეთის პარლამენტს წარედგინა, ქვეყნის ეკონომიკას არ დაეხმარება. ცხადია, რომ ჩვენ მევალეთა კოლონია ვხდებით“, — განაცხადა საბერძნეთის ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ნიკოლას ტეოკარაკისმა.

ბრიუსელში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ევროზონა თანახმაა, მოლაპარაკებები დაიწყოს საბერძნეთისთვის ახალი ფინანსური დახმარების პაკეტზე, რომლის ოდენობაც 82-86 მილიარდი ევრო იქნება. აგრეთვე, შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელსაც საბერძნეთის ხელისუფლება მართავს. ფონდში 50 მილიარდი ევროს ბერძნული აქტივები იქნება. ამ თანხის ნახევარი ბერძნული ბანკების რეკაპიტალიზაციისკენ იქნება მიმართული.



გამოხმაურება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველებს სტალინისთვის ძეგლი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ ქართული საგანძურის დაბრუნებისთვის უნდა დაედგათ... მხოლოდ სტალინის ძალისხმევით მოხდა დაბრუნება ქართული საგანძურისა, რომელიც უკვე საფრანგეთს ჰქონდა მისაკუთრებული. ეს საქმე საბჭოთა კავშირის მეთაურის — იოსებ სტალინისა და საფრანგეთის პრეზიდენტის — შარლ დე გოლის მოლაპარაკებით გადაწყდა.**

# სტალინისა და დავით აღმაშენებლის ძეგლები ძველ ადგილას უნდა დავაბრუნოთ!

## ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი და არა ერთმა პირმა, თუნდაც პრემიერმა

**„ — ქალბატონო მანანა, პრემიერმა დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაზე ისაუბრა და, ალბათ, მისი ეს ინიციატივა ძალიან მალე შესრულდება. ხომ არ იცით, რა პოზიცია აქვს მას სტალინის ძეგლის დადგმაზე?**

— დავით აღმაშენებლის ძეგლთან დაკავშირებით რა ხდება, ნამდვილად არ ვიცი, ეს კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა.

**— სტალინის ძეგლის დადგმაზე თუ არის რაიმე სიახლე?**

— ვისი? და რა სიახლე უნდა იყოს, რა ხდება?

**— გორში აქციების დაწყებას გეგმავენ, მოითხოვენ, რომ სასწრაფოდ დაიდგას.**

— სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით პრემიერის პოზიცია არ შეცვლილა.

**— ანუ სტალინის ძეგლი არ დაიდგმება?**

— არა!“

**ეს დიალოგი მთავრობის პრესსამსახურის თანამშრომელ მანანა თოქმაჯიშვილსა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტ ეკა ნასყიდაშვილს შორის გაიმართა და გამოქვეყნდა კიდეც გაზეთის წინა ნომერში (8-14 ივლისი, 2015 წ., №25) სათაურით „ვინ უშლის ხელს სტალინის ძეგლის თავის ადგილას დაბრუნებას გორში“.**







ჩინგის ყაენის ძეგლი ლონდონის ცენტრში

საკითხი ერთობ რთული და, ამასთანავე, ბურუსით მოცულია; ისევე, როგორც დღევანდელი ხელისუფლების „საქმენი საგმირონი“. ორივე ძეგლთან დაკავშირებული პრობლემები „ნაცურმა“ ხელისუფლებამ გააჩინა და, თუ პირველ შემთხვევაში (დავით აღმაშენებლის) ინიციატივა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — სააკაშვილის გუნება-განწყობილების ნაყოფია, სტალინის ძეგლის დემონტაჟი კოლექტიური შემოქმედებაა, ანუ დასავლელი, განსაკუთრებით — აშშ-ის, პოლიტიკოსებისა და მათი ყურმოჭრილი მონის — სააკაშვილისა და მისი გუნდის ერთობლივი გადაწყვეტილება. მათი ინიციატივითვე ააფეთქეს ქუთაისის „დიდების მემორიალიც“. ღარიბაშვილს ორივე საკითხი თავსატეხად ექცა, ვინაიდან ობიექტურ, კანონიერ, სწრაფ რეაგირებას მოითხოვს მისგან. ასეთია ხალხის სურვილი. და რომ ეს ასეა, პრემიერის განცხადებიდანაც ჩანს — ნაწილობრივ, მხოლოდ აღმაშენებლის ძეგლზე, მაგრამ ეკა ნასყიდაშვილის მასალამ ცივი წყალი გადაგვასხა მეც და სხვებსაც, ვინც აღნიშნული საკითხების სწრაფ გადაჭრას ველოდით.

პრემიერმინისტრის პრესსამსახურის მუშაკი „ცივი შხაპის“ შემოქმედია თავისი ზერელე პასუხით, — „კულტურის სამინისტრის პრეროგატივაა“-ო. ჩვენ კი გვეგონა, პრემიერის ნათქვამს მიწაზე დაშვებამდე, ჰაერშივე დაიჭერდა მერია. ნაცვლად ამისა, მივიღეთ უსუსური პასუხი.

**საზოგადოება მოითხოვს ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნებას, მაგრამ არის კი ამის შესაძლებლობა?**

**წინა ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებისა და ამჟამინდელის გულგრილობის შედეგად სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიას“ მიმდებარე ტერიტორია ისე შეიცვალა და ჩაიხერგა უსახური შენობებით, კაფეებით, „ნაცურმა“ ხელისუფლებამ ისე უსწრაფესად მოაოხრა ის მიდამო, ძეგლის კი არა, ნემსის ჩაგდებაც გაჭირდება.**

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ დავით აღმაშენებლის ძეგლი უსახური მინის შენობის წინ, რომელშიც სავაჭრო ცენტრი განთავსდება. ამ შენობის აშენებით დაიკარგა სივრცე, ნებისმიერი ძეგლის აღქმისთვის საჭირო და აუცილებელი. ამ ტერიტორიას „ნაცებმა“ ის დამართეს, რაც პარლამენტის შენობას. მიზანი — არც პარლამენტის შენობა ყოფილიყო პარლამენტისთვის და არც დიდი მეფის ძეგლი დაბრუნებოდა ძველ ადგილას.

სტალინის ძეგლის მიმართ კი უნიათო პოლიტიკასთან გვაქვს საქმე. გორელების, და არა მხოლოდ მათი, საქციელი ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას ჰგავს. კარგად გვახსოვს გორისა და ქუთაისის ამბავი — რა ცოტა ხალხი გამოვიდა ძეგლების დასაცავად. არც გორსა და არც ქუთაისში ქუდზე კაცი არ გამოსულა, სააკაშვილის ჯალათი პოლიციისა შეეშინდათ. გარდა ამისა, ყველამ გაუწია ანგარიში საკუთარ ოჯახს. ადამიანები ვერ აიტანდნენ რეპრესიებს, ძეგლები კი ყველაფერს იტანენ. **საპროტესტო აქციაზე ბევრი გორელი რომ გამოსულიყო და მათ თბილისელებიც მიმატებოდნენ, შედეგი სხვა იქნებოდა.**

დღეს სხვა ვითარებაა — სადამსჯელო ოპერაციები აღარ ტარდება, მაგრამ საზოგადოება ისეთივე ინდიფერენტულია, როგორც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, როცა ძეგლებს, რასაც მოისურვებდნენ, იმას უშვრებოდნენ. არადა, კატეგორიული სახალხო მოთხოვნის შემთხვევაში, არათუ სტალინს, ჰიტლერსაც კი დაუდგამენ ძეგლს.

ხელისუფლებამ იცის, რომ საზოგადოება ძეგლების ძველ ადგილებზე დაბრუნების მოთხოვნით მასობრივ საპროტესტო აქციებს არ გამართავს და, რადგან ასეა, ცდილობს, კოჭი უგოროს დასავლეთს. არადა, საზოგადოების მოთხოვნის შემთხვევაში პრეზიდენტიც შეიცვლიდა აზრს და ივანიშვილიც, რომელმაც ერთხელ თქვა, სტალინთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება მაქვსო. „ამ მოსაზრებამ“ აფიქრებინა პრემიერს ის, რაც თოქმაჯიშვილმა გაახმოვანა.

**ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი და არა ერთმა პირმა, თუნდაც პრემიერმა,** მაგრამ საზოგადოების ნაწილი აყოლილია ანტისტალინურ, ანტისაბჭოურ პროპაგანდას და ისტორიის ფალსიფიცირებულ ფურცლებს სინამდვილედ აღიქვამს. ცოტას თუ შეაქვს სინათლე ამ ბოროტებისა და სიცრუის მორევში და მათ შორის გაზეთი „საქართველო და მსოფლიოა“. **მადლობა რიგბოლ ონიანს, რომელიც გაზეთის ყველა ნომერში აქვეყნებს სიმართლეს სტალინურ ეპოქაზე, ამან თვალი უნდა აუხილოს სიცრუეს აყოლილ საზოგადოებას.**

სტალინის პიროვნება იყო, არის და იქნება საზოგადოებრიობის, მათ შორის, უცხოელთა დიდი ინტერესის საგანი. გასული საუკუნის სამოციან წლებში ტურიზმის სისტემაში ვმუშაობდი და გამუდმებით მიწევდა ტურისტულ მარშრუტში სტალინის სახლ-მუზეუმის შეტანა ამერიკელი, ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი თუ სხვა ტურისტების თხოვნით. ამ სახლ-მუზეუმს დღესაც არ აკლია უცხოელი სტუმრები. ჩვენ კი რა გავხდით?!

**უნდა შევიგნოთ, რომ სტალინის სახელი საქართველოსთან არის დაკავშირებული და ის გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში, ვიდრე დიდი მეფე დავით აღმაშენებლი, ბუმბერაზი რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე და სხვ.**

**საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებამ, ფაშიზმზე გამარჯვებამ, სხვა დიდმა საქმეებმა მოუტანეს სტალინს უკვდავება, ჩვენ კი ძეგლსაც ვიმაღლით.**

ტირანი იყოო, მაგრამ არანაკლები ტირანი იყო ჩინგის ყაენი. დრო იყო მაშინ ისეთი. რაც შეეხება სტალინის ტირანობას — ეს საკითხი გამოწვლილვით არის შესასწავლი, ფალსიფიცირებული ისტორიის ჩამოშორებითა და სინამდვილის გამომზეურებით.

**სისხლისმსმელ ტირან ჩინგის ყაენს ლონდონის ცენტრში, ჰაიდ პარკში, ძეგლი დაუდგეს, ინგლისელი მკვლევარების მიერ შექმნილი სქელტანიანი წიგნის თანხლებით, რომელშიც განმარტებულია მის მიერ წარმოებული ომები და, ამასთანავე, პროგრესი, წინსვლა არა მხოლოდ მონღოლთათვის, არამედ კაცობრიობისთვის. ჩინგის ყაენის ნამოქმედარში პოზიტივი სჭარბობს ნეგატივს — ასეა წიგნში. მონღოლი ხალხი დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ეკიდება ჩინგის ყაენის პიროვნებას. მისი ძეგლები ამშვენებს მონგოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორს.**

ქართველებს სტალინისთვის ძეგლი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ ქართული საგანძურის დაბრუნებისთვის უნდა დაედგა. არამც და არამც არ ვაკნინებ **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელსა და ღვაწლს, მაგრამ ვიაზროვნოთ რეალურად და ვთქვათ სიმართლე — **შეძლებდა კი გასული საუკუნის ოციან წლებში გაუქმებული საქართველოს მთავრობის წევრი საფრანგეთის საკუთრებაში გადასული ქართული საგანძურის დაბრუნებას? იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ეს საგანძური ექვთიმეს თავის სახლში ჰქონდა?** მხოლოდ სტალინის უშუალო ძალისხმევით მოხდა დაბრუნება ქართული საგანძურისა, რომელიც უკვე საფრანგეთს ჰქონდა მისაკუთრებული. ეს საქმე საბჭოთა კავშირის მეთაურის — **იოსებ სტალინისა** და საფრანგეთის პრეზიდენტის — **შარლ დე გოლის** მოლაპარაკებით გადაწყდა.

მხოლოდ სტალინის მითითებით შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენა და ეს მაშინ, როდესაც მსგავსი ჩანაწერი არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას არ ჰქონდა. შევარდნაძე კი შეეცადა, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის შექმნისას პროექტიდან ქართული ენა ამოეღო და, როდესაც ამას გამოსვლები მოჰყვა, ხალხი დაარწმუნა თავის უცოდველობაში და ყველაფერი მოსკოვს გადააბრალა.

სტალინი იყო პიროვნება, რომელმაც აგრარული საქართველო ინდუსტრიულ ქვეყნად აქცია — რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, თბილისის საავიაციო ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და ა.შ., რომ აღარაფერი ვთქვათ სამგორის სარწყავ სისტემაზე, მეცნიერებათა აკადემიასა და სხვა მრავალზე. ჩვენ კი ასეთ პიროვნებას ვაგინებთ, ვლანძღავთ, ისტორიის გამყალბებელთა ფეხის ხმას აყოლილნი.

დიახ, სტალინის ძეგლი უნდა დაუბრუნდეს გორს და ეს საქმე ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, მან უნდა ითავოს!

**ჰამლეტ ჭიკაშვილი,**
პოლიტოლოგი

„1997 შეიქმნა და 1998 წელს ამუშავდა ქართული ფლოტი, საოკეანო ფლოტზე გელაპარაკებით, ედუარდ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით. თავდაპირველად იყო 7 გემი. მათი რაოდენობა პერსპექტივაში უნდა გაზრდილიყო და... მოხდა „ვარდების რევოლუცია“. იმხანად ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული სავაჭრო ფლოტი, გვქონდა ძლიერი კაბოტაჟური ფლოტი, რომელიც თევზის ჭერაზე იყო ორიენტირებული და დაახლოებით 120 სეინერისგან შედგებოდა“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შავი ზღვის «ქართულ აკვატორიას» თურქი მეზღვაურები დაეპატრონენ




**სახელგანთქმულ ამერიკელ ილუზიონისტ დევიდ სეტ კოტკინს — დევიდ კოპერფილს ხალხის სასეიროდ „აღმოსავლეთ ექსპრესის“ ვაგონის გაქრობა შეეძლო. საქართველოში „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ ხალხის საზიანოდ მთელი ფლოტი „გააქრეს“ — თევზის სარეწი საოკეანო და კაბოტაჟური ფლოტის გემები. ის, რაც ამათ მოიმოქმედეს, სცდება ცირკის ხელოვნებას და კორუფციული დანაშაულის განზომილებაში გადადის.**
**ცნობილი ქართველი მეცნიერი-ეკონომისტი, პროფესორი დავით იაკობიძე გარკვეულ პერიოდში ფოთში მუშაობდა და, სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა ზღვის კანონს, ახსოვს ქართული საოკეანო ფლოტის შექმნისა და დაშლის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ არ არის ამ დარგის სპეციალისტი, შეუძლია ზღვასთან დაკავშირებულ საქართველოს სამეურნეო პროცესებზე პროფესიული საუბარი.**



— სანაოსნო, — **ამბობს ბატონი დავითი,** — მარტივი ცნება არ არის. საბჭოთა კავშირის პერიოდში **სამხედრო ფლოტი** შავი ზღვის ნავსადგურებში, მათ შორის, ფოთისა და ბათუმის პორტებშიც, იყო დისლოცირებული. ეს ერთი.

**მეორე ნაწილს** საოკეანო თევზჭერის გემები შეადგენდა. ექვსი ასეთი გემი გვქონდა, რომლებიც ფოთის პორტს იყო მიწერილი. თევზჭერის ეს კომბინატები არგენტინისა და პერუს სანაპიროებთან ეწეოდა რეწვას.

**მესამე ნაწილი** — კაბოტაჟური, სანაპირო ფლოტი, წარმოდგენილი იყო, როგორც კოლექტიური მეურნეობები (გაგრის, გუდაუთის, ფოთის, ხობის, ბათუმისა და ა.შ. კოლმეურნეობებს ჰქონდათ თავიანთი მცირე ფლოტები, რომლებიც შავ ზღვაში ეწეოდნენ თევზის რეწვას).

**მეოთხე** — სამოქალაქო მიმართულების სავაჭრო ფლოტი, მართვის ცენტრებით სევასტოპოლსა და ოდესაში, ექვემდებარებოდა, ცხადია, მოსკოვს.

ასეთნაირად ორგანიზებული საზღვაო სტრუქტურით მივედით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

**— თუ არ ვცდები, იმხანად ასეთი დათქმა იყო: ვის ტერიტორიაზეც რომელი გემებიც იყო ბაზირებული, იმ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო.**

— პრინციპი ასეთი იყო, მაგრამ რეალობა — სხვა.

სამხედრო ფლოტი სპეციფიკური თემაა და დღეს ნუ განვიხილავთ. სამოქალაქო ფლოტი კი, უფრო ზუსტად, საქართველოს თევზსაჭერი ფლოტი, რომელიც, როგორც ვთქვი, დიდი საწარმოო ერთეულებისგან შედგებოდა, ფაქტობრივად, მწყობრიდან იყო გამოსული. 5 გემი ფოთში უძრავად იდგა. 1 საერთოდ არ ჩამოდიოდა ფოთში და სადღაც სახალინისა და ახალი ზელანდიის აკვატორიების მახლობლად მოძრაობდა, ზუსტად არც ვიცოდით, სად იმყოფებოდა. ზოგჯერ მოგვდიოდა ცნობა, რომ ხან ახალი ზელანდიის სანაპიროსთან იმყოფებოდა, ხან — ვიეტნამის ტერიტორიული წყლების მახლობლად.

**— ამ დროს რას აკეთებდა ეს „დიდი საწარმო“?**

— აკეთებდა თავის საქმეს, თევზის რეწვით იყო დაკავებული... და საკუთარ ჯიბეში იდებდა ამ საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს. არც ამ გემს, არც მეორეს, რომელიც „თავისუფალ ცურვაში“ იყო გასული და ხან ინგლისის ნავსადგურში დააკავებდნენ, როგორც სანახევროდ მწყობრიდან გამოსულს, რომლის ექსპლუატაცია არ შეიძლებოდა, გადავიხდიდით ჯარიმას, ჩამოვიყვანდით და ასე გრძელდებოდა, საქართველოსთან არავითარი სამეურნეო კავშირი არ ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ეს გემები და მათი ეკიპაჟები სანახევროდ მეკობრულ საქმიანობაში იყვნენ ჩართული.

ფლოტში ასეთი რამ იშვიათი არ არის, ეს მით უფრო დამახასიათებელია ისეთი გარდამტეხი იმ პერიოდებისთვის, როგორიც საბჭოთა კავშირის დაშლა იყო.

**— უპატრონობის პერიოდი?**

— დიახაც. სავაჭრო გემები — ტანკერები, სამგზავრო გემები — თბომავლები საერთოდ გავიდნენ ჩვენი ყურადღების არეალიდან. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფლოტი. ლატვიას, მაგალითად, ოთხმოცამდე საოკეანო გემი ჰქონდა და ყველა დაკარგა. ლიტვაც ასეთ დღეში აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედების დრო დადგა, ანუ ბაქოს ნავთობის სუფსიდან ზღვით ტრანსპორტირების პრობლემა რეალურად წამოიჭრა, ინიციატივიანმა ადამიანებმა — **გურამ დოლბაიამ** და სხვებმა წამოაყენეს წინადადება ახალი სანაოსნოს შექმნის შესახებ, რომელიც შეძლებდა ნავთობის გადაზიდვას სუფსიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში.

დიდი ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი შეიქნა გერმანული ბანკების დაინტერესება ამ საკითხით და მათ მიერ მოცემული კრედიტით ორი ტანკერის მშენებლობა დაუკვეთეს კორეას. და რადგან ისინი დამოუკიდებელი საქართველოს საკუთრება იქნებოდა, ქართული სახელები შეურჩიეს — **„ჟიული შარტავა“** და **„ჭაბუა ამირეჯიბი“.**

ამ სანაოსნომ ფართო მასშტაბის მუშაობა ძველი, გამოცდილი კადრებითა და ახალი კადრების მომზადებით დაიწყო. სანაოსნოს სამუშაო ოფისი ლონდონშიც ჰქონდა და თბილისშიც, დაიქირავა 5 ტანკერი.

მოკლედ, **1997 შეიქმნა და 1998 წელს ამუშავდა ქართული ფლოტი, საოკეანო ფლოტზე გელაპარაკებით. თავდაპირველად იყო 7 გემი. მათი რაოდენობა პერსპექტივაში უნდა გაზრდილიყო და... მოხდა „ვარდების რევოლუცია“. იმხანად ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული სავაჭრო ფლოტი, გვქონდა ძლიერი კაბოტაჟური ფლოტი, რომელიც თევზის ჭერაზე იყო ორიენტირებული და დაახლოებით 120 სეინერისგან შედგებოდა.**

**მალე ეკონომიკის მინისტრად ჩამოიყვანეს კახა ბენდუქიძე, რომელმაც განაცხადა, რომ გაყიდის ყველაფერს, სინდისის გადა. მართლაც ყველაფერი გაყიდა და ეს ტოტალური აქცია გემებისა და ნავსადგურებში ტერმინალების გაყიდვით დაიწყო.**

ფაქტია, რომ **საწარმო, რომელსაც წელიწადში 35 მილიონი დოლარი შეჰქონდა ბიუჯეტში, ამასთანავე, ისტუმრებდა გერმანული ბანკების ვალს და აწყობილი ფინანსური სისტემა და მონიტორინგი ჰქონდა, შეთანხმებულად მუშაობდა გერმანელ, ბრიტანელ კოლეგებთან, ჩართული იყო საერთაშორისო სისტემაში და ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, ჩამოყალიბებულიყო ძლიერ საზღვაო-სატრანსპორტო ორგანიზაციად, ძირშივე მოკვეთეს, მოიცილეს, გააქრეს.**

**— რატომ, ბატონო დავით?**

— ბენდუქიძის ჩაგონებით განაცხადეს, რომ ეს სახელმწიფო საკუთრება ახალ საბაზრო ურთიერთობის პირობებში ვერ იმუშავებსო (?!). ახლა კი მოაქვს 30 მილიონი, მაგრამ შემდეგ ზარალიანი გახდებაო.

აი ასეთი ზედაპირული დასკვნებითა და დილეტანტური ლოგიკით მოსპეს.

გაყიდეს.

დაიკარგა ქვეყნის ბიუჯეტის შევსების საიმედო წყარო, გაუქმდა ასობით სამუშაო ადგილი. ქართველი მეზღვაურები წყლიდან ნაპირზე ამოყრილი თევზებივით განწირულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

გემების გაყიდვით შემოსული მილიონები სად და რისთვის დაიხარჯა, დღესაც გაურკვეველია.

ბენდუქიძე კი დიდ რეფორმატორად გამოაცხადეს.

ამით ყველაფერი არ დასრულებულა. **ერთი წლის შემდეგ, როცა ნახეს, რომ თევზმჭერი სეინერები შავ ზღვაში მაინც მუშაობდა, გააუქმეს კვოტები, გაიტანეს აუქციონზე თევზჭერის ლიმიტები და შემოუშვეს თურქები, რადგან მათ კარგად აღჭურვილ ფლოტსა და შემოთავაზებულ პირობებს ქართულმა მხარემ კონკურენცია ვერ გაუწია.**

## «ამ ყველაფერს ქვანია-ბენდუქიძის ტანდემს უნდა ვუმადლოდეთ, მიხეილ სააკაშვილის თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით»

შავი ზღვის „ქართულ აკვატორიას“ თურქი მეზღვაურები დაეპატრონენ.

აქ ერთ მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი: თურქებმა იმიტომ კი არ მოიგეს, რომ დიდი ჩაუქები არიან, არამედ იმიტომაც, რომ ქართველი მეწარმეებიც თურქეთის მხარეს გადავიდნენ.

**— დაგვრჩა რამე ერთ დროს აწყობილი თევზჭერის სისტემიდან?**

— დღეს ამ შეკითხვაზე ვერავინ გიპასუხებთ, რადგან აღარ არსებობს ერთიანი ცენტრი და ერთიანი მაკონტროლებელი ორგანო.

ზღვის სივრცეში მუშაობის კანონმდებლობა ისედაც სრულყოფილი არ გვქონდა და, შესაბამისად, საწარმოო ერთეულების ხელოვნურმა გაქრობამ საბოლოოდ ზურგით შეგვაბრუნა ზღვისკენ. უფრო მეტიც, დავკარგეთ ჩვენი ტერიტორიული წყლების სათანადო პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობა.

**— და ამ ანტირეფორმატორული ქმედების ანი და ჰოე მარტო ბენდუქიძე იყო?**

— რატომ მარტო ბენდუქიძე?! პირდაპირ გეტყვით — **ამ ყველაფერს ქვანია-ბენდუქიძის ტანდემს უნდა ვუმადლოდეთ, მიხეილ სააკაშვილის თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით.**

**— ბატონო დავით, მოგეხსენებათ, სადაც დიდი ფული ტრიალებს, იქ დიდ გარიგებასაც ექმნება ნოყიერი ნიადაგი.**

— თუ ზოგადი დებულების ჭეშმარიტებაზე მეკითხებით, გიპასუხებთ, რომ ასეა, მაგრამ, თუ იმ კონკრეტული ვითარების გამო დამისვით შეკითხვა, რომელზეც ვილაპარაკე, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. არც შემისწავლია, სხვის ფუნქციებში კი ვერ შევიჭრები.

**— ან ვის უნდა შეესწავლა, ბატონო დავით, სააკაშვილის ზეობის ხანაში?! ქვეყნის დღევანდელ მესვეურებს კი ჯერჯერობით ხელი არ მიუწვდებათ ასეთი ხასიათის საკითხების გაანალიზება-გარკვევაზე.**

— ამის დროც მოვა...

ისე კი, უნდა დაგეთანხმოთ, რომ შეკითხვები ბევრი დაგროვდა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ვფრთხილობთ, გასაგებია. მაგრამ უკრაინული პრესა, რომელიც აქ მოთხრობილი ამბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურატის — მიხეილ სააკაშვილის გაპარპაშებას ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობაზე ფრიად კრიტიკულად აფასებს, მისი მოღვაწეობის მთავარ ასპარეზად ოდესის საზღვაო პორტს მიიჩნევს. საქართველოში — ფოთი, ოდესაში — პორტი. ეს „უანგარო“ რეფორმატორი, რომელსაც ელიტური კორუფციის ორგანიზების დიდი გამოცდილება აქვს, უკრაინაშიც გააგრძელებს ამ გზით სიარულს და ოდესის პორტიდან ორი მილიარდი დოლარის მოგებას ჩაიჯიბავსო.**

**მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ეს ავანტიურისტი უარს არ იტყვის ისეთ სარისკო საქმეზე, როგორიც ისლამური რესპუბლიკიდან იაფი ნავთობის ოდესის ტერმინალში კონტრაბანდული შემოზიდვა შეიძლება იყოს. ოდესის პროკურორი შეამოწმებსო თუ ვინმე სხვა, პოროშენკოს ამ ნებიერას?!**

მსოფლიო



## ჩინეთის საფონდო ბირჟა მძიმე დანაკარგებს განიცდის

**მესამე კვირაა, ჩინეთის საფონდო ბირჟა კრიზისულ სიტუაციაშია.** ზოგიერთი ექსპერტის თქმით, ამ მოვლენამ, შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკაზე საბერძნეთის კრიზისზე დიდი გავლენა იქონიოს. ჩინეთის მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები ბირჟაზე ფასების დასასტაბილურებლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიზისი ძლიერდება. „ბირჟაზე განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ჩინურ ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას, ამიტომაცაა პეკინი შეშფოთებული“, — განაცხადა აზიის წამყვანმა ეკონომისტმა დონგ ტაომ. ინვესტორები ხელისუფლებისგან უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ქვეყნის გარდა, სხვაგან არსად არსებობს „შავი“ და „თეთრი“ კარკასი. ამ ცნებებს წერტილი უნდა დაესვას. ასე „შავ-თეთრად“ ობიექტების ჩაბარება და მიღება დანაშაულია ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ჩასახლების შემდეგ დაუსრულებული რემონტებით კომუნიკაციების მოწყობით და ა.შ. არა მხოლოდ მობინადრეები იტანჯებიან, არამედ მეზობლებიც, ვინც იმ უბანში ცხოვრობს. შენობა-ნაგებობები საექსპლუატაციოდ დასრულებული უნდა ჩაბარდეს“.**



## ომარ მარგველაშვილი:

# ქალაქი პროფესიონალებმა უნდა ააშენონ

**ომარ მარგველაშვილი ცნობილი ქართველი მშენებელია. გავლილი აქვს ამ დარგის ყველა საფეხური — მუშიდან მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილემდე.**
**ხელმძღვანელობდა: მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, იმირის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირის მომპოვებელი შახტების, ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელი მაღაროების, კვაისის ტყვია-თუთიის, ტყვარჩელის დოლომიტების, ურავის დარიშხანისა და რაჭის ბარიტის გადამამუშავებელი კომბინატების, საბაგირო გზების (ტყვარჩელში, ტყიბულში, ჭიათურასა და რაჭაში), საბჭოთა კავშირში პირველი მიწისქვეშა — 1100 მეტრ სიღრმეზე ჰიდროელექტროსადგურის, ალაზნის სარწყავი სისტემის, სამოქალაქო დანიშნულების სხვადასხვა შენობა-ნაგებობის, მოსკოვში საქართველოს საელჩოს სასტუმროს, თბილისში ქორწინების სასახლის, ყვარელსა და თბილისში ღვინის ქარხნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას; მუშაობდა ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ხელმძღვანელ თანამდებობებზე; არის საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციის, მართვისა და ტექნოლოგიური კომპლექტაციის საკითხებზე გამოქვეყნებული 11 სამეცნიერო ნაშრომისა და სამი წიგნის ავტორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.**
**ბატონი ომარ მარგველაშვილი ქალაქმშენებლობის პრობლემებზე გვესაუბრება.**

— მშენებლობაში დღეს არსებული ქაოსი, — **ამბობს „საქართველო და მსოფლიოს“ რესპონდენტი,** — დიდწილად გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არ არსებობს დარგის ძლიერი მაკოორდინებელი სტრუქტურა. ნაცვლად ყოფილი მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტისა, რომელიც კანონმდებელი იყო მშენებლობაში. სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლებსაც მშენებლობის საკითხების კურირება ევალება, ძირითადად დაკავებულია მშენებლობის ნებართვების გაცემითა და საგადასახადო ფუნქციების შესრულებით. მშენებლობის საქმე ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, თვითდინებაზე აქვს მიშვებული. და **პირველი, რასაც ახალ ხელისუფლებას ვურჩევდი, არის მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებული მაკოორდინირებელი სამშენებლო სტრუქტურის შექმნა.**

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სისტემა. ეს არის იმის მიზეზი, რომ ბევრი ობიექტი აშენდა და დღესაც შენდება არასრულყოფილი, მდარე ხარისხის პროექტებით. ამას ისიც ემატება, რომ **პროექტის ექსპერტიზა ხშირად საეჭვო კვალიფიკაციის „ექსპერტების“ მიერ ხორციელდება და დამტკიცება მხოლოდ არქიტექტურული ნაწილის საფუძველზე ხდება.** ეს დაუშვებელია!

უხარისხო და შეუმოწმებელი პროექტებით მშენებლობის შედეგად ბევრი ახალაგებული შენობა-ნაგებობა უკვე ავარიულია, ან არასაიმედოდ ითვლება. ეს, უწინარესად, ითქმის ბოლო 25 წლის განმავლობაში აგებულ შენობებზე, განსაკუთრებით, საცხოვრებელ სახლებზე.

ახლახან ტელევიზიით გამოვიდა სამშენებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი **დავით გიგინეიშვილი** და განაცხადა, რომ საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა მშენებლობის ნებართვის გაცემის სიმარტივით. ეს, ჩემი აზრით, საამაყო მიღწევა კი არ არის, სატირალია. რატომ, იცით? იმიტომ, რომ არავითარი ზედამხედველობა, არავითარი გონივრული კონტროლი არ არსებობს. როგორც ჩვენმა სახელოვანმა არქიტექტორმა **გიგა ბათიაშვილმა** თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ყველაფერი სააკაშვილის ხუშტურებით, ჰაიჰარად წყდებოდა.

**— არადა, დღეს დედაქალაქში მშენებლობის ბუმია. ასე ჰაიჰარად თუ აშენებენ, გამოდის, რომ კატასტროფისგან დაზღვეული არ ვართ?**

— მაგრამ ის, რაც ვთქვი, პრობლემის ერთი მხარეა. მეორე, არანაკლებ ნეგატიური შედეგის მომტანია ჩვენთან დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვით, **სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების უფლება აქვს ყველას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა აქ დასაქმებული თანამშრომლები სათანადო განათლების, გამოცდილების მქონენი; უზრუნველყოფილია თუ არა ორგანიზაცია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობითა და ფინანსური რესურსებით. სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის წარმოება აუცილებელია ლიცენზირებით.**

**— შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ თქვენი მოსაზრება?**

— ჯერ ერთი, დასკვნები, რომლებიც მოგახსენეთ, კონკრეტული მაგალითების საფუძველზეა გაკეთებული და არსებულ რეალობას ობიექტურად წარმოგვიდგენს. მაგრამ თუ მაინცდამაინც კონკრეტიკას მთხოვთ, **უწინარეს ყოვლისა, დაგისახელებთ კომპანია „ცენტრ-პოინტს“, რომელმაც 7000-მდე ოჯახი უბინაოდ დატოვა.** ამ და სხვა ორგანიზაციების მიერ დაუმთავრებელმა შენობა-ნაგებობებმა კიდევ უფრო დაამახინჯა თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები.



**მშენებლობაში ტენდერები ტარდება სახელმწიფოს ინტერესების გაუთვალისწინებლად. რაც მთავარია, მათ საეჭვო და დაბალი რეპუტაციის ადამიანები ატარებენ.**

**«ბატონებო, მინდა გაგაფრთხილოთ, საკმარისია საშუალო სიმძლავრის მიწისძვრაც კი, რომ ქვეყანამ უდიდესი ზარალი განიცადოს, დაირღვევა მთელი რიგი შენობების კონსტრუქციული მდგრადობა. ადამიანურ მსხვერპლზე არაფერს ვამბობ!»**

**— ბატონო ომარ, ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ სამშენებლო ბუმს სამშენებლო მასალების არნახული რეკლამირება სდევს თან. თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი როგორია? ხარისხზე გეკითხებით.**

— სამშენებლო მასალების ხარისხი ცალკე პრობლემაა. ყველა რეკლამას ვერ ენდობი, რადგან არ ხდება საშენი მასალების სერტიფიცირება. უნდა აიკრძალოს უხარისხო, ჯანმრთელობისთვის მავნე და ეკოლოგიურად დაბინძურებული მასალების წარმოება და იმპორტირება.

წლების მანძილზე წერს ბატონი **ანზორ საკანდელიძე** უხარისხო საშენ მასალებზე, შენობა-ნაგებობათა მდგრადობის არასანდოობაზე. წერს ხელისუფლების გასაგონად, მაგრამ ვინ უსმენს ან ვინ რეაგირებს? სამწუხაროდ, არავინ.

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან **მინდა, მივმართო ჩვენს ხელისუფალთ: ბატონებო, მინდა გაგაფრთხილოთ, საკმარისია საშუალო სიმძლავრის მიწისძვრაც კი, რომ ქვეყანამ უდიდესი ზარალი განიცადოს, დაირღვევა მთელი რიგი შენობების კონსტრუქციული მდგრადობა. ადამიანურ მსხვერპლზე არაფერს ვამბობ!**

ამას მიკარნახებს ჩემი გამოცდილება, რომელიც სომხეთის — სპიტაკისა და ლენინაკანის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის ხელმძღვანელობისას შევიძინე.

**— ქართველი მშენებლები პირველები ჩავიდნენ მიწასთან გასწორებულ ქალაქებში, პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.**

— არ მინდა, ჩემს სამშობლოს ასეთი კატასტროფა დაატყდეს თავს და ის ნგრევა, მსხვერპლი და ცრემლი ოდესმე განმეორდეს... **გაოცებული ვარ, ჩვენი მთავრობა ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივ შეცდომებს რომ არ ასწორებს.**

მშენებლობის სამინისტრო, სადაც 68 ათასი ადამიანი მუშაობდა, სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტი, სეისმოლოგიისა და სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტი, გეოლოგიის დეპარტამენტი, ჰიდროლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პარტია გაუქმებულია, მათ აღდგენა-ამოქმედებაზე კი დღეს არავინ ფიქრობს. ამ დაწესებულებების შენობების გაყიდვა იყო მერიის მთავარი მიზანი.

ახალი ხელისუფლების არაკომპეტენტურობამ, მშენებლობის რისკებმა აპოგეას მიაღწია. შენობა-ნაგებობები ინგრევა, ირღვევა, იშლება...

**ვიღაც დილეტანტებს, არასპეციალისტებს ეკითხებიან ჭკუას. გრუნტების გეოლოგიას ან საერთოდ არ შეისწავლიან, ან მოვალეობის მოხდის მიზნით გასცემენ მშენებლობაზე ნებართვის „დოკუმენტებს“. პროექტების შეთანხმება, დამტკიცება და მშენებლობაზე ნებართვის მიცემა ხდება არაპროფესიონალების მიერ, რომელთა წრეში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ქრთამს. ხოლო სადაც ანგარება ბატონობს, იქ კეთილსინდისიერებაზე, წესრიგსა და ხარისხზე ლაპარაკი უაზრობაა.**

ჯოკია ბოდოკიას მაგალითიც საკმარისია ჭკუის სასწავლებლად, მაგრამ ისწავლეს რამე ამ მაგალითიდან? — ვეჭვობ.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის მოპირდაპირე მხარეს **სოსო ორჯონიკიძე** რომ აშენებს ორ მაღლივ შენობას...

**— „პატ ი პატაშონს“..**

— დიახ, დაშლილი კლდის თავზე რომ აშე- ▶

---

მოკლედ

## ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ხარშილაძე და ძაძამია ცრუობენ

**თბილისის საქალაქო სასამართლოში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმეზე მისი დაცვის წევრების — ხარშილაძისა და ძაძამიას დაკითხვის შემდეგ ზურაბ ჟვანიას მეუღლემ ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ განაცხადა, რომ ბრალდებულები ხარშილაძე და ძაძამია ცრუობენ.**

ქადაგიძე-ჟვანიამ გაიხსენა მეუღლის გარდაცვალების დღე. მისი თქმით, 2 თებერვლის ღამის 3-დან 4 საათამდე რეკავდა და ძაძამია ეუბნებოდა, რომ 5-10 წუთში დაალაპარაკებდა მეუღლეს. შემდეგ, როგორც ქადაგიძე ამბობს, იგი ფეხით წამოვიდა წყნეთიდან და შუა გზაში დაეწია მანქანა. ცოტა ხანში კი მას დაურეკეს და ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ აცნობეს. როდესაც მივიდა მეუღლის გარდაცვალების ადგილას, კობა ხარშილაძე მას შესვლის უფლებას არ აძლევდა. სახლთან კი ბევრი პოლიციელი და დაცვის თანამშრომელი იყო. მოგვიანებით კი, როგორც ქადაგიძე აღნიშნავს, მან მოახერხა ბინაში შესვლა და ნახა რაულ უსუპოვი და ზურაბ ჟვანია, რომლებსაც თეთრი პერანგები ეცვათ. რაც შეეხება მოტივს, თუ რატომ ჰგონია გარდაცვლილის მეუღლეს, რომ ხარშილაძე და ძაძამია ცრუობენ, როგორც ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ აღნიშნა, ყველამ იცოდა, როგორ ცხოვრობდა და როგორი ადამიანი იყო ზურაბ ჟვანია.



# „სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების წარმოების უფლება აქვს ყველას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა აქ დასაქმებული თანამშრომლები სათანადო განათლების, გამოცდილების მქონენი; უზრუნველყოფილია თუ არა ორგანიზაცია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობითა და ფინანსური რესურსებით“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნებს, სასწრაფოდ თუ არ გაუკეთეს ტორკრეტ-ბეტონი...

— ?

— ტორკრეტ-ბეტონი, მაღალი მარკის თხევადი ბეტონი მაღალი წნევით შეჰყავთ ნაპრალებში, ან გამოფიტული კლდის გამაგრება შესაძლებელია საყრდენი კედლით. **ასე თუ არ გაამაგრეს, გამორიცხული არ არის, დროთა განმავლობაში ჩამოიშალოს კლდე და ნაგებობა ჩამოინგრეს.**

სამშენებლო ობიექტებს დღეს არავინ უწევს ტექნიკურ ზედამხედველობას. სპეციალური სტრუქტურა — ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანიზაცია — აღარ არსებობს.

ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც მივაქცევ თქვენი მკითხველის ყურადღებას, რომელიც მოგვარებულია მსოფლიოში, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკაში, საქართველოს გარდა.

**— ყურადღებით გისმენთ, ბატონო ომარ.**

— ობიექტები ყველგან ბოლომდე დასრულებული სახით ბარდება. ყველგან! **ჩვენი ქვეყნის გარდა, სხვაგან არსად არსებობს ცნება „შავი“ და „თეთრი“ კარკასი. ამ ცნებებს წერტილი უნდა დაესვას. ასე „შავთეთრად“ ობიექტების ჩაბარება და მიღება დანაშაულია ხალხისა და ქვეყნის წინაშე.** სახლების შემდეგ დაუსრულებული რემონტებით, კომუნიკაციების მონტაჟით და ა.შ. არა მხოლოდ მობინადრეები იტანჯებიან, არამედ მეზობლებიც.

**შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში დასრულებული უნდა ჩაბარდეს.** ყველა ფარულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. დასრულებული უნდა იყოს შიდა და გარე კომუნიკაციები, მოპირკეთების სამუშაოები, ლიფტის მონტაჟი, კიბის უჯრედის, სადარბაზოს, ავტოსადგომების მოწყობის, გამწვანების, შენობის გადახურვის საიზოლაციო სამუშაოებიც კი.

საცხოვრებელი ბინის გეგმარება უნდა ეთანადებოდეს მაცხოვრებელთა მოთხოვნებს, მაგრამ არ უნდა აზიანებდეს კონსტრუქციულ მდგრადობას. ეს უპირობო მოთხოვნაა, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელი გახდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. მაგრამ ამის განხორციელება ისეთი ველური წესით არ უნდა ხდებოდეს, როგორც ამჟამადაა: შევლენ ბინებში და მიადგებიან მზიდ კედლებს... ჩვენ ყველანი მოსწრე ვართ შემთხვევების, როცა ამ მიზეზით ინგრევა შენობა, არცთუ იშვიათად — მსხვერპლით.

**— ასეთი შემთხვევა ჯიქიას ქუჩაზე ერთ-ერთი შენობის "რუსთავი 2"-ის სტუდიად გადაკეთებისას მოხდა.**

— სხვაც იყო, არც ასე გახმაურებული ფაქტები.

**— რით უნდა მოევლოს ამ ნაკლს?**

— **აუცილებლად და კატეგორიულად უნდა აიკრძალოს დაუსრულებელი ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება. ამ წესის დამრღვევების მიმართ უნდა ამოქმედდეს უმკაცრესი სანქციები — სოლიდური ჯარიმებით დაწყებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრით დამთავრებული. იმედია, საქმეს აქამდე არ მიიყვანენ.**

„ოცნების“ კოალიცია ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, როცა მშენებელთა კოდექსის შედგენაში დახმარება მთხოვეს. 2013 წლის მარტში ამ კოდექსის პროექტი პარლამენტს გადაეგზავნა. ორ წელიწადზე მეტი გავიდა და ახლახან ტელევიზიით მოვისმინე, რომ ყველაფერს დაარეგულირებს სამშენებლო კოდექსი, რომელიც მალე გამოვა.

დედაქალაქში სამშენებლო საქმეს არაპროფესიონალები განაგებენ და თავს უფლებას აძლევენ, დაგვმოძღვრონ კიდეც ტელევიზიით და პრესით მაშინ, როცა ქალაქის გენერალური გეგმა, ე.წ. ქალაქის კონსტიტუცია ვერ შეუდგენიათ, რაც მათი უშუალო მოვალეობაა.

დედაქალაქის მერად არჩევამდე მშენებლები და არქიტექტორები შევხვდით ბატონ **დავით ნარმანიას.** მე მას ვუთხარი, რომ მშენებლები და არქიტექტორები მხარს დაგიჭერთ, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ მერად არჩევის შემდეგ უახლოეს დღეებში აუცილებლად უნდა შექმნათ მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება გამოცდილი პროფესიონალებით, ქალაქის მეურნეობის ზედმიწევნით მცოდნე სპეციალისტებით, რომლებიც გარკვეული არიან წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გაზმომარაგების, სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების, კეთილმოწყობა-გამწვანების და ა.შ. სპეციფიკურ საკითხებში.

რამდენიმე თვის შემდეგ მან გამოსცა განკარგულება, რომლითაც დაამტკიცა მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. გაინტერესებთ ამ სტრუქტურის პერსონალური შემადგენლობა? გეტყვით, **რომ ძალიან ღირსეული ადამიანები არიან, მაგრამ იმ საკითხებთან, რომლებიც ჩამოვთვალე, არავითარი შეხება არ აქვთ, არაფერი ესაქმებათ ქალაქის მეურნეობასთან.**

სხვათა შორის, ბატონ დავითს ვუთხარი, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრებმა უნდა იმუშაონ საზოგადოებრივ საწყისებზე. ისინი უნდა იყვნენ გულანთებული ქალაქელები, რომლებიც მზად არიან, უანგაროდ ემსახურონ დედაქალაქს თავიანთი პროფესიული ცოდნითა და მდიდარი გამოცდილებით.

ეტყობა, ამაოდ გავისარჯე.



## «მხარს ვუჭერ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნას, რომ დაინგრეს გმირთა მოედნის ცენტრში აღმართული რაღაც გაუგებარი, ფალოსის მსგავსი სვეტი, რომელიც სამახსოვროდ დაგვიტოვა ტუტუცმა პრეზიდენტყოფილმა და მის ადგილზე აღიმართოს დავით აღმაშენებლის ძეგლი»



აქვე ერთ საკითხსაც შევეხები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ყველაფრისმცოდნე“ ყოფილი პრეზიდენტი მაინცდამაინც უცხოელ არქიტექტორებს, მშენებლებს, გეოლოგებს იწვევდა დედაქალაქის ობიექტების დასაპროექტებლად და ასაგებად. ყველა ობიექტს არ შევეხები, მაგრამ **გვერდს ვერ ავუვლი აეროპორტის ახალ შენობას, იუსტიციის სახლს, პარლამენტის შენობას ქუთაისში, ამ ტრიადას, რომლებსაც სახელი გაუვარდა იმით, რომ ავარიულები გამოდგა სამივე: ერთს სახურავი ასმჯერ ახადა ქარმა, მეორეს სახურავმა პირველსავე წვიმას ვერ გაუძლო, მესამეს „სახურავი დაუცურდა“. სხვა ნაკლს აღარ შევეხები. არქიტექტორებიც და მშენებლებიც დაბალი დონისანი იყვნენ. ეს ფაქტებით დამტკიცდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშალია მათთვის დიდძალი ფული წაეღოთ საქართველოდან.**

ამ დროს კი ჩვენი ბრწყინვალე არქიტექტორები, უმაღლესი კატეგორიის მშენებლები და გეოლოგები უმუშევრები დარჩნენ.

**— რა გიკვირთ, ბატონო ომარ, ჩვენები ხომ „ჩარეცხილები“ იყვნენ.**

— არც მიკვირს. მაგრამ ისეთი რა დანაშაული გვაქვს ჩადენილი, რომ უგუნური სააკაშვილის მიერ დასმული დამღა დღემდე ვერ მოვიცილეთ?

ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა, მავნებლობაა, თაობის გაწირვაა. მაგრამ მისი ეს დანაშაული თითქოს მივიწყებულია. დღეს უმეტესად ბიზნესმენების გატყავებაზე, პატიმრების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე, მილიონების მითვისებაზე ლაპარაკობენ ელექტრონულ თუ ბეჭდვით მედიაში. არადა, სამართლიანობის აღდგენა ამ მორალური დანაშაულის გამოსწორებასაც ნიშნავს. **დაველოდოთ? კი, ბატონო! მაგრამ როდემდე! ცოტაც და, ახალი არჩევნები მოგვადგება კარს.**

**— მშენებლობა და ტრანსპორტი, საავტომობილო საცობები თბილისში, ამაზე რას იტყვით, ბატონო ომარ?**

— საკომუნიკაციო სამუშაოები, ნაგვის გატანა, სავაჭრო დისტრიბუცია მხოლოდ ღამის საათებში უნდა ხდებოდეს. ასეა დადგენილი ცივილიზებულ ქვეყნებში. ყოვლად დაუშვებელია, როცა ისედაც ვიწრო თბილისურ ქუჩებს ახალმშენებლობების ღობეებით ისე შემოსაზღვრავენ, რომ ორი მანქანა გვერდს ვერ აუქცევს ერთმანეთს. ის კი არა, ერთიც ვერ გაეტევა.

**ეს მოთხოვნა ტენდერისა და ხელშეკრულების პირობებში უნდა ჩაიდოს და მის შესრულებაზე კონტროლი დაწესდეს.**

რა დიდი ამბავი ამას სჭირდება, მერის ერთი განკარგულებაა საკმარისი.

მე, მშენებელი კაცი, საზოგადოდ, ნგრევის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ **მხარს ვუჭერ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნას, რომ დაინგრეს გმირთა მოედნის ცენტრში აღმართული რაღაც გაუგებარი, ფალოსის მსგავსი სვეტი, რომელიც სამახსოვროდ დაგვიტოვა ტუტუცმა პრეზიდენტყოფილმა და მის ადგილზე აღიმართოს საქართველოს უდიდესი მონარქის დავით აღმაშენებლის ძეგლი. ქალაქის ცენტრიდან წმინდა მეფე დავითის გაძევებით ყოფილმა ხელისუფლებამ სულში ჩააფურთხა ჩვენს საზოგადოებრიობას.**

მითხარით, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვუცქიროთ ე.წ. ვარდების მოედანზე მდგარ **გულივერის ველოსიპედს?**

**ნახეთ, რას დაამსგავსეს ვაკის პარკი, მუშთაიდი, კუსტბის შემოგარენი. გაჩეხეს მრავალწლიანი ნარგავები და იმავე ვაკის პარკში საელჩოების, კოლეჯების, ფეხბურთის ფედერაციის შენობები ჩადგეს.**

ქალაქის გამწვანება კატასტროფის ზღვარზეა მისული. სანერგეები, რომლებიც თბილისის შემოგარენში იყო, აღარ არსებობს. დედაქალაქისთვის ნარგავები უცხოეთიდან შემოაქვთ. ეს მომგებიანი ბიზნესი და კორუფციის წყარო იყო.

2015 წლის 13 ივნისის კატასტროფამ დაგვანახვა, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობას ექსტრემალურ სიტუაციაში საქმის პროფესიულად ორგანიზების უნარი შესწევს. ამ უნარს ნორმალურ ვითარებაში თუ განავრცობს, კარგს იზამს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

---

მსოფლიო



## იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 60 მილიონს გაუტოლდა

**გაეროს ანგარიშით, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა ბოლო ხანს რეკორდულად გაიზარდა და 2014 წელს 60 მილიონს გაუტოლდა.**

გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის — ბაბატუნდე ოსოტიმეჰინის მიმართვაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით ქალები და მოზარდი გოგონები იმყოფებიან საფრთხის ქვეშ ჯანდაცვისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე ხელმიუწვდომლობის გამო.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიჩსის ჩარჩოებში იქმნება სავალუტო რეზერვი — თავისებური ურთიერთდახმარების სალარო, რომელსაც კრიზისის შემთხვევაში ნაციონალური ბაზრების სტაბილიზაციის ინსტრუმენტად გამოიყენებენ. ამ სალაროში ჩინეთი 41 მილიარდს შეიტანს, რუსეთი — 18 მილიარდს, ამდენივე თანხას შეიტანენ ინდოეთი და ბრაზილია, სამხრეთი აფრიკა კი — 5 მილიარდს. გარდა ამისა, იქმნება ანგარიშსწორების სისტემაც, იმისათვის, რომ დამოკიდებულნი არ იყვნენ დასავლურ ორგანიზაციებზე.**

# მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგი

**რატომ დუმს ქართული მედია?**

## შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ალტერნატივა

**8-10 ივლისს უფაში (ბაშკირეთის დედაქალაქი, რუსეთი) ერთდროულად გამართულმა სამიტმა — BRICS (ქართული აბრევიატურა — ბრიჩს)-ისა და თანამშრომლობის შანხაიური ორგანიზაციის (თშო) — მნიშვნელოვანი შტრიხები შეიტანა მსოფლიოს ახალ სურათში, რომელიც უკვე აღარ აიგება დასავლეთის ან აშშ-ის გარშემო. ლაპარაკია ახალ წესებზე მსოფლიოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში. უკვე შეიძლება ითქვას, რომ განხორციელდა პროექტი დიდი ევრაზიისა, რომელიც გარდაიქმნება ახალი ძალის ცენტრად.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელზეც მსოფლიოს მედიასაშუალებები ბოლო დღეებია, განუწყვეტლივ წერენ, ქართული მედია, როგორც ჩანს, ამერიკელების შიშითა თუ ხათრით, საერთოდ, არაფერს წერს და ლაპარაკობს.

**ქართულ სატელევიზიო სივრცეში რამდენიმეწამიანი სიუჟეტიც არ გასულა 100-მილიარდიანი კაპიტალის მქონე ბრიჩსის ბანკის შექმნაზე, თანამშრომლობის შანხაიურ ორგანიზაციაში ინდოეთისა და პაკისტანის გაწევრებაზე და, საერთოდ, მსოფლიოში ერთპოლუსიანი წესრიგის დასამარებაზე, ჯაჯანიძის შიბაქსა და სამართალდამცველების მიერ ვინმე კიკიანის ვითომ ცემისთვის კი არც დრო დანანებიათ და არც ტელემაყურებლის ნერვები, თან ქილიკობდნენ, აი, ამერიკელების მიერ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთს დედა უტირა, დღე-დღეზე ჩამოიშლება და ფრთხილად ვიყოთ, ნანგრევები თავზე არ დაგვეცესო...** მაგრამ, როგორც ჩანს, ნეკროლოგი რუსეთის გარდაცვალებაზე ნაადრევია, პირიქით — დაინგრა ძველი მსოფლიო წესრიგი, რომელიც აშშ-ის ინტერესებს იყო მორგებული და შეიქმნა ახალი, რომელიც აზიისა და სამხრეთ ამერიკის გიგანტი ქვეყნების, აგრეთვე, რუსეთის ამბიციებს დააკმაყოფილებს ეკონომიკის სწრაფად განვითარებაზე.

BRICS — ეს არის **ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი** და **სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა.** თანამშრომლობის შანხაიურ ორგანიზაციაში თავდაპირველად (2001 წ.) შედიოდა 6 სახელმწიფო — **ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი** და **უზბეკეთი**, ამა წლის 10 ივლისს კი მას შეუერთდა **ინდოეთი** და **პაკისტანი**. ბრიჩსისა და თშო-ს ერთობლივი სამიტი პირველად 2009 წელს გაიმართა, მსოფლიოს ფინანსური კრიზისის პერიოდში. მას შემდეგ ბევრი რამ კარდინალურად შეიცვალა რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში, ხოლო ჩინეთისა და აშშ-ის მეტოქეობა ახალ ფაზაში შევიდა.

**ბრიჩსი** არ არის ქვეყნების ტრადიციული კავშირი, ეს უფრო ელიტებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობაა. მასში შემავალი ქვეყნები განსხვავდებიან გეოპოლიტიკური მიზნებითა და ფასეულობებით. ყველას სხვადასხვანაირი სიტუაცია აქვს ეკონომიკაში. ჩინეთის ეკონომიკის ზრდა შენელდა წელიწადში 7%-ით, ბრაზილიისა და რუსეთის ეკონომიკები წელს 1,5-3%-ით შემცირდება, ინდოეთის ეკონომიკა კი 8%-ით გაიზრდება. მიუხედავად ასეთი განსხვავებულობისა, **ამ ქვეყნებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის არქიტექტურაზე.**

**ბრიჩსი ეძებს ეკონომიკის ზრდის ახალ წყაროებს. პერსპექტიულია ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა (სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, რუსეთი, ყირგიზეთი) და ჩინეთის „აბრეშუმის გზის“ ინტეგრაცია, რომელიც სამხრეთი და ცენტრალური აზიის გავლით ევროკავშირამდე უნდა მივიდეს. თშო, რომელშიც გაერთიანებული არიან ქვეყნები, რომლებიც ორივე პროექტში მონაწილეობენ, ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო პლატფორმაა. ჩინეთმა „აბრეშუმის გზის“ პროექტის განსახორციელებლად 40-მილიარდიანი ფონდი შექმნა. ფული, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩაიდება.**



**ბრიჩსი მხოლოდ დასაწყისია ოცნების რეალიზებისა ახალ გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგზე, სადაც გასაქანი არ ექნება ანგლო-ამერიკული ოლიგარქიის იმპერიალისტურ დომინირებას და ქვეყნები შეინარჩუნებენ სუვერენიტეტს, კულტურები კი ერთმანეთისადმი პატივისცემით განიმსჭვალება**



იქმნება ბრიჩსის განვითარების ბანკი 100-მილიარდიანი კაპიტალითა და შტაბ-ბინით შანხაიში. ამ ბანაკს უხელმძღვანელებს ინდოელი ფინანსისტი **კუნდაპურ ვამან კამათჰი.** ეს სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებელი სტრუქტურა იქნება, რომელიც ძალიან აქტუალურია რუსული კომპანიებისთვის, რომლებსაც სანქციები დაუწესეს.

უფრო ადრე შეიქმნა **ინფრასტრუქტრული ინვესტიციების აზიური ბანკი** 100-მილიარდიანი კაპიტალით, რომელშიც ჩინეთის წილი 16%-ია, რუსეთის — 6%; ამ ბანკში თავისი წილი აქვს 40-ზე მეტ სახელმწიფოს, რომლებსაც ხელს არ აძლევთ აშშ-ის გეგმები — ჩინეთისა და რუსეთის გარეშე ითანამშრომლოს წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან. **ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი კონკურენციას გაუწევს მსოფლიოს ბანკსა და განვითარების აზიურ ბანკს, რომელიც აშშ-სა და იაპონიას ემორჩილება. ეს ქვეყნები არ შევიდნენ ახალ ბანკში. ნიშანდობლივია, რომ ჩინეთი, რომლის ეკონომიკაც მეორეა მსოფლიოში, მსოფლიოს ბანკში მეორე კატეგორიის ქვეყნებშია, განვიარების აზიურ ბანკში კი მისი წილი მხოლოდ 5%-ს შეადგენს, აშშ-ისა და იაპონიისა — 15-15%-ს.**

**ბრიჩსის ჩარჩოებში იქმნება სავალუტო რეზერვი — თავისებური ურთიერთდახმარების სალარო, რომელსაც კრიზისის შემთხვევაში ნაციონალური ბაზრების სტაბილიზების ინსტრუმენტად გამოიყენე-** ►

### ნინო ბურჯანაძე: 2008 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განლაგებას მიუღებლად მივიჩნევ

**პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის — ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დღეს რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა უფრო ცივილიზებულია, ვიდრე ადრე, მაგრამ ქართულ მხარეს მაინც არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, მოლაპარაკებები დაიწყოს.**

„ანტირუსული განწყობა იყო და არის, რადგან ბოლო წლებში ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობდნენ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეცდომები ორივე მხრიდან იყო დაშვებული. დღეს რუსეთთან ურთიერთობა უფრო ცივილიზებულია, თუმცა, სამწუხაროდ, ქართულ მხარეს ვაჟკაცობა არ ჰყოფნის, მოლაპარაკებებზე ღიად წავიდეს. რაც შეეხება ნატოს, არასწორია ქართველი პოლიტიკოსების განცხადება, როდესაც ამბობენ, რომ საქართველოს მიზანი ნატოში ან ევროკავშირში გაწევრებაა, რადგან ქვეყნის მიზანი უნდა იყოს სუვერენიტეტის განმტკიცება, დემოკრატიულობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. 2008 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების გაჩენას მიუღებლად მივიჩნევ“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



# ქართულ სატელევიზიო სივრცეში რამდენიმეწამიანი სიუჟეტიც არ გასულა 100-მილიარდიანი კაპიტალის მქონე ბრიჩსის ბანკის შექმნაზე, თანამშრომლობის შანხაიურ ორგანიზაციაში ინდოეთისა და პაკისტანის გაწევრებაზე და, საერთოდ, მსოფლიოში ერთპოლუსიანი წესრიგის დასამარებაზე, ჯაჯანიძის შიგაძსა და სამართალდამცველების მიერ ვინმე კიკიანის ვითომ ცემისთვის კი არც დრო დანანებიათ და არც ტელემაყურებლის ნერვები...

## გეოპოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ბენ. ამ სალაროში ჩინეთი 41 მილიარდს შეიტანს, რუსეთი — 18 მილიარდს, ამდენივე თანხას შეიტანენ ინდოეთი და ბრაზილია, სამხრეთი აფრიკა კი — 5 მილიარდს. გარდა ამისა, იქმნება ანგარიშსწორების სისტემაც, იმისთვის, რომ დამოკიდებულნი არ იყვნენ დასავლურ ორგანიზაციებზე.**

უფაში შემუშავებულ დოკუმენტებს შორის არის დეკლარაცია, ბრიჩსის მოქმედების გეგმა და ეკონომიკური პარტნიორობის სტრატეგია 2020 წლამდე, რომელშიც უამრავი პუნქტია და ყველა მიმართულია 4 კონტინენტზე მდებარე სხვადასხვა ქვეყნის ამბიციური მცდელობების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, დამტკიცდა ტერორიზმთან, სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის პროგრამა 2016-2018 წლებში.

როგორც ჩანს, **ბრიჩსი მხოლოდ დასაწყისია ოცნების რეალიზებისა ახალ გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგზე, სადაც გასაქანი არ ექნება ანგლო-ამერიკული ოლიგარქიის იმპერიალისტურ დომინირებას და ქვეყნები შეინარჩუნებენ სუვერენიტეტს, კულტურები კი ერთმანეთისადმი პატივისცემით განიმსჭვალებიან.**

დაიწყო საერთაშორისო საფინანსო სისტემის რეფორმირება და ამის გამო აშშ გაღიზიანებას ვერ მალავს. მაგალითად, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრმა **დებორა ლი ჯეიმსმა** საინფორმაციო სააგენტო Reuters-ისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთს „აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდი საფრთხე“ უწოდა და აღმოსავლეთ ევროპაში მოსკოვის „შემაშფოთებელი მოქმედებების“ საბაბით ევროპის კონტინენტზე აშშ-ის სამხედრო ძალების გაძლიერება მოითხოვა, თანაც ნატოს წევრ-სახელმწიფოებს თავიანთი ქვეყნების მთლიანი შიგა პროდუქტის 2%-ის დათმობისკენ მოუწოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესანარჩუნებლად.

როგორც ჩანს, „მოსკოვის შემაშფოთებელი მოქმედებები“ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრ ქვეყნებს სულაც არ აშფოთებთ. **ნატოს მხოლოდ 4 წევრი (28-დან) ასრულებს თავდაცვის ღონისძიებებისთვის დაწესებული თანხების ნორმატივს. ასე რომ, იგავარაკები „საშინელი რუსების“ შესახებ ჯერჯერობით არ მუშაობს.**

რუსეთს შეუძლია, დასავლეთს უპასუხოს. ლაპარაკია არა სამხედრო სფეროზე, არამედ ფინანსებსა და ეკონომიკაზე. **წლის დასაწყისიდან რუსეთის ტერიტორიაზე ოქროს მოპოვება 6,5-ჯერ გაიზარდა, ვერცხლის — 7,7-ჯერ. მოპოვებულია 83,01 ტონა ოქრო, ვერცხლი — 411,7 ტ.** ვაშინგტონისთვის, ამ შემაშფოთებელ სტატისტიკასთან ერთად, ამუშავდა ბრიჩსის განვითარების ბანკიც 100-მილიარდიანი კაპიტალით; აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთი თავის წილს ამ ბანკში ოქროთი გაამყარებს, ამის თაობაზე შანხაის ოქროს ბირჟის ვიცე-პრეზიდენტმა **შენ განმა** განაცხადა.

პეკინის ძალაუფლება შესაშური სისწრაფით ვრცელდება. ივნისში ჩინეთის უძველესი საფინანსო ორგანიზაცია (დაარსებულია 1912 წ.) — ჩინეთის ბანკი (Banl of China Ltd) — ოფიციალურად შეუერთდა ლონდონის ოქროს ფიქსინგს — ოქროს ფასის ყოველდღიურ განსაზღვრას, რომელიც 1919 წლიდან მოქმედებს ბრიტანელი ბანკირის — **ნათან როტშილდის** ინიციატივით.

პეკინი მიღწეულით არ კმაყოფილდება: ელიტართა რიგებში შესასვლელად ემზადება ჩინეთის სამრეწველო-კომერციული ბანკი. **ჩინეთს სურს, დოლარის, ევროს, გირვანქა სტერლინგისა და იუანის შევიწროება და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზერვში იუანის გაძლიერება, ამიტომ ფსონს ოქროს ზოდების შესყიდვაზე დებს.**

„ჩინელებს სურთ, საერთაშორისო ვაჭრობის ყველა მწვერვალი დაიპყრონ, ამიტომ მიისწრაფვიან, წარმოდგენილნი იყვნენ იქ, სადაც განისაზღვრება ფასები“, — Bloomberg-ს მოჰყავს Sharps Pixley Ltd-ს აღმასრულებელი დირექტორის — **როს ნორმანის** ფრაზა.

ანუ **ლონდონის ოქროს ბირჟა, რომელიც ამ დარგში უდიდესია (მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილში გაიყიდა 20,2 მილიარდი დოლარის ოქროს ზოდები), ჩინეთისთვის ნელნელა გადაიქცევა ტრამპლინად, რომელიც იუანს საშუალებას მისცემს, დაასუსტოს დოლარი და მასთან დაკავშირებული სავალუტო სისტემები. რა თქმა უნდა, ლაპარაკია მხოლოდ იუანის „კონსერვატიულ“ ექსპანსიაზე, რადგან დოლარის მკვეთრი დაცემა გაანადგურებს ჩინეთის ეკონომიკას, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო ვალს აფინანსებს. სწორედ ეს მჭიდრო დამოკიდებულება ორ ქვეყანას შორის ქმნის ისეთ მოვლენას, რომელსაც „ჩაიმერიკას“ (ჩინეთი და ამერიკა) უწოდებენ.**

ინტრიგა არის ის, რომ ჩინეთს ამ ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია მოსკოვის დაუხმარებლად, რომელიც, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ერთად, ოქროს მთავარი მომპოვებელია. **გლობალური წესრიგი „ოქროს ციებ-ცხელების“ გავლენას განიცდის. მისი მოქმედება ჰგავს ტექნოლოგია WEB 2.0-ს, რომლის გამოყენებისას სისტემები ქსელური ურთიერთმოქმედების გზით მით უკეთესად მუშაობს, რაც მეტი ადამიანი იყენებს.** ვირუსი გაშვებულია. მისი ფართოდ გავრცელების სტიმული კი ოქროზე მოთხოვნის ზრდაა. ოქროს საკითხებზე საერთაშორისო საბჭოს მონაცემებით, ჩინეთი წლეულს ოქროს შესყიდვებს 3%-ით გაზრდის. **რუსეთის ოქროს მარაგიც იმატებს — მიმდინარე წლის ივნისში 1250,9 ტონა შეადგინა.** ეს მონაცემები საკმარისი აღმოჩნდა, **ჯიმ რიკარდსს** (ავტორი წიგნისა „ფულის სიკვდილი: საერთაშორისო სავალუტო სისტემის მოახლოებული კოლაფსი“) CNBC-ის ეთერში განეცხადებინა, რომ **რუსეთი სწრაფად გადავა ოქროს რუბლზე.** ანალოგიურ პოზიციაზეა გამოცემა Money norning-ის ანალიტიკოსი **პიტერ კრაუტიც**, რომელიც წერს, რომ, **ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, რუსეთი ზრდის ოქროს მარაგს და „ამ ტენდენციამ შეიძლება დაანგრიოს დოლარი“.** რიკარდსი კი დარწმუნებულია, რომ დოლარის აღსასრული მაშინ დადგება, როცა ჩინეთი გამოაქვეყნებს მონაცემებს ოქროს რეალური რეზერვის შესახებ. ჯერჯერობით კი ყველაფერი ჭორის დონეზეა. მაგალითად, **პორტალი GOLDSEEK.COM იუწყება, რომ ჩინეთის ოქროს მარაგი 9816,03 ტონას შეადგენს.**






**მსოფლიოს ძველი წესრიგი სწრაფად ინგრევა, ნაპრალი კი, რომლიდანაც გამოსჭვივის ძალების ახალი ბალანსი, რაც დრო გადის, მეტი ჩნდება. ამ რბოლაში რუსეთი და ჩინეთი ლიდერობენ. ვინ გადაკვეთს ფინიშის ხაზს პირველი? — ეს მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ გვეცოდინება**



„ოქროს ციებ-ცხელება“ არ შემოიფარგლება რუსეთითა და ჩინეთით, მასში ჩართულია **თურქეთიც,** რომელიც, ოქროს საკითხების საერთაშორისო საბჭოს ექსპერტ **ალისტერ ჰიუტონის** მონაცემებით, მეოთხე ადგილზეა ამ ძვირფასი ლითონის მოხმარების მიხედვით (გლობალური მოთხოვნის 6%) — წელიწადში 181 ტ. ოქროს დაგროვების გზას დაადგა **ირანიც** და, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში ირანის დაბლოკილი აქტივები 100 მლრდ დოლარად არის შეფასებული, ბრძოლა რაც შეიძლება მეტი ოქროს ხელში ჩასაგდებად ახლა იწყება.

აღსანიშნავია, რომ ბრიჩსის წევრი ქვეყნები G20-ის წევრებიც არიან და შეუძლიათ გავლენა იქონიონ „დიდი ოცეულის“ გადაწყვეტილებებზე.

უფაში გამართულ სამიტზე ბრიჩსის წევრები ქვეყნების ლიდერებმა აქცენტი გააკეთეს მსოფლიოს ეკონომიკის პრობლემებზე და ერთხმად დაუჭირეს მხარი გაეროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სასწრაფოდ რეფორმირებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: **რუსეთი თავისთვის და სპეციალურად ინდოეთისთვის ააგებს უახლეს ატომურ წყალქვეშა ნავს და ეს იქნება ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი მრავალმიზნიანი სუბმარინა პროექტ „იასენის“ მიხედვით ან მისი მოდიფიკაცია.**

„იასენის“ კლასის წყალქვეშა ნავი, რომელსაც “ავიამზიდების მკვლელს” უწოდებენ, უმძლავრესად ითვლება.

წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი 90 კაცისგან შედგება, ახალი თაობის ატომური რეაქტორის წყალობით სუბმარინას შეუძლია, განავითაროს საათში 70 კმ სიჩქარე, წყნარი სვლა კი უზრუნველყოფილია საათში 36 კმ სიჩქარით.

ინდოეთისთვის განკუთვნილი „იასენი“ აღჭურვილი იქნება 8 ვერტიკალური სარაკეტო შახტით, აგრეთვე, 13 კმ რადიუსის სიშორეზე მოქმედი წყალქვეშა რაკეტა „შკვალით“.

მსოფლიოს ძველი წესრიგი სწრაფად ინგრევა, ნაპრალი კი, რომლიდანაც გამოსჭვივის ძალების ახალი ბალანსი, რაც დრო გადის, მეტი ჩნდება. ამ რბოლაში რუსეთი და ჩინეთი ლიდერობენ. თუ ვინ გადაკვეთს ფინიშის ხაზს პირველი, მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ გვეცოდინება.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძე**



## გოგლა ჟვანია: საცოდავი ადამიანების გამონათქვამებზე განცხადების გაკეთება არ მინდა

**დეპუტატი გოგლა ჟვანია გამოეხმაურა კობა ხარშილაძის განცხადებას, რომელიც მან ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე გააკეთა.** „ყოფილი პრეზიდენტების განცხადებები გაიხსენეთ და მიხვდებით, ის ვისი ენით საუბრობს. ამა თუ იმ ადამიანებმა რაც უნდა ილაპარაკონ, სიმართლე დადგინდება. როდესაც საქმე დასრულდება, ყველასთვის ყველაფერი ნათელი გახდება“, — აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.

ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსის — კობა ხარშილაძის თქმით, გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია და რაულ იუსუპოვი ბინაში შიშვლები იპოვეს.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ავტორზე სამგორის სარწყავი სისტემის პროექტისა, რომლის საფუძველზეც მშენებლობა თამარ მეფემ დაიწყო, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ვიტყვი, რომ 800 წლის წინანდელი სარწყავი სისტემა თავისი გრანდიოზულობითა და თამამი გადაწყვეტით ჩვენი ერის ნიჭიერებაზე მიანიშნებს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25 (307)

# სტალინი და სამგორის სარწყავი სისტემა

## ნაწილი II

**შუა აზიიდან დაბრუნებულ კანდიდ ჩარკვიანს ინტერესით შეხვდა საქართველოს მოსახლეობა. მის მიმართ დიდ გულისხმიერებასა და ყურადღებას იჩენდა რესპუბლიკის ხელისუფლება და პირადად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე.**



კანდიდ ჩარკვიანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის ჯერ მოადგილე, შემდეგ კი მისი დირექტორი გახდა. უდიდესი შრომისმოყვარეობის, უმდიდრესი ცოდნისა და გამოცდილების წყალობით, მან არაერთი გამოკვლევა და ნაშრომი გამოსცა, რომ არაფერი ვთქვათ მის ეპოქალურ წიგნზე „განცდილი და ნააზრევი".

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ხალხმრავლობა იყო. Yყველას უნდოდა, ენახა და მოესმინა იმ ადამიანისათვის, რომელზეც ათეული წლების განმავლობაში ლეგენდები დადიოდა ქართველ ხალხში. ტრიბუნაზე მის გამოჩენას დარბაზი ტაშით შეხვდა. არაორდინარული ფაქტის მომსწრე გავხდით. კანდიდ ჩარკვიანი, საზოგადოების მოთხოვნით, საჯაროდ იცავდა სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა". აუდიტორია მომხსენებლის ყველა სიტყვას ნთქავდა. დარბაზში მხოლოდ ადამიანების სუნთქვა ისმოდა. მოხსენება ორი სხდომის განმავლობაში მიმდინარეობდა. არ ვიცი, ვის როგორ აინტერესებდა საქართველოს ენერგეტიკა, მაგრამ ერთი კი ნათელი იყო — Yყველას სურდა კანდიდ ჩარკვიანის ნახვა და მოსმენა.

მომხსენებლის გამორჩეული თემა სამგორის სარწყავი სისტემა იყო, რომლის როგორც დაპროექტების, ისე მშენებლობის თანამონაწილე და ხელმძღვანელიც თვითონ ბატონი კანდიდ ჩარკვიანი გახლდათ. მოხსენებისას ხშირად გაისმოდა სახელი და გვარი — **პეტრე მამრაძე.** იმხანად ეს სახელი და გვარი არაფერს მეუბნებოდა, გარდა იმისა, რომ სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის ავტორი იყო. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ის იმ დარბაზში იჯდა.

გავიდა ხანი. ვმუშაობ დიღმის მებოსტნეობა-მერძევეობის მეურნეობის დირექტორად. ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ნათესებს ვილებთ კომბაინებით და სასენაჟე ორმოებში ვათავსებთ.

კომბაინთან შავი „ვოლგით" მომადგა ვილაც სტუმარი, რომელმაც უცერემონიოდ განმიცხადა, დღეიდან ამ მიწით სარგებლობა გეკრძალება, რადგან მიწა ლისიდან წოდორეთამდე სატყეო მეურნეობის სამინისტროს გადასცესო.

მცირე შელაპარაკების შემდეგ სატყეო მეურნეობის მინისტრ **მიტროფანე კუჭავას** კაბინეტში ვეახლე. მისდამი უდიდესი მოკრძალებისა და პატივისცემის მიუხედავად, საუბარი მეტად დაძაბული გამოგვივიდა, მაგრამ უშედეგო. Gგეზი სოფლის მეურნეობის სამინისტროსკენ ავიღე. მისაღებში ბევრი არ მალოდინეს. **ნოდარ ჭითანავას** კაბინეტში გაბრაზებული შევედი. ბატონი ნოდარი ტაქტიანი და ენერგიული მინისტრი იყო.

— ეს ღალატია, ქალაქის მოსახლეობის რძითა და ბოსტნეულის გარეშე დატოვების ავანტიურისტული გეგმა. ამ დადგენილების მიმღები მთავრობა არ სჭირდება ქვეყანას, — ვღრიალებდი მინისტრის კაბინეტში.

— გრიშა, მართალი ხარ, მაგრამ მთავრობამ ასე გადაწყვიტა.

— ნოდარ ამბროსის ძევ, მთავრობის დადგენილებას არ შევასრულებ. არავის აქვს უფლება, მიწის მეპატრონის გარეშე ხელი ახლოს სოფლის მიწის ფონდს. ეს კანონი მაინც მუშაობს სტალინის ხელმოწერილი, — არ ვცხრებოდი მინისტრის წინაშე,

ბატონი ნოდარი ილიმებოდა და გამომცდელად მაკვირდებოდა, მისგან გათამამებულს, არგუმენტი არგუმენტზე მომყავდა მთავრობის დადგენილების დანაშაულებრივ ხასიათზე.

— გრიშა, ერთი წუთით გარეთ უნდა დამელოდო, მალე დაგიძახებ, — მითხრა ბატონმა ნოდარმა. გამოვედი. არ გასულა დიდი დრო და კვლავ თავისთან მიხმო მინისტრმა.

— ოჯახში პატიმარი ხომ არავინ გყავს ან შენი ახლობლებიდან საზღვარგარეთ ხომ არ არის ვინმე?

— ოჯახის წევრი პატიმარი არ მყავს, არც საზღვარგარეთ არის ვინმე, მაგრამ ჩემი ძმა სამამულო ომის პერიოდში გერმანიაში მსახურობდა და მერე მაგადანში 17 წელი გაატარა, — გავეცი პასუხი.

— ცოტა ხანს კიდევ უნდა დამელოდო.

კაბინეტიდან გამოვედი. ახლა უფრო დიდ ხანს ველოდე, მაგრამ მინისტრს სხვა არავინ მიუღია, ეტყობა, ჩემი საქმე ირჩეოდა და მალე მეც გამომიძახეს მინისტრი შუა ოთახში შემომეგება.

— ვნახე. აღმოვაჩინე, — მითხრა და დასძინა, — საუბრის დრო აღარ არის, სასწრაფოდ

**პეტრე მამრაძემ უზუსტესი გაანგარიშებითა და თამამი გადაწყვეტილებებით შექმნა შვიდი გვირაბი 7753 მეტრის საერთო სიგრძით. მათგან მუხროვანისა იყო 1807 მეტრი, გორგასალისა — 1075 მეტრი. ოთხ კილომეტრზე მეტი გზა არხს დახურული გალერეებით, დიუკერებითა და აკვედუკებით უნდა გაევლო. არხის საერთო სიგრძე 39 კილომეტრს უდრის, გამტარიანობა კი 12 კუბური მეტრია წამში**

**ჯუმბერ პატიაშვილთან** უნდა ავიდეთ.

— რა? ასე როგორ წამოვიდე პირდაპირ სამკალიდან მოვდივარ, ნამჯა თავსა და ტანზე მაყრია.

— სამინისტროები რომ მოიარე, მაშინ არ გქონდა ნამჯა დაყრილი თავსა და ტანზე? — შემაფუცხუნა მინისტრმა და სასწრაფოდ ოთახიდან გამომიყვანა. იქვე გადავედით, ჩიტაძის ქუჩაზე. ცენტრალური კომიტეტის მდივან ჯუმბერ პატიაშვილის მისაღებში აღარ შევჩერებულვართ, რადგან იცოდნენ მინისტრის სტუმრობის ამბავი და ნოდარ ჭითანავამ ცეკას მდივანთან წარმადგინა. ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა ღიმილით შემომხედა, გადამკოცნა და მომიკითხა, ჩვენ სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ცეკას მდივანმა გვითხრა, დაბლა უნდა ჩავიდეთ, პირველთანო. არაფერი ვიცი, რა ხდება ჩემ თავს და არც კითხვებს ვსვამ.

ჯუმბერ პატიაშვილმა პირველთან წარმადგინა და საუბარიც დაიწყო: — იცით, რისთვის მოგიყვანეს ჩემთან? — მკითხა პირველმა.

— არა, ბატონო ედუარდ, არ ვიცი.

— ყიზლარში უნდა წახვიდე, — თვალი თვალში გამიყარა და გამიღიმა.

— სად არის ყიზლარი, რა მინდა ყიზლარში? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— იქ სახელმწიფო დისციპლინა უნდა დამყარდეს. როგორც მითხრეს, შენ მაგარი ბიჭი ხარ, საქმეს თავს გაართმევ. ჩემი თხოვნაა, ხვალ დილითვე გაემგზავრო ყიზლარში.

— ბატონო ედუარდ, მე დიდი მეურნეობის დირექტორი ვარ. მობარებული მაქვს უამრავი სახელმწიფო ქონება და დოვლათი, ეს ქონება ვილაცას უნდა ჩავაბარო.

— ბეჭედი ბატონ ნოდარს ჩააბარე, შენ კი ხვალ დილით ყიზლარში გაემგზავრე და საღამოს იქედან დამირეკე.

ასე მოვხვდი ყიზლარში.

ყიზლარში დიდი სარწყავი სისტემა დავაპროექტეთ. ბატონ ედუარდს ვთხოვე, სამუშაოს შესრულება დაევალებინა **შალვა გიორგაძისთვის,** რომელიც ჩემი უსაყვარლესი, უახლოესი ადამიანი იყო და „სამგორწყალმშენს" ხელმძღვანელობდა. პირველმა შემისრულა თხოვნა და ბატონმა შალვა გიორგაძემ ყიზლარში თავისი სამმართველო გახსნა. შალვა გიორგაძეს კი ვთხოვე, ეშუამდგომლა წყალთა მეურნეობის მინისტრთან, სარწყავი წყლისა და არტეზიული ჭების ექსპლუატაციის ხელმძღვანელად მოევლინათ უკვე მოხუცებული, მაგრამ უკეთილშობილესი და გამოცდილი სპეციალისტ, წყალთა მეურნეობის ჟამთა აღმწერი, ბატონი **შალვა სარჯველაძე.** ჩემი მეორე თხოვნაც დააკმაყოფილეს და ტრამალებში მძიმე ცხოვრება ამ ორი ადამიანის სიახლოვემ ასე თუ ისე გამიადვილა.

ცივი და სუსხიანი ზამთრის ღამეებში წარსულის მოგონებებით ვიქცევდით თავს.

**შალვა გიორგაძე** ძალზე განსწავლული ჰიდროტექნიკოსი, მშენებელი და დავალების უმაღლეს დონეზე შემსრულებელი კაცი იყო. Dდიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც კანდიდ ჩარკვიანთან, ისე ვასილ მჟავანაძესთან და ედუარდ შევარდნაძესთან. იყო შოთა ჭანუყვაძის უახლოესი მეგობარი (როგორც გურულები). ჰყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე და ანგელოზივით შვილები — გიზო ანდრო და ჯანიკო. ამჟამად მხოლოდ ანდროა ცოცხალი და ყველას სიყვარული ამ ერთში მაქვს განივთებული.

**შალვა სარჯველაძე წყალთა მეურნეობის სამინისტროს უწმინდესი და უფაქიზესი (როგორც შევარდნაძე იტყოდა ხოლმე) წარმომადგენელი იყო, ყველაფრის მცოდნე და დამმახსოვრებელი, დარგის ერთ-ერთი მეისტორიე, ჩემი შთაგონების წყარო; სამსახურეობრივ მოვალეობის შესრულების დროს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ავტოკატასტროფაში დაიღუპა.**

სწორედ ამ ორი ადამიანის მონათხრობის მიხედვით მაქვს 1975-79 წლებში შედგენილი ჩემი „ყიზლარული ჩანაწერები", რომლიდანაც ზოგიერთ მასალას გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" პერიოდულად გამოქვეყნებულ სტატიებშიც ვიყენებ. შალვა გიორგაძისა და შალვა სარჯველაძის მონათხრობებით მოგაწოდეთ და კვლავაც მო- ►

მოკლედ

## ბანგლადეშში უფასო ტანსაცმლის რიგში ჭყლეტის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა

**ბანგლადეშის ქალაქ მიმენსიგჰში ჭყლეტის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა.** ინციდენტი თამბაქოს ქარხანაში მაშინ მოხდა, როდესაც უფასო ტანსაცმელს არიგებდნენ. ასობით ადამიანმა ერთდროულად სცადა ქარხნის ეზოში შესვლა, შესასვლელი კარი კი ძალიან ვიწრო იყო, რის გამოც ტრაგედია მოხდა. პოლიციამ მომხდარის გამო შვიდი ადამიანი დააკავა, მათ შორის ქარხნის მეპატრონეც. რამადანის განმავლობში მდიდარი ბანგლადეშელები ღარიბებისთვის უფასოდ ტანსაცმელს არიგებენ, სწორედ მათ მიერ შეწირული ტანსაცმლის აღებას ცდილობდნენ ადამიანები, როდესაც ტრაგედია მოხდა. ადგილობრივი პოლიცია ვარაუდობს, რომ დაღუპულთა რაოდენობა მეტია.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1926 წელს საუკუნის პროექტს ხელი მოჰკიდა და პროექტანტების ჯგუფს სათავეში ჩაუდგა სახელმოხვეჭილი ინჟინერი პეტრე მამრაძე, რომელმაც სრულიად შეცვალა ყველა ადრინდელი პროექტის სიმძლავრეები, ტექნოლოგიები და ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით შექმნა ამ უნიკალური ნაგებობის სრულყოფილი პროექტი.

◀ გაწვდით რამდენიმე მასალას პეტრე მამრაძის საინჟინრო საქმიანობაზე, რომელზეც ფართო გამოკვლევა აწარმოა ბატონმა კანდიდ ჩარკვიანმა თავის სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომში „საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა".

**ავტორზე სამგორის სარწყავი სისტემის პროექტისა, რომლის საფუძველზეც მშენებლობა თამარ მეფემ დაიწყო, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ვიტყვი, რომ 800 წლის წინანდელი სარწყავი სისტემა თავისი გრანდიოზულობითა და თამამი გადაწყვეტით ჩვენი ერის ნიჭიერებაზე მიანიშნებს.**

მას შემდეგ ინგლისელებმა — **ბელმა** და **გაბმა** — იმუშავეს სამგორის სარწყავი სისტემის პროექტზე, რომელიც იმხანად უნიკალურ პროექტად ითვლებოდა, მაგრამ ცარიზმმა კოლონიისთვის ვერ გაიმეტა ის სიკეთე, რომელიც შეიძლება ამ პროექტს მოეტანა ქვეყნისთვის. ამას მოჰყვა **მელიქ ფაშაევის, ქურდიანის, ზორინ-ტერ ვართანიანისა** და **ფირალიშვილის** პროექტები, მაგრამ მათი განხორციელება ტექნიკური ნაკლის თუ უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა.

**1926 წელს საუკუნის პროექტს ხელი მოჰკიდა და პროექტანტების ჯგუფს სათავეში ჩაუდგა სახელმოხვეჭილი ინჟინერი პეტრე მამრაძე, რომელმაც სრულიად შეცვალა ყველა ადრინდელი პროექტის სიმძლავრეები, ტექნოლოგიები და ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით შექმნა ამ უნიკალური ნაგებობის სრულყოფილი პროექტი.**

წინა პროექტით, კოჭბაანის წყალსაცავი, რომლის ტევადობაც პროექტით 60 მილიონი კუბური მეტრი იყო, მამრაძის გათვლით დამტკიცდა, რომ ის მხოლოდ 45 მილიონ კუბურ მეტრს დაიტევდა, ეს არასაკმარისი იყო იმ პროგრამის შესასრულებლად, რომელიც საპროექტო დავალებაში იყო გათვალისწინებული.

მამრაძემ დაამტკიცა, რომ, თუ იორს სათავეში არ ექნებოდა დიდი მოცულობის წყალსაცავი, მაშინ ამ პროექტის განხორციელება ყოველგვარ აზრს იქნებოდა მოკლებული, რადგან არხზე ჩამოკიდებული კასკადის ჰიდროელექტროსადგურები რეგულირების გარეშე ვერ იმუშავებდა და არ იქნებოდა რწყვის მყარი გარანტია.

იორის აუზის დეტალურმა გამოკვლევამ და პეტრე მამრაძის ხედვამ ხეობაზე, პროექტის ავტორს შეუქმნა იმის წინაპირობა, რომ წყალსაცავისთვის არათუ კოჭბაანი იყო საუკეთესო ადგილი, არამედ სოფელ სიონთან არსებული ფართო ჭალა თავისი დასახლებული პუნქტებით. ეს იყო სწორი მიგნება და ღვთაებრივი დანახვა იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც ამ გრანდიოზულ მშენებლობას სჭირდებოდა.



სამგორის წყალსაცავი

პირველი, რამაც დასაბამი მისცა სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის რეალიზებას, იყო პეტრე მამრაძის მიერ სიონის ჭალის აღმოჩენა და 300 მილიონ კუბურ მეტრამდე წყლის რეზერვის შექმნა.

„ამ ბედნიერმა აღმოჩენამ განსაზღვრა სამგორის სარწყავი სისტემის, როგორც ირიგაციისა და ენერგეტიკის კომპლექსის, ხასიათი" (კ. ჩარკვიანი „საქართველოს ელექტროენერგეტიკა", გვ. 146).

**სიონის წყალსაცავიდან წამოსული მდინარე იორის წყალი ურთულეს რელიეფურ პირობებში უნდა გადმოსულიყო მლაშე ტბებში, სადაც უნდა შექმნილიყო თბილისისთვის ესეოდენ საჭირო სასმელი წყლის მარაგი და აეყვავებინა მზით დამწვარი სამგორის ველი.**

პეტრე მამრაძემ უზუსტესი გაანგარიშებითა და თამამი გადაწყვეტილებით შექმნა შვიდი გვირაბი 7753 მეტრის საერთო სიგრძით. მათგან მუხროვანისა იყო 1807 მეტრი, გორგასლისა — 1075 მეტრი. ოთხ კილომეტრზე მეტი გზა არხს დახურული გალერეებით, დიუკერებითა და აკვედუკებით უნდა გაევლო. არხის საერთო სიგრძე 39 კილომეტრს უდრის, გამტარიანობა კი 12 კუბური მეტრია წამში. Qქვემო მაგისტრალური არხი, რომელიც წყალს თბილისის ზღვიდან აიღებდა, 525 მეტრი სიგრძის გვირაბით გადიოდა და ყარაიაზისკენ მიემართებოდა. ყველაზე რთული მონაკვეთი მდინარე ლოჭინზე გადასასვლელი დიუკერი იყო, რომლის სიგრძე 1125 მეტრს შეადგენდა. რთული საინჟინრო გადაწყვეტებით, ესეც წარმატებით იქნა განხორციელებული. აქედან არხი ჯერ აღმოსავლეთით მიემართებოდა, შემდეგ — სამხრეთ-აღმოსავლეთით და მთავრდებოდა გარდაბნის ტრამალებზე ჯანდარის ტბაში ჩამავალ ხევში.

სამგორის სარწყავი სისტემის მამრაძისეული პროექტი 1933 წლის 26 სექტემბერს დამტკიცდა. სახსრების უქონლობის გამო მშენებლობის დაწყება მეორე ხუთწლედში ვერ მოხერხდა. მესამე ხუთწლედში კოლხეთის ჭაობის დაშრობა იქნა გათვალისწინებული, რის გამოც კვლავ შეფერხდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყება.

1941 წლის 10 იანვარს საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, კანდიდ ჩარკვიანმა სთხოვა სტალინს ეშუამდგომლა საკავშირო მთავრობაში, რათა დაწყებულიყო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რაც გაიზიარა საკავშირო მთავრობამ და სტალინის უშუალო მითითებით, მშენებლობის უმოკლეს დროში შესრულება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, უშუალოდ კი — **ლავრენტი ბერიას.**

მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებული იყო, რომ ქვეყანას თავს დაესხა ფაშისტური გერმანია და, როგორც ბევრი სხვა, სამგორის მშენებლობაც გაჩერდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო. 1945 წლის ოქტომბერში სტალინმა კანდიდ ჩარკვიანს საქართველოს ისტორიის ავტორებთან — აკადემიკოს **ნიკო ბერძენიშვილთან** და **სიმონ ჯანაშიასთან** შეხვედრა სთხოვა, რაც მეორე დღესვე იქნა შესრულებული. შეხვედრას სტალინის მეგობარი, აკადემიკოსი **მიხეილ წინამძღვრიშვილიც** ესწრებოდა.

საქართველოს ისტორიასა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე საუბრისას ჩარკვიანს მიეცა საშუალება, სტალინისთვის შეეხსენებინა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის საკითხი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ორჯერ შეჩერდა.

სტალინმა გულდასმით მოისმინა ჩარკვიანის თხოვნა და გამოთქვა მზადყოფნა, დახმარებოდა საქართველოს მთავრობას საკავშირო მთავრობაში საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.



პეტრე მამრაძე

ძნელბედობის ჟამს, როდესაც ქვეყანა და სრულიად ევროპა ნანგრევებად იყო ქცეული, უზარმაზარი თანხის გამოყოფა სარწყავი არხის ასაშენებლად, ალბათ, უხერხულობას უქმნიდა სტალინს, ამიტომ მან კატეგორიულად განუცხადა კანდიდ ჩარკვიანს:

„თქვენ იოლი კულტურებით გინდათ ფონს გასვლა, ფულის გამოყოფა რწყვის მოსაწყობად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ მორწყულ მიწებზე ბამბა იქნება მოყვანილი, როგორც სტრატეგიული ნედლეული. მოიფიქრეთ ხვალამდე. იქნება ბამბა — იქნება სამგორი, არ იქნება ბამბა — არ იქნება სამგორის სარწყავი სისტემა, — ბოლო სიტყვებს სტალინმა ხუმრობის ელფერი მისცა (კანდიდ ჩარკვიანი, „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები", გვ. 95).

სასწრაფოდ შეადგინეს მოხსენებითი ბარათი, რომელსაც სტალინმა იქვე დაადო რეზოლუცია და სპეცფოსტით მოსკოვში გაიგზავნა. ასე მოხვდა ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ **პროექტი მისი ავტორის — პეტრე მამრაძის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ უცვლელად იქნა ხორცშესხმული. ეს არის სწორედ მაღალი რანგის სპეციალისტის უკვდავება.**

შალვა სარჯველაძე მიყვებოდა:

„პეტრე მამრაძე ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ მე მას კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდი კიდეც. ის გამორჩეულად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მოსიყვარულე ადამიანი იყო. იცოდა, რომ რაღაც ნიშნით გამორჩეული იყო თავის ტოლ-ამხანაგებისგან, ის უპირველესი და უძველესი თბილისელი იყო, Sუზომოდ შეყვარებული თავის ქალაქსა და ქალაქურ ტრადიციებზე.

პეტრე მამრაძემ ქართულ მელიორაციასა და ირიგაციას ჩაუყარა საფუძველი, მას უამრავი ჰიდრონაგებობა, სამელორაციო და საირიგაციო პროექტები აქვს შექმნილი, რომლებსაც დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს სპეციალისტები.

1920-30-იან წლებში ქალაქის მმართველობაში თუ საპროექტო სამსახურებში შემორჩენილმა **ხატისოვის** დაჯგუფების ნაშთებმა მოახერხეს, რომ ხელისუფლებას ეჭვი შეეტანა პეტრე მამრაძის საქმიანობაში და უნიჭიერესი ინჟინერი 1930 წელს დააპატიმრეს. ლავრენტი ბერიამ სტალინს მოახსენა პეტრე მამრაძის პატიმრობის თაობაზე და, სტალინის უშუალო განკარგულებით, პეტრე მამრაძე საპყრობილიდან გაათავისუფლეს. ის 1931 წლის შემოდგომაზე წყალტუბოში შეხვდა სტალინს. სწორედ წყალტუბოში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა სამგორის სარწყავი სისტემისა და წყალტუბოს განაშენიანების საკითხი".

60 წლის პეტრე მამრაძე გულის უკმარისობით გარდაიცვალა 1937 წელს.

ინჟინერი პეტრე მამრაძე ერთადერთი შვილი იყო ასევე ქართველი პატრიოტის — გრიგოლ მამრაძისა, პეტრეს კი ვაჟი და ქალიშვილი ეყოლა — **გრიგოლი** და **ელისაბედი.** გრიგოლი მამის კვალს გაჰყვა და მეცნიერი გახდა, ელისაბედმა შესანიშნავი ოჯახი შექმნა, გრიგოლ მამრაძეს ვაჟი — პეტრე გაუჩნდა, პოპულარული პოლიტოლოგი და ექსპერტი, თითით საჩვენებელი სახელმწიფო მოღვაწე თავისი პატიოსნებითა და ერუდიციით სახელგანთქმული. პეტრეს შვილიშვილი — **პეტრე მამრაძე (უმცროსი)** ქალიშვილის მამაა, შესანიშნავი **ელისაბედის.**

მამრაძეების გვარს დიდი ისტორია აქვს და უძველესი თბილისური გვარიდან — მამრაშებიდან უნდა მომდინარეობდეს. საუკუნეების განმავლობაში მამრაძეების ერთი ოჯახის შთამომავლობა მოდის საქართველოში. მამრაძეების ბოლო ოჯახის უფროსს — პეტრეს მემკვიდრედ ბიჭი არ ჰყავს, რითაც შეიძლება დასრულდეს საქართველოში მამრაძეთა და მამრაშთა ისტორიული გვარი, რაც ესოდენ დასანანია.

---



## დენის ანტონიუკი: რა გააკეთა სააკაშვილმა საქართველოში?! ავიაგადაზიდვები თურქეთს ეკუთვნის

**უკრაინის სახელმწიფო საავიაციო სამსახურის ყოფილი უფროსი — დენის ანტონიუკი, რომელმაც თანამდებობა ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის გამო დაკარგა, უკრაინულ მედიასთან იმ რეფორმებზე საუბრობს, რომლებიც საქართველოში სააკაშვილის დროს გატარდა.**

როგორც ანტონიუკმა აღნიშნა, უკრაინისთვის ძალიან ცუდი იქნება, თუ სააკაშვილი საქართველოში გატარებულ რეფორმებს გაიმეორებს.

„სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის დღეს, როდესაც სკანდალი აგორდა, თბილისში შესრულდა 35 საერთაშორისო ფრენა. მათგან 5 განახორციელეს ქართულმა ავიაკომპანიებმა. მე ვსაუბრობ სააკაშვილის პერიოდში განხორციელებულ რეფორმებზე. 2001 წლიდან 2012 წლამდე საქართველოში მგზავრთა ნაკადი 3.5-ჯერ გაიზარდა, უკრაინაში კი მხოლოდ ბორისპოლის აეროპორტში — 5.5-ჯერ, წელიწადში 8.5 მილიონ ადამიანამდე. ეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში „რეფორმებს" ახორციელებდნენ, ჩვენთან კი — არა. საქართველოდან ევროპაში ფრენა იმდენივე ღირს, რამდენიც სომხეთიდან ევროპაში, მაგრამ იქ ასეთი „რეფორმები" არ განუხორციელებიათ. თუ ბორისპოლი ასე გაიზარდა, ესე იგი, უკრაინის განვითარების გზა უფრო ეფექტიანია, ვიდრე ქართული, მაგრამ ახლა თავს გვახვევენ სწორედ ქართულ გზას. ახლა საქართველოში ავიაგადაზიდვების ბაზარი ეკუთვნის თურქეთს! ორი მთავარი აეროპორტი, თბილისისა და ბათუმის, კონტროლდება TAV-ის მიერ — ეს თურქული კონსორციუმია. მთავარი გადამზიდავი საქართველოში თურქეთის ავიახაზებია, მეორე ადგილზეა უკრაინის ავიახაზები. ეს კარგია უკრაინისთვისაც, მაგრამ ცუდია საქართველოსთვის. იმიტომ, რომ გადასახადები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უკრაინაშიც მიდის", — განაცხადა ანტონიუკმა.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა რამდენიმე კვირის წინ საკუთარი უკრაინის სახელმწიფო საავიაციო სამსახურის უფროსი მონოპოლიის შექმნისა და მხოლოდ ადგილობრივი კომპანიების ხელშეწყობაში დაადანაშაულა და თანამდებობიდან გაათავისუფლა.

---

მსოფლიო



## ძლიერი ტაიფუნის გამო ჩინეთში მილიონამდე ადამიანის ევაკუაცია მოხდა

**ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე პროვინცია ჩჟეცზიანს მძლავრმა ტაიფუნმა „ჩან-ხომა" გადაუარა. სტიქიის ზონიდან მილიონამდე ადამიანი უსაფრთხო რაიონებში გადაიყვანეს.** შანხაის ხელისუფლება კი მოსახლეობას სახლში დარჩენას ურჩევდა. მეტეოროლოგების ცნობით, ქარის სიჩქარემ 187 კმ/სთ შეადგინა. ტაიფუნის გამო 400-მდე რეისი გადაიდო. მანამდე კი, „ჩან-ხომ" ფილიპინებზე 5 ადამიანი იმსხვერპლა. ტაიფუნმა ტაივანისა და იაპონიის ტერიტორიებზეც გადაიარა, სადაც ასევე რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ჩინეთის ნაციონალური მეტეოროლოგიური ცენტრის ინფორმაციით, ეს ტაიფუნი, შესაძლოა, იყოს რეგიონში უძლიერესი 1949 წლის შემდეგ.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ფრაზაში — „ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი“ — იგულისხმა „ორი რუსი ინსტრუქტორის გვამები“, რომლებიც, მისი ინფორმაციით, იმყოფებოდნენ „ამბოხებულებთან“ და კვალის დაფარვის მიზნით „აჯანყებულებმა ისინი მოკლეს“... წარბიც კი არ შეუხრია, ისე დააბრალა ჭეშმარიტად ღირსეულ ოფიცრებს, კადრის სამხედროებს, ვერაგული მკვლელობა და მერე ვისი? „მათთან დასახმარებლად მისული რუსი ინსტრუქტორების“, ე.ი. სტუმრების. როგორ უნდა გაბოროტდეს ქართველი ადამიანი, რომ სრულიად დაავიწყდეს ქართული ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი.**


ალექსანდრე ტოლსტოი

# პროკურატურის საყურადღებოდ!

**2014 წლის 29 იანვარს ქართული ტელეარხების მიერ გადაცემულ სიუჟეტებში 2009 წლის 5 მაისს დაბა მუხროვანში მომხდარ მოვლენებზე, ალბათ, ყველა მაყურებლისთვის გამაოგნებელი იყო შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის სიტყვები: „ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ეს ორი გვამი. ვსიო. პრემია დიდია!“. რას გულისხმობდა ივანე მერაბიშვილი ამ სიტყვებში, შემდგომ გავერკვევით, ჯერ კი დავადგინოთ, რა მოხდა მუხროვანში იმ დღეს.**



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მუხროვანში განლაგებული სამხედრო ნაწილის მოსამსახურეებმა სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად მოაწყვეს ამბოხება და დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს.

ბრალდება ძალიან მძიმეა და ამიტომ საჭიროა, ბრალდების ყოველი სიტყვა ზუსტად განისაზღვროს, კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისად. პირველ რიგში, დავაზუსტოთ მნიშვნელობა სიტყვებისა — **„ამბოხება“** და **„დაუმორჩილებლობა“:**

***„ამბოხება“** (იგივე „აჯანყება“) — რეაქციული სამხედრო წრეების შეიარაღებული გამოსვლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით.

***„დაუმორჩილებლობა“** — მეთაურის (უფროსის) ბრძანების შესრულებაზე დაუფარავი უარი ან შეგნებულად მისი შეუსრულებლობა.

პროკურატურის მიერ სამხედროებისადმი წაყენებულ ბრალდებაში „ამბოხება“ აღნიშნულია, როგორც მომხდარი ფაქტი და ამიტომაც საჭიროა, ჩავიხედოთ და დავადგინოთ, რა ქმედებას მოითხოვს ამ შემთხვევაში კონსტიტუცია.

ძირითადი კანონის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

**„თ)** ომიანობის თუ მასობრივი არეულობის... სამხედრო გადატრიალების და შეიარაღებული ამბოხების... შემთხვევაში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად“.

და, **რადგანაც 5 მაისს ქვეყანაში არ გამოცხადებულა პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობა და ეს გადაწყვეტილება პარლამენტის მიერ არ იყო დამტკიცებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია.**

**ე.ი. გამოდის, რომ პროკურატურამ ცილი დასწამა სამხედროებს.**

ახლა დავუშვათ, რომ „შეიარაღებული ამბოხება“ ნამდვილად მოხდა.

მაშინ **საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლობით სახელმწიფოს მეთაურმა დაარღვია კონსტიტუცია.**

ამბოხების შემთხვევაში როგორ უნდა ემოქმედა ხელისუფლებას?

სასწრაფოდ უნდა მოეწვია ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, ყოველმხრივ შეეფასებინა შექმნილი ვითარება, შეემუშავებინა ამბოხების ჩახშობის კონკრეტული გეგმა, დაენიშნა პასუხისმგებელი პირები მიმართულებების მიხედვით და საერთო ხელმძღვანელი, მიეღო გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და სხვ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები:

**— შეიკრიბა თუ არა ეროვნული უშიშროების საბჭო, რა შემადგენლობით და რა გადაწყვეტილებები მიიღეს?**

**— ვინ დაინიშნა შეიარაღებული „ამბოხების ჩახშობის“ საერთო ხელმძღვანელად, პასუხისმგებელი პირები თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში?**

**— რა ძალები და საშუალებები გამოიყენეს აჯანყებულების „წინააღმდეგ“ და თუ იქნა გაცემული სამხედრო მოსამსახურეებზე სრული საბრძოლო კომპლექტი?**

**— თუ გაძლიერდა სამთავრობო შენობებისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვა?**

**— რა ძალები და საშუალებები გააჩნდათ ამბოხებულებს და თუ გაიცა სამხედრო მოსამსახურეებზე სრული საბრძოლო კომპლექტი?**

**— ამბოხებულებმა თუ გამოიყვანეს ბოქსებიდან (თავშესაფრიდან) მძიმე ტექნიკა და თუ მოხდა მათი მხრიდან თუნდაც გამაფრთხილებელი გასროლა?**

**— რის საფუძველზე მოუყარეს თავი მუხროვანში სამთავრობო ჯარების საბრძოლო ტექნიკას?**

ვინაიდან:

კონსტიტუციის მე-100 მუხლის თანახმად:

„1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად“,

**დაბა მუხროვანში ბევრი სამხედრო მოსამსახურე, ტანკი და საბრძოლო მანქანა იყო განლაგებული, რაც მოწმობს იმას, რომ სამხედრო ძალების გამოყენების ბრძანება გაიცა, მაგრამ საკითხავია, რატომ არ იყო ეს გადაწყვეტილება პარლამენტში შეტანილი დასამტკიცებლად?**

ე.ი. აქაც ჩანს კონსტიტუციის დარღვევის კიდევ ერთი შემთხვევა.

მუხროვანთან სამთავრობო ჯარების განლაგებით ჩანს, რომ ტანკებსა და ჯავშანმანქანებს შენარჩუნებული ჰქონდათ სალაშქრო (სამგზავრო) მწყობრი და არ ჰქონდათ დაკავებული საბრძოლო პოზიციები.

**დაბა მუხროვანში ბევრი სამხედრო მოსამსახურე, ტანკი და საბრძოლო მანქანა იყო განლაგებული, რაც მოწმობს, რომ სამხედრო ძალების გამოყენების ბრძანება გაიცა, მაგრამ საკითხავია: რატომ არ იყო ეს გადაწყვეტილება პარლამენტში შეტანილი დასამტკიცებლად?**




არც იქ მყოფ პიროვნებებს შორის შეიმჩნეოდა რაიმე დაძაბულობა ან შიში.

პირიქით — მათ ქმედებაში აშკარად შეიმჩნეოდა აგრესიულობა და დაუოკებელი წყურვილი, სწრაფად გასწორებოდნენ „მეამბოხეებს“, რისთვისაც იქ ჩაიყვანეს სისასტიკით განთქმული პიროვნებები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ **სამთავრობო სტრუქტურები „აჯანყებულების“ მხრიდან თავდასხმას არ ელოდებოდნენ.**

მაშინ რომელ შეიარაღებულ აჯანყებაზეა საუბარი?

ახლა განვიხილოთ ივანე მერაბიშვილის მიერ 2014 წლის 30 იანვარს თავის მართლების მიზნით წარმოთქმული წინადადება.

**მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ფრაზაში — „ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი“ — იგულისხმა „ორი რუსი ინსტრუქტორის გვამები“, რომლებიც, მისი ინფორმაციით, იმყოფებოდნენ „ამბოხებულებთან“ და კვალის დაფარვის მიზნით „აჯანყებულებმა ისინი მოკლეს“.**

ჯერ ერთი, დარბაისელი და ინტელიგენტი ადამიანი მოერიდება ახალგარდაცვლილზე თქვას „გვამი“, რადგან ეს სიტყვა ხანდახან ასოცირდება სიტყვებთან — „ლეში“, „მძორი“ და საჭიროების შემთხვევაში წარმოთქვამს სიტყვა „ცხედარს“.

და მეორე, რაც ძალიან შემზარავია: **წარბიც კი არ შეუხრია, ისე დააბრალა ჭეშმარიტად ღირსეულ ოფიცრებს, კადრის სამხედროებს, ვერაგული მკვლელობა და მერე ვისი? „მათთან დასახმარებლად მისული რუსი ინსტრუქტორების“, ე.ი. სტუმრების.**

როგორ უნდა გაბოროტდეს ქართველი ადამიანი, რომ სრულიად დაავიწყდეს ქართული ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი?!

ნუთუ არ წაუკითხავს ვაჟაფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“?!

ნუთუ შეიძლებოდა მის უწყებაში, ასეთი რამ მომხდარიყო?

როგორც ჩანს, ისე გადაიღალა სასამართლო პროცესებით, რომ დაკარგა განსჯის უნარი და ზნეობრივად კიდევ უფრო დაეცა.

რაც შეეხება თავის მართლების მიზნით წარმოთქმული წინადადების კიდევ 2 სიტყვას — **„ჩემი ინფორმაციით“,** მან აქ საზოგადოების მოტყუება ძალიან უსუსური არგუმენტით სცადა.

საინტერესოა, ვინ იყო ამ ინფორმაციის მიმწოდებელი — უშიშროების ოფიცერი, რომელიც ოპერატიულად ემსახურებოდა ამ ნაწილს, და რომელიც ვალდებული იყო, მოეხსენებინა ხელმძღვანელობისთვის ნაწილში არსებული ვითარება თუ სხვა?

და, **თუ შს სამინისტროში ასეთი „ინფორმატორების“ ინფორმაციის საფუძველზე დგინდებოდა „ჯაშუშების“, „მოღალატეების“, „შეიარაღებული ამბოხების მონაწილეების“ და სხვა „დამნაშავეების“ ვინაობა, ამიტომ ხომ არ გაჩნდა ქვეყანაში ათიათასობით უდანაშაულო პატიმარი და პრობაციონერი?!**

თუ მუხროვანის სატანკო ნაწილს ჩავთვლით ინფორმაციის წყაროდ, „ცნობების მომპოვებელ“ პიროვნებად ერთადერთ „ინფორმატორს“, ხოლო ამ ინფორმაციის მომხმარებლად შს იმჟამინდელ მინისტრს, მაშინ, დაზვერვის დებულების თანახმად, ინფორმაციის საიმედოობის ხარისხი უნდა შეფასდეს არასარწმუნოდ, ვინაიდან „ინფორმატორი“ ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც ადასტურებს „ამბოხებას“, ხოლო თვით „მომხმარებელმა“ თავისი თავი, უკვე დიდი ხანია, შეაფასებინა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს, როგორც სადაზვერვო საქმეში სრულიად არაკომპეტენტური.

გავიხსენოთ **თუნდაც „კოჭოიას“ და „ენვერის“ საქმეები, აეროპორტის ოპერატორის მიერ ყალბი პირადობის მოწმობის მქონე ყოფილი შს მინისტრის ამოცნობა და სხვ.**

აი, ასეთი „შემოქმედებითი აზროვნების“ მქონე პიროვნებებს ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები 2008 წლის აგვისტოში და 2009 წლის 5 მაისს.

**ცნობისათვის:**

**1.** თუ სადაზვერვო წყაროს, მომპოვებელი და მომხმარებელი ორგანოების საიმედოობა ფასდება სხვადასხვანაირად, ინფორმაციას ენიჭება ყველაზე დაბალი საიმედოობის ხარისხი;

**2.** საიმედოდ ითვლება ისეთი ცნობები, რომლებიც დასტურდება რამდენიმე წყაროს მიერ ან რამდენიმეჯერ ერთი სარწმუნო წყაროს მიერ დამამტკიცებელი მასალებით და სრულიად შეესაბამება შექმნილ ვითარებას;

**3.** თუ გავითვალისწინებთ, რომ „აჯანყებულების“ მხრიდან ტაქტიკური მოქმედების ხერხად მიღებული იქნებოდა თავდასხმა და ვიხელმძღვანელებთ დადგენილი ნორმატივებით, რომლებიც მოითხოვს დაცვის თითოეული გუშაგის მოხსნისთვის 5-10 მეომარს (თავდამსხმელები + მეთვალთვალეები + საცეცხლე უზრუნველყოფის მეომრები), თანაც გააჩნია, სად იმყოფება ეს გუშაგი, მაშინ 500-კაციანი სატანკო ბატალიონი (ქვეითების გარეშე) ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

**ალექსანდრე ტოლსტოი**



**თბილისის საოლქო და საქართველოს უზენაესმა სასამართლოებმა ისე მიიღეს პროკურატურის სარჩელი წარმოებაში, ისე განიხილეს საქმე და ისე ჩამოართვეს ჩემს მშობლებსა და დას პირადი ქონება, რომ ჯერ გარკვეულიც არ იყო, ნამდვილად ვიყავი თუ არა ბრალდებული რაიმე დანაშაულის ჩადენაში, რადგან პროკურორს დოკუმენტი, რომლითაც ჩემი ბრალდებულად ყოფნა დასტურდებოდა, სასამართლოსთვის წარდგენილი არ ჰქონდა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამართლიანობის აღდგენის დიდი იმედი მქონდა...

**ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში მართლმსაჯულება ხორციელდება სასამართლოს, სახელმწიფო ბრალდებისა და ადვოკატურის ინსტიტუტის წარმომადგენელთა მეშვეობით. როგორც პროკურორის, ისე ადვოკატის დასაბუთებული არგუმენტები სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და არავის აქვს უფლება, ჩაერიოს მის საქმიანობაში, ზეგავლენა მოახდინოს მასზე მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. კანონი ყველა დროში კანონი უნდა იყოს და არ უნდა გამოიყენებოდეს ცალკეულ პირთა მიმართ პირადი ანგარიშსწორებისთვის.**



2003 წელს ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებისა და მათთან დაახლოებული პირების მიერ **ჩემ წინააღმდეგ უკანონოდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, აშკარად დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-17 მუხლის მოთხოვნები. ასევე, უხეშად დაირღვა საქართველოს სსს კოდექსის მე-18 მუხლის 1 და 2 ნაწილი, მე-10 მუხლის 3 და 4 ნაწილი და საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის 2 და 3 ნაწილები.**

ეს ადამიანები იყვნენ:

**მიხეილ სააკაშვილი** — საქართველოს პრეზიდენტი; **ვანო მერაბიშვილი** — შს მინისტრი; **ზურაბ ადეიშვილი** — იუსტიციის მინისტრი; **ირაკლი ოქრუაშვილი** — მთავარი პროკურორი; **დავით კეზერაშვილი** — საფინანსო პოლიციის უფროსი; **დავით ბეჟუაშვილი** — პარლამენტარი; **თემურ ალასანია** — რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) თანამშრომელი, მიხეილ სააკაშვილის ბიძა;

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში:

**გ. ლაცაბიძე** — საგამოძიებო ნაწილის უფროსი; **პ. ჯაველიძე** — განსაკუთრებულ საქმეთა პროკურორი; **ო. ტყეშელაშვილი** — პროკურატურის გამომძიებელი (აწ გარდაცვლილი).

გამოგონილი, დაუსაბუთებელი მოტივაციით შექმნეს სს საქმე, წამომიყენეს ბრალი, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ მიერვე მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და გააგზავნეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა — **ბ. ხიმშიაშვილმა, მ. იოსავამ, ა. ტყეშელაშვილმა,** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა — **ნ. ჭანიშვილმა, თ. ზამბახიძემ, მ. ბებიაშვილმა,** აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა —**შ. კობერიძემ, გ. ჯაჯაიამ** და **ნ. ქადაგიძემ** დაუსაბუთებლად და უკანონოდ გამომიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან საქართველოს პრეზიდენტმა 2005 წლის 26 ივლისს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრისას საჯაროდ განაცხადა (ციტატა ნათქვამიდან): **„ძველი უშიშროების კადრებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ ჩამოართვა ლევან კენჭაძემ უშიშროების პირადი შემადგენლობის ზოგიერთ წარმომადგენელს სატაბელო იარაღი, როგორც ძველი და უვარგისი, თითქოსდა ეს იარაღი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გადაადნეს, შემდეგ კი გაყიდეს. სინამდვილეში ის დამნაშავეთა სამყაროს ხელში გადავიდა".**

პრეზიდენტმა საჯაროდ დამადანაშაულა, მაგრამ ამ ქმედებებისა და დანაშაულისთვის ჩემთვის არც წინასწარ გამოძიებას წაუყენებია ბრალი და არც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას გავუსამართლებივარ.

**სამართლიანობის აღდგენა არის სახელმწიფოს მოვალეობა, მაგრამ სახელმწიფო ამას არ აკეთებს და ამით მიბიძგებს, თვითონ დავიწყო სამართლიანობის აღდგენა, ეს კი დანაშაულის ჩადენის იძულებაა**

ამ განცხადებით პრეზიდენტმა, როგორც უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირმა, პირდად შეზღუდა სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუმხრობლობა, რადგან მან წინასწარ დამდო ბრალი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლის გამოც არ მასამართლებდნენ.

**2005 წლის 19 ოქტომბერს მომისაჯეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.**

ცალკე აღსანიშნავია ჩემი უახლოესი ნათესავებისთვის — მამა, დედა და და (რამდენიმე წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ვცხოვრობდით) — პირადი ქონების ჩამორთმევის საკითხი.

**თბილისის საოლქო და საქართველოს უზენაესმა სასამართლოებმა ისე მიიღეს პროკურატურის სარჩელი წარმოებაში, ისე განიხილეს საქმე და ისე ჩამოართვეს ჩემს მშობლებსა და დას პირადი ქონება, რომ ჯერ გარკვეულიც არ იყო, ნამდვილად ვიყავი თუ არა ბრალდებული რაიმე დანაშაულის ჩადენაში, რადგან პროკურორს დოკუმენტი, რომლითაც ჩემი ბრალდებულად ყოფნა დასტურდებოდა, სასამართლოსთვის წარდგენილი არ ჰქონდა.** მე ბრალი წარდგენილი უნდა მქონოდა იმაში, რომ ჩემი და ჩემი უახლოესი ნათესავების ქონება, შესაძლებელია, მოპოვებული ყოფილიყო სამოხელეო ან სამეწარმეო, ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით, გამოძალვით, მითვისებით ან გაფლანგვით, გადასახადებისგან თავის არიდებით ან საბაჟო წესების დარღვევით. ისიც უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც 2004 წლის 13 თებერვალს განხორციელდა და რომლითაც პროკურორს მიეცა უფლება, სარჩელი შეეტანა მოქმედი ან ყოფილი თანამდებობის პირის მიმართ ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით, განხორციელდა მხოლოდ საპროცესო კანონებში — საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსსა (VII2 თავი) და სსსკ-ში (371 მუხლი). მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მათგანს უკუქცევითი ძალა არ აქვს, საქართველოს სასამართლო ხელისუფლებამ ამ კანონების მოქმედება ჩემზე გაავრცელა 2004 წლის 13 თებერვლამდე არსებულ პერიოდზე, ანუ კანონს უკუქცევის ძალა მისცა, რითაც მოხდა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადების სრული იგნორირება და დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ჩემს უახლოეს ნათესავებს — დედას, მამას და დას, რომლებიც დამოუკიდებელი პიროვნებები არიან და ჩემს ოჯახზე მატერიალურად დამოკიდებული არ ყოფილან, ჩამოართვეს პირადი ქონება, ჩემთვის კი არაფერი ჩამოურთმევიათ.

**ამ უკანონობით გამოწვეული ძლიერი ნერვიული სტრესის გამო მამა და და გარდაიცვალნენ, ხოლო მე უმძიმესი სენით დაავადდი.**

ყოველ ადამიანს უფლება აქვს, მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის ან მისდამი სისხლის სამართლის ბრალდების წარდგენის დროს ითხოვოს მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა.

**2005 წელს ჩემმა ადვოკატებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით. 2009 წლის მაისში, როდესაც სტრასბურგიდან მოვიდა ოფიციალური შეტყობინება, რომ იწყებოდა ჩემი საქმის განხილვა, ავჭალის მე-10 კოლონიაში, სადაც ვიხდიდი სასჯელს, მოვიდნენ პროკურატურის თანამშრომლები და შემომთავაზეს: გამომეტანა საჩივარი და იმ დღესვე გამათავისუფლებდნენ; უარის შემთხვევაში კი ჩემს შვილებს შეექმნებოდათ გადაუჭრელი პრობლემები. იძულებული გავხდი, დავთანხმებულიყავი მათ ულტიმატუმს.**

2012 წლის სექტემბრიდან, როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, მეც გამიჩნდა საფუძვლიანი იმედი, რომ ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებდი.

**პირადად შევხვდი სახალხო დამცველს — უჩა ნანუაშვილს. პასუხი არ მიმიღია.**

**წერილობით მივმართე საქართველოს პრეზიდენტს — გიორგი მარგველაშვილს.**

**წერილობით მივმართე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — დავით უსუფაშვილს.**

**წერილობით მივმართე საქართველოს პრემიერმინისტრს — ირაკლი ღარიბაშვილს.**

**ზემოთ აღნიშნული ყველა წერილი გადაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს და მთავარ პროკურატურას.**

იუსტიციის სამინისტროდან და პროკურატურიდან მივიღე პასუხი, რომ ისინი „მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეცვალონ სასამართლო გადაწყვეტილება და მიპასუხონ აღნიშნულზე".

წესით, არაფერი უნდა მაკვირვებდეს, მაგრამ მაინც დიდი იმედი მქონდა სამართლიანობის აღდგენის.

**სამართლიანობის აღდგენა არის სახელმწიფოს მოვალეობა, მაგრამ სახელმწიფო ამას არ აკეთებს და ამით მიბიძგებს, თვითონ დავიწყო სამართლიანობის აღდგენა, ეს კი დანაშაულის ჩადენის იძულებაა.**

რადგან მე, ლევან კენჭაძეს, საქართველოს მოქალაქეს, ჩემი სახელმწიფო არ მიცავს, ხოლო მე არ მსურს დანაშაულებრივი გზით სამართლიანობის აღდგენა, მოგმართავთ თხოვნით, იქნებ თქვენი რედაქციის ავტორიტეტმა იმოქმედოს ჩვენს ხელისუფლებაზე და მან დაიწყოს თავისი კონსტიტუციური მოვალეობების შესრულება.

**ლევან კენჭაძე,**

**თადარიგის გენერალ-მაიორი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისა და მედლების – „მხედრული მამაცობისთვის", „საბრძოლო დამსახურებებისთვის" –კავალერი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, „საქართველოს პატრიოტთა" ალიანსის წევრი**



## კიდევ ერთ მასწავლებელს ელის სასჯელი მოსწავლეებთან სექსისთვის

**30 წლის ფლორიდელი პედაგოგის — ჯენიფერ ფიტჩერის ისტორია მსოფლიოს მოედო. მას 17 წლის მოსწავლეებთან ინტიმური ურთიერთობის გამო 22 წელი მიუსაჯეს, ამჟამად კი მედიის ყურადღების ცენტრში 36 წლის იუტელი პედაგოგი ბრიანა ალტისი მოექცა.**

ბრიანა ალტისს სექსი ჰქონდა ერთ 16 წლისა და ორ 17 წლის არასრულწლოვნებთან. ამჟამად პედაგოგი დაკავებულია და მისთვის ბრალდების მხარე 30 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს. საქმის მასალებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ძიება ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო, თუმცა პედაგოგი არ დაუჭერიათ და კვლავაც განაგრძობდა მოსწავლეებთან სექსუალურ ურთიერთობას. როგორც მშობლები და სხვა მასწავლებლები ამბობენ, „ბრიანამ არეალი გააფართოვა და მის ალვირახსნილობას ბოლო არ უჩანდა", სწორედ ამიტომ დააკავეს.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონისთვის საბერძნეთი არის სუსტი რგოლი, დეტონატორი, რომლის საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში, მთელი ევროპის აფეთქება შეიძლება.**

# საბერძნეთის რეფერენდუმი, როგორც მოსალოდნელი ცვლილებების ნიშანი



**საბერძნეთის რეფერენდუმის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წინასწარმა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ საბერძნეთისთვის საერთაშორისო კრედიტორების მიერ წაყენებული პირობების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით თანაბარი იყო. და აი, 5 ივლისის ხმის მიცემის შედეგები: საბერძნეთის მოქალაქეთა 61%-მა კრედიტორების შეთავაზების წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო 38,69%-მა ამავე წინადადებას მხარი დაუჭირა. სხვაობა შთამბეჭდავია — 22,62 პროცენტული პუნქტი.**



**საბერძნეთის დღევანდელი ცალმხრივი გადაწყვეტილება ექსპრომტია, რომელიც საგულდაგულოდ არც ათენს დაუგეგმავს და არც ბრიუსელს. ამის გამო მოსალოდნელია სხვადასხვაგვარი სიურპრიზი — ევროპის ქვეყნებში ცალკეული ბანკების გაკოტრებიდან ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს დეფოლტამდე და თვით «ერთიან ევროპად» წოდებული კონსტრუქციის კრახამდე**

საბერძნეთის რეფერენდუმი არის ქვეყნის წინააღმდეგობის უპრეცენდენტო საშუალება საერთაშორისო კრედიტორების დიქტატურის წინააღმდეგ. ცხადია, ცალკეული ქვეყნები საბერძნეთამდეც გამოდიოდნენ ამგვარი დიქტატის წინააღმდეგ. მაგალითად, უკვე რამდენიმე წელია, არგენტინა ახორციელებს გაჭიანურებულ ომს „ფინანსურ სვავებთან“ — ამერიკულ ფონდებთან, რომლებიც ცდილობენ, რევიზიას დაუქვემდებარონ 2005-2010 წლების განმავლობაში სახელმწიფოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის შედეგები, მაგრამ ისეთი მეთოდისთვის, როგორიც საერთო სახალხო რეფერენდუმია, არგენტინას არ მიუმართავს.

სავარაუდოდ, ახლა რეფერენდუმს, როგორც საერთაშორისო კრედიტორების ძალადობისაგან ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის საშუალებას, სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ „შეიარაღებაში“. სხვათა შორის, არგენტინის პრეზიდენტი კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი მიესალმა საბერძნეთის რეფერენდუმის შედეგებს და განაცხადა: „იმედი გვაქვს, რომ ევროპა და მისი ლიდერები გაიგებენ საარჩევნო უბნებში მისული ადამიანების გზავნილს. არ შეიძლება, ვინმესგან ითხოვდე, ხელი მოაწეროს საკუთარი გარდაცვალების ცნობას“.

საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა იმ ორი ლოზუნგის შერწყმა, რომლებითაც საბერძნეთის ხელისუფლება ატარებდა რეფერენდუმს: „არა — კრედიტორების მოთხოვნებს“, „კი — ევროპას“ (ეს უკანასკნელი იკითხებოდა როგორც „ჩვენ ვრჩებით ერთიან ევროპაში).

ამგვარი შეთანხმება შეუძლებელია, ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა. **რეფერენდუმის შედეგები მიდის იქით, რომ საბერძეთი ერთიანი ევროპის საზღვრებს მიღმა დარჩეს, უკიდურეს შემთხვევაში, ევროზონის საზღვრებს მიღმა მაინც. ეს იმას ნიშნავს, რომ ევრო საბერძნეთისთვის უცხოურ ვალუტად იქცევა, საჭირო გახდება ნაციონალურ ვალუტასთან დაბრუნება (სხვათა შორის, დრახმა უძველეს ფულად ერთეულად ითვლება).**

რეფერენდუმის შედეგებზე პირველი კომენტარები ევროკავშირიდან იმას ადასტურებდა, რომ ბრიუსელში საბერძნეთისაგან ევროზე უარის თქმას ელიან.

„როგორ გადაიხდის (საბერძნეთის ხელისუფლება) ხელფასებს, პენსიებს? თუკი ისინი „არას“ იტყვიან, მაშინ რეფერენდუმის შემდეგ უნდა წარმოადგინონ სხვა ვალუტა, რადგან ევრო მათთვის უკვე აღარ იქნება ანგარიშსწორებების განსახორციელებელი საშუალება“, — ამბობდა ევროპარლამენტის პრეზიდენტი მარტინ შულცი.

რეფერენდუმის წინ საბერძნეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ მზად არ არის ევროს დრახმით დაუყოვნებლივი ჩანაცვლებისთვის. პირველ რიგში, ამისათვის საჭიროა საბერძნეთის ცენტრალური ბანკის მუშაობის გადასხვაფერება. ეს ბანკი, ფაქტობრივად, ევროპის ცენტრალური ბანკის რეგიონული კანტორის სახით ფუნქციონირებდა და დამოუკიდებელი ემისიური ცენტრის მრავალი თვისება დაკარგა.

ხსენებული გარდაუვალი გარდაქმნისთვის კონკრეტული გეგმები დღეისათვის არ არსებობს.

**გარდა ამისა, საჭირო გახდება დიდი რაოდენობით ქაღალდის ბანკნოტები, მაგრამ ქვეყანაში მათი დაბეჭდვა შეუძლებელია: ყველა დანადგარი, რომლებიც ოდესღაც დრახმას ბეჭდავდა, დიდი ხნის წინათ განადგურდა.**

ევროდან დრახმაზე გადასვლა გარდაუვლად განაპირობებს ახალი ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის ვარდნას პირველ პერიოდში მაინც. ათენს ჯერჯერობით არ გააჩნია ახალ ფულად ერთეულზე გადასვლასთან დაკავშირებული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების შერბილების რაიმე გეგმა.

საგარეო ვალთან დაკავშირებით საბერძნეთის ხელისუფლების პოზიციაში კიდევ ბევრი რამაა, რაც ადასტურებს, რომ სიტუაციის სერიოზულობა ბოლომდე არავის ესმის. მაგალითად, საბერძნეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რეფერენდუმი შემდგომი 48 საათის განმავლობაში გამართავდა მოლაპარაკებების ახალ რაუნდს „დიდ სამეულთან“ და ვალის პრობლემას „წერტილს დაუსვამდა“.

ექსპერტები თავს იმტვრევენ და ვერაფრით დაადგინეს, რა იგულისხმება ამ განცხადების მიღმა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, დათანხმდებიან თუ არა კრედიტორები იდეას, დაუყოვნებლივ მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას. დასაწყისისთვის უნდა გაიმართოს შეხვედრები და თათბირები ევროზონის წევრი ქვეყნების, ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლების მონაწილეობით. ყველაზე ოპტიმისტური გათვლითაც კი საბერძნეთს კრედიტორებთან არც თუ იოლი მოლაპარაკებების წარმოება, სულ მცირე, მიმდინარე წლის ბოლომდე, დიდი ალბათობით კი, უფრო დიდხანსაც მოუწევს.

რა თქმა უნდა, საბერძნეთის 5 ივლისის რეფერენდუმი გააააქტიურებს ურთიერთობების გარკვევის პროცესს ევროკავშირისა და კრედიტორების „დიდი სამეულის“ შიგნით. აქ გარჩევის საგანი იქნება ორი საკითხი:

**1. კრედიტორებიდან ვინ იქნება პირველი იმ ფული მიღების რიგში, რომლის გადახდასაც ათენი, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდება (ახლავე თუ არა, ოდესმე მაინც)?**

**2. როგორ უნდა გადანაწილდეს ევროკავშირისა და ევროზონის ქვეყნებს შორის ის ხარჯები, რომლებსაც საბერძნეთის დეფოლტი განაპირობებს?**

დანაკარგები კი გარდაუვალია. ერთ ქვეყანაში ვალების ჩამოწერა გარდაუვალად განაპირობებს დანაკარგებს მეორე ქვეყნისთვის. საკმარისია იმავე საბერძნეთის ვალის რესტრუქტურიზაციის 2012 წლის მაგალითის გახსენება. მაშინ ვალების არაერთი მფლობელი რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე საერთოდ არ მიუწვევიათ. მათ მხოლოდ აცნობეს ამის თაობაზე.

საბერძნეთისთვის ვალების ჩამოწერის სქემა დიდხანს და საგულდაგულოდ მზადდებოდა. იყვნენ დაზარალებულები. მაგალითად, კვიპროსში საბანკო კრიზისი განვითარდა. მისი კუპირება ძალზე სპეციფიური ხერხით განხორციელდა — დეპოზიტების ნაწილის კონფისკაცია.

**საბერძნეთის დღევანდელი ცალმხრივი გადაწყვეტილება ექსპრომტია, რომელიც საგულდაგულოდ არც ათენს დაუგეგმავს და არც ბრიუსელს. ამის გამო მოსალოდნელია სხვადასხვაგვარი სიურპრიზი — ევროპის ქვეყნებში ცალკეული ბანკების გაკოტრებიდან ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს დეფოლტამდე და თვით „ერთიან ევროპად“ წოდებული კონსტრუქციის კრახამდე.**

ბრიუსელი ტაქტიკურად დამარცხდა ბერძნებთან. ახლა საბერძნეთის ვალის ნებისმიერი დესტრუქტურიზაცია აღიქმება, როგორც დათმობა, როგორც ბრიუსელის ბიუროკრატიის სისუსტე, ბიუროკრატიისა, რომელმაც ბერძენი ხალხის ნების წინაშე უკან დაიხია.

საბერძნეთში მიმდინარე მოვლენებს გულდასმით ადევნებენ თვალს სამხრეთ ევროპის სხვა ქვეყნები. სუვერენული ვალის თვალსაზრისით ისინი ხომ საბერძნეთზე ბევრად უკეთ ვერ გამოიყურებიან (ვალი შეფასებულია საერთო შიგა პროდუქტის 175%-ად). მსოფლიო სავალე სიტუაციასთან დაკავშირებული ფირმა „McKinsey“-ის ანგარიშის თანახმად, 2014 წლის შუა პერიოდში საერთო შიგა პროდუქტის მიმართ სახელმწიფო ვალის პროცენტულმა მაჩვენებელმა პორტუგალიაში 148 შეადგინა, იტალიაში — 139, ესპანეთში კი — 132.

თუ აბსოლუტურ გამოხატულებაში საბერძნეთის სახელმწიფო ვალი დღეს 325 მილიარდ ევროს შეადგენს, ესპანეთის ვალმა გადაამეტა ტრილიონიან ნიშნულს, იტალიისამ კი — ორი ტრილიონიც უკან ჩამოიტოვა. და თუკი საბერძნეთის დეფოლტის შემთხვევაში ერთიან ევროპასა და ევროს გადარჩენის რაღაც შანსი მაინც აქვთ, ზემოხსენებული სამი ქვეყნიდან ნებისმიერი ერთის დეფოლტის შემთხვევაში ევროპული კარტის სასახლე ჩამოიშლება. ბრიუსელს პანიკურად ეშინია, რომ საბერძნეთის მაგალითმა სხვა ქვეყნებიც არ მოწამლოს.

თუმცა საბერძნეთის მოვლენებს მხოლოდ სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან კი არა, ბრიუსელიდან და ფრანკფურტიდანაც (ევროპის ცენტრალური ბანკის შტაბ-ბინა) ადევნებენ თვალს; თვალს ადევნებენ ვაშინგტონიდანაც, პირველ რიგში, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რომელიც საბერძნეთის კრედიტორების „დიდ სამეულში“ შედის; მეორეც — ფედერალური სარეზერვო სისტემიდან და თეთრი სახლიდან. მათ რაღა ესაქმებათ საბერძნეთის მოვლენებთან? ესაქმებათ და ძალიან უშუალოდაც. **ვაშინგტონისთვის საბერძნეთი არის სუსტი რგოლი, დეტონატორი, რომლის საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში, მთელი ევროპის აფეთქება შეიძლება.**

ამ აფეთქებისთვის ძია სემს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვს. მან დიდი ხნის წინათ (80 წელზე მეტია) მოამზადა ევროპაში შენელებული მოქმედების ნაღმი მესამე რეიხის გერმანიისა და მისი ბელადის, ანგლოსაქსების დანიშნული ჰიტლერის სახით. დღეს ამგვარი შენელებული მოქმედების ნაღმის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს საბერძნეთმა ან უკრაინამ.

**რატომ უნდა ააფეთქოს? — რამდენიმე მიზეზის გამო. მთავარი მიზეზი კი არის ფედერალური სარეზერვო სისტემის დოლარის საბეჭდი მანქანისთვის მონოპოლიის შენარჩუნება.**

**იმისათვის, რომ სუსტ დოლარს ზურგი გაუმაგროს, ვაშინგტონს ესაჭიროება მსოფლიოში ქაოსის გაძლიერება, მათ შორის ევროპაშიც.** სხვათა შორის, ბევრს, ალბათ, ახსოვს, რომ საბერძნეთის შენელებული მოქმედების ნაღმად ქცევის საქმეში თავის დროზე მთავარი როლი შეასრულეს ფედერალური სარეზერვო სისტემის ერთ-ერთი აქციონერი ბანკის — გოლდმან საქსის აწ გადამდგარმა მუშაკებმა — მათ განახორციელეს საბერძნეთის ეგრეთ წოდებული დაბალანსებული კრედიტირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ხელი შეუწყეს საბერძნეთის ხაფანგში შეთრევას, ხაფანგში, რომლიდან თავის დაღწევასაც ბერძნები დღესაც თავგანწირვით ცდილობენ.

ბრიუსელის ბიუროკრატია ოდნავ მაინც რომ გამოხატავდეს ევროპელი ერების ინტერესებს, მას მაქსიმალურად უნდა ეცადა, როგორმე გაეუვნებელყო საერთო ევროპული სახლის საძირკველში ჩატანებული ნაღმი.

**ასეა თუ ისე, საბერძნეთში 5 ივლისს ჩატარებული რეფერენდუმი, შესაძლოა, სწორედ ევროპული და მსოფლიო ისტორიის შებრუნების საწყისად იქცეს.**

fondsk.ru

ფარული დესტაბილიზაცია ხორციელდება მექსიკაში, კოლუმბიასა და პერუში, რომლებიც აშშ-ს ექვემდებარებიან. ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჰონდურასი და კოლუმბია (ორივეში განლაგებულია ამერიკული სამხედრო ბაზები), აშშ-ის პლატფორმას წარმოადგენენ ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ — ყველაზე დიდი საფრთხე ლათინური ამერიკისთვის

**აშშ-ის მომაკვდავი იმპერია ყველაფერს აკეთებს, რათა საკუთარი აღსასრული გადაავადოს და საამისოდ დიქტატის გამოყენებას განაგრძობს. მის მიერვე პროვოცირებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-მა საკუთარ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ, ერაყისა და ავღანეთისგან განსხვავებით, ლათინურ ამერიკაში ვაშინგტონმა ვერ მოახერხა „ტერორიზმის“ გამოყენება სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისთვის და ენერგორესურსების მოპოვებისა თუ ნარკოტიკების წარმოების საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებისთვის; მაგრამ მას ძალიან კარგად გამოსდის ამ ქვეყნებში „ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა“, რაც ამ ბიზნესის გაკონტროლების საშუალებას იძლევა; ასევე, იარაღითა და სამხედრო მრჩევლებით ამარაგებს კოლუმბიასა და მექსიკას, რითაც საფუძველს უყრის შემდგომ დესტაბილიზაციას. ორივე ქვეყანაში, განსაკუთრებით — მექსიკაში, აშშ მაქსიმალურ მოგებას ნახულობს ეგრეთ წოდებული ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისგან.**




ამერიკული კომპანიების გეგმები ბადებს კრიზისებსა და დესტაბილიზაციას ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებში, რომელთა ხელისუფლებები არალოიალურნი არიან აშშ-ის მიმართ. ეს ყველაფერი ნათელია ვენესუელის, ეკვადორის, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე. ქვეყნებს შეუძლიათ და უნდა ცდილობდნენ კიდეც, თავად ეძებონ ჩამორჩენილობის დაძლევის გზები და საშუალებები, შეიმუშავონ და ცხოვრებაში განახორციელონ საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა, თავადვე მოუღონ ბოლო კაპიტალიზმის მრავალსაუკუნოვან მემკვიდრეობას, ექსპლოატაციასა და ჩაგვრას.

**მიმართავს რა იმავე დესტაბილიზაციის ტაქტიკას ეგრეთ წოდებული „მეგობრული“ ხელისუფლებების მიმართაც კი (ოღონდ უფრო ფარულად და არა ინტენსიურად), აშშ მათაც ურყევს საძირკველს და ტრამპლინად იყენებს მათ მიმართ, ვინც შედარებითი „ავტონომიის ან საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობს.**

**ფარული დესტაბილიზაცია ხორციელდება მექსიკაში, კოლუმბიასა და პერუში, რომლებიც აშშ-ს ექვემდებარებიან. ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჰონდურასი და კოლუმბია (ორივეში განლაგებულია ამერიკული სამხედრო ბაზები), აშშ-ის პლატფორმას წარმოადგენენ ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.**

კუბასთან სხვა ტაქტიკა გამოიყენება და ის განსხვავდება ბოლო 50 წლის მანძილზე გამოყენებული ტაქტიკისგან. ბარაკ ობამამ, პრეზიდენტმა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ნაკლები ნდობით სარგებლობს, სწორედ იმის გამო, რომ ერთმნიშვნელოვნად ანგლო-ამერიკულ ინტერესებს ემსახურება, კვლავაც ამოიღო არსენალიდან მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკა. „აღიარა“ რა ჰავანის წინააღმდეგ ეკონომიკური, სავაჭრო და ფინანსური ბლოკადის არაეფექტიანობა, მაგრამ ვერ შენიშნა ამაში საკუთარი მარცხი და იმავე მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებების გამოყენება დაიწყო — ძმები კასტროების რეჟიმის შიგნიდან შერყევა და ლათინოამერიკელების თვალში კუბის, როგორც ვაშინგტონის თავგანწირული მოწინააღმდეგის, რეპუტაციის გაცამტვერება. რაც უნდა იყოს, ხალხთა ნება დაუძლეველია და ამის საუკეთესო მაგალითი ვიეტნამია. იმავე გზით მიდის კუბაც.

ამ დამანგრეველ საქმიანობას ახორციელებს ან კოორდინაციას უწევენ ვაშინგტონის სპეცსამსახურები, ასევე ადგილებზე მომუშავე სხვადასხვა შტაბი — აშშ-ის საელჩოებიდან დაწყებული, საერთაშორისო განვითარებისთვის ხელისშემწყობი ორგანიზაციებით დამთავრებული (მხოლოდ USAID-ის ხსენებაც კი საკმარისია). მათ შორის არიან ისეთები, როგორიცაა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ან ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო (DEA). **თუ აშშ-ში აქამდე ჯერ კიდევ არ მომხდარა სახელმწიფო გადატრიალება, მხოლოდ იმის გამო, რომ იქ არ მუშაობს აშშ-ის საელჩო.** ამ ფრაზას ხშირად იმეორებს ევო მორალესი და ეს მართლაც ასეა, თუ გავიხსენებთ 60-70-იან წლებში ლათინურ ამერიკაში მომხდარი სამხედრო გადატრიალებების მთელ ჯაჭვს.

**აშშ-ის ადმინისტრაცია მოქმედებს ისე, თითქოს ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია და დღითიდღე მიმართავს ძალადობას. მის მსხვერპლთ ისღა დარჩენიათ, გამოააშკარაონ მისი ქმედებები, გამოიჩინონ სოლიდარობა და მტკიცე ურთიერთკავშირი, ასევე, რეაგირება მოახდინონ როგორც ინდივიდუალურად, ისევე კოლექტიურად**

ის, რომ ქვეყანაში მუშაობს ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომელსაც შტაბ-ბინა აშშ-ში აქვს, ვაშინგტონის იმპერიულ მისწრაფებებზე მიანიშნებს. საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, ამგვარი განცხადება კაპიტალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ხრიკია ქვეყნებზე კონტროლის დასამყარებლად იმ კომპანიების დახმარებით, რომლებიც „განვითარების“ მიზნით „სამუშაო ადგილებს ქმნიან და ინვესტიციებს ახორციელებენ“ ამა თუ იმ ქვეყანაში. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეს ნეოლიბერალური დებულებები საშუალო ფენის განადგურებას განაპირობებს და მთელ რიგ უარყოფით შედეგებს იწვევს. **ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები წარმოადგენს იმ ხელისუფლებების კონტროლის ინსტრუმენტს, რომლებიც საზღვარგარეთ ახორციელებენ ანგარებიან მიზნებს. როგორც ვაჭრობის სფეროში შეთანხმებები, ასევე ნეოლიბერალური პოლიტიკაც წარმოადგენენ ინსტრუმენტებს ავბედითი გლობალიზაციისთვის, რომელმაც, როგორც ირწმუნებიან, ხალხებს სიღატაკე უნდა დააძლევინოს.**



ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს არანაირი სარგებელი არ მოაქვს ლათინოამერიკული ხელისუფლებებისთვის; პირიქით, ანგრევს მათ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სისტემას. დესტაბილიზაცია, რომელიც ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარების შედეგია, ანგრევს ნაციონალური სახელმწიფოების წყობას, არადა, მათ შექმნას ათწლეულები დასჭირდა. იგივე პოლიტიკა საფუძველს უყრის სხვა, მათ შორის ძალადობრივი, მეთოდების გამოყენებასაც (უპირველეს ყოვლისა, ორგანიზებული დანაშაულის მთელი განშტოების კონტროლი ხშირად ადგილობრივი კორუმპირებული ხელისუფლების მიერ იფარება). ის ანადგურებს სახელმწიფო სტრუქტურების, ხელისუფლებების მუშაობას და საზოგადოებრივი კონტროლის იმ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულნი არიან საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნებისკენ და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისკენ. დესტაბილიზაცია უკიდურესად უარყოფითად აისახება სახელმწიფოს პოლიტიკურ ორგანიზაციებზე და განსაკუთრებით მათ ისეთ შემადგენლებზე, როგორიცაა არჩევნები, წარმომადგენლობითობა, კანონიერება და გრძელვადიანი სახელმწიფო ინტერესები.

ამ ყველაფრის მიუხედავადაც კი არ იშურებს ვაშინგტონი ძალისხმევას იმ ხელისუფლებების დასამხობად, რომლებიც არ შეესაბამებიან მის ინტერესებს. ვენესუელა სამხრეთ ამერიკის გულია. იგივე შეიძლება ითქვას ეკვადორზეც. ჰონდურასში უხეში ზეწოლის შედეგად გააგდეს თანამდებობებიდან მთელი რიგი მაღალი რანგის თანამდებობის პირები, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად თანამდებობა იძულებით დატოვა ქვეყნის პრეზიდენტმა მანუელ სელაიამ.

ერთადერთი გამოსავალი წინააღმდეგობაა. აუცილებელია მუდმივად მჟღავნდებოდეს ვაშინგტონის ქმედებები, რადგან ის მუდმივად ახორციელებს თავის დამანგრეველ პოლიტიკას, წუთითაც კი არ ჩერდება. მექსიკასა და სრულიად ლათინურ ამერიკაშიც ყველა, მმართველი წრეებიდან დაწყებული საზოგადოების ყველა ფენით დასრულებული, მათ შორის მეცნიერი თანამშრომლებიც და ჟურნალისტებიც, ანალიზს აკეთებენ, განიხილავენ და რეაგირებას გეგმავენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რაიმე მოვლენა უკვე მოხდება.

**აშშ-ის ადმინისტრაცია მოქმედებს ისე, თითქოს ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია და დღითიდღე მიმართავს ძალადობას. მის მსხვერპლთ ისღა დარჩენიათ, გამოააშკარავონ მისი ქმედებები, გამოიჩინონ სოლიდარობა და მტკიცე ურთიერთკავშირი, ასევე, რეაგირება მოახდინონ როგორც ინდივიდუალურად, ისევე კოლექტიურად.** ეს არა მხოლოდ ლათინოამერიკული, არამედ მსოფლიო საკითხია, რადგან პლანეტის სხვა კუთხეებშიც ვაშინგტონი ზუსტად იმავეს აკეთებს.

**Rebelion**

მოკლედ



## აშშ-ის სპეცსამსახურები გერმანელ მაღალჩინოსნებს წლების განმავლობაში უსმენდნენ

**აშშ-ის სპეცსამსახურები ანგელა მერკელსა და სხვა გერმანელ მაღალჩინოსნებს წლების განმავლობაში უსმენდნენ.** გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ამერიკული სამსახურები ანგელა მერკელის მრჩევლებისა და ყოფილი ლიდერების — გერჰარდ შროდერისა და ჰელმუტ კოლის სატელეფონო საუბრებსაც ისმენდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობაში კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ. „ვიკილიქსის“ მიერ დაახლოებით ორი კვირის წინათ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სამსახური 2006-2012 წლებში ფრანსუა ოლანდისა და მისი ორი წინამორბედის — ნიკოლა სარკოზისა და ჟაკ შირაკის სატელეფონო საუბრებსაც ისმენდა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ს ნორმალური არსებობა მხოლოდ „ომის“ პირობებში შეუძლია. ამერიკა თავს ესხმის, იჭრება, ხარჯავს რესურსებსა და მილიარდებს გადასახადების გადამხდელთა ჯიბეებიდან, მაგრამ ვერასდროს აღწევს საბოლოო მიზანს.**

# ომის ამერიკული სინდრომი

**იპოვე მიზანი და მიაღწიე! — ერთი შეხედვით სავსებით გონივრული პრინციპია, მაგრამ ამერიკელი ერი, უფრო ზუსტად კი მისი ხელმძღვანელობა, ამ პოსტულატს თავისებურ ინტერპრეტირებას უკეთებს. ამერიკას, რომელმაც საკუთარი განსაკუთრებულობის იწამა, უკვე აღარ ძალუძს, ყველასთან ომი შეწყვიტოს. აგრესია შტატებისთვის ნარკოტიკად იქცა და ამ დამოკიდებულებისგან მისი განთავისუფლება მხოლოდ იძულების წესით თუ მოხერხდება.**



შეჯიბრების სულისკვეთება, რომლითაც ასე ამაყობენ ამერიკელები, შესაძლოა, მათთვის მართლაც უფრო მეტადაა დამახასიათებელი, ვიდრე აზიელების ან ევროპელებისთვის, მაგრამ ამგვარი სულისკვეთება საკუთარი აგრესიის გამართლების მცდელობიდან უფრო მოდის. დღეს ეს სულისკვეთება გადაზრდილია დაუძლეველ სურვილში, იომონ; **ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ომი იქცა აკვიატებულ იდეად, საბაზო დებულებად აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემების მოსაგვარებლად, ნარკოტიკული დამოკიდებულების ან ფსიქიური დაავადების მსგავს მოვლენად, მოხუცი ფროიდის ნაშრომებისკენ პირდაპირ გზავნილად.**

შესაძლოა, ვინმე არ დაეთანხმოს ამ მოსაზრებას და თქვას, რომ საერთოდ არ არსებობს ცნება „ამერიკელი ერი“ და ამ ფორმაციის რაიმე სახის განსაკუთრებულობაზეც არ ღირს საუბარი. ერები ყალიბდებიან ათასწლეულების განმავლობაში, **აშშ-ის მოსახლეობა კი, გარდა ძირძველი, მკვიდრი ხალხებისა, არის ახალ მიწაზე მსოფლიოდან ჩასული ავანტიურისტების, ქურდების, მკვლელების შთამომავლობა. ყველა, ვინც კი საკუთარ ქვეყანაში კანონი დარღვია, ამერიკაში გაიქცა.** იქ ხოცავდნენ ინდიელებს, ართმევდნენ მათ მიწებს, ბუნებრივ რესურსებს... ისინი დღემდეც არ ცხოვრობენ საკუთარი სახსრებით — სრულიად მსოფლიოს ვალი აქვთ და არც კი ფიქრობენ ამ ვალების გადახდას.

**ახლა უბოდიშოდ ერევიან სხვის საქმეში, აფურთხებენ სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართალს, ამხობენ ხელისუფლებებს, ნიშნავენ თავიანთ დამჯერებს, იმორჩილებენ და ძარცვავენ არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანას, არამედ პერიოდულად მსოფლიოზეც აცხადებენ პრეტენზიას.**

ამერიკელთა ქმედებების გამართლების მცდელობა იმით, რომ, ისტორიული თვალსაზრისით, „ამერიკელი ერი“ ძალზე ახალგაზრდაა და ამიტომაც იქცევა მოსულელო მოზარდივით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

**ახლა ამერიკა ომობს ყველასთან და ყველაფრისთვის, ომობს სიღატაკესა და ნარკოვაჭრობასთან, ომობს დემოკრატიისა და ამერიკული ფასეულობებისთვის, ტერორიზმისა და „რუსული საფრთხის“ წინააღმდეგ, ტოლერანტობისა და გეების უფლებებისათვის; ცხადია, ომობს გლობალური დომინირებისთვისაც.** მაგრამ სწორედ ამაში იმალება ამერიკელთა მთავარი შეცდომა — მათ ყველაფრის მიმართ საომარი დამოკიდებულება აქვთ. საომარი აზროვნება იმარჯვებს გონიერებაზე. რომელ მოლაპარაკებებზე, კომპრომისების გამონახვაზე, დებატებსა და საერთოდ რაიმე სახის დიალოგზე შეიძლება საუბარი?! ამერიკელები ავადობენ ომით. მათ ჰაერივით, ნარკოტიკის მორიგ დოზასავით სჭირდებათ სამხედრო გავლენა ყველგან.

ამერიკა ათწლეულების მანძილზე იხრჩობა ავღანეთის ომის ჭაობში. **ჯერ მოჯაჰედებს ამარაგებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგსაბრძოლველად, 11 სექტემბრის შემდეგ კი ტერორიზმის წინ აღდგომას ცდილობენ, საკუთარი ხელით გამოკვებილი ტერორიზმისა,** რომელსაც სათავეში „ალ ქაიდა“ ედგა. დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა „ისლამურ სახელმწიფოს“ მიმართ, ორგანიზაციისა, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მფარველობით ასადისა და მთლიანად სირიის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა.

ვერა და ვერ ჩაწყნარდა ჯერ კიდევ 1990-ში დაწყებული ერაყული „ქარიშხალი უდაბნოში“, რომელსაც პერიოდულად სახელს კიდევ უფრო გმირული შინაარსის ფრაზებით უცვლიან. დაახლოებით იმავე სცენარით ამერიკა იბრძვის ნარკომაფიის წინააღმდეგ, თუმცა დიდი ხანია, რაც სპეცსამსახურები თვითონ აკონტროლებენ ნარკოტრაფიკის დიდ ნაწილს. განუზომელი დანახარჯები ყველა შემთხვევაში, ფაქტობრივად, უშედეგოა.

ამერიკელები საომარი მოქმედებებით ასობით მილიონს შოულობენ, მაგრამ უმჯობესია, გავერკვეთ აშშ-ის „საომარი დამოკიდებულობის“ ფსიქოლოგიურ ასპექტებში. ძალადობა პირველადი პოლიტიკური ინსტრუმენტის რანგში მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებად იქცა. მას კი, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ღიად სდებენ ბრალს „ნაიონალური ინტერესების“ ღალატში.

**აშშ-ს ნორმალური არსებობა მხოლოდ „ომის“ პირობებში შეუძლია. ამერიკა თავს ესხმის, იჭრება, ხარჯავს რესურსებსა და მილიარდებს გადასახადების გადამხდელთა ჯიბეებიდან, მაგრამ ვერასდროს აღწევს საბოლოო მიზანს.** მას საერთოდ არ გააჩნია დანიშნულების ადგილი და საბოლოო მიზანი. მაგალითად, როგორ უნდა განისაზღვროს ნარკოტიკებზე გამარჯვება ან მსოფლიო ტერორიზმის დამარცხება, ან სექსუალური უმცირესობების უფლებების რეალიზება? სწორედ ესაა „ამერიკული ომის ფსიქოლოგიის“ განსაკუთრებულობა.

**ომი სოციალური კონტროლის კიდევ ერთ საშუალებად იქცა. თუ იარაღი გაქვთ, უფლებაც გაქვთ, გამოიყენოთ ძალა და თქვენს ხმასაც გაიგონებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც გაქვთ და არც შეიძლება გქონდეთ ხმის უფლება.**

თუ სამედიცინო ანალოგიებს გამოვიყენებთ, ამერიკას დაუყოვნებლივ ესაჭიროება 12-ნაბიჯიანი პროგრამა, რომლითაც ჩვეულებრივ მკურნალობენ ხოლმე ნარკომანებსა და სხვა დამოკიდებულებათა მსხვერპლთ. და პირველი ნაბიჯი ან ამოსავალი წერტილი ვაშინგტონისათვის უნდა იყოს იმ პრობლემის აღიარება, რომლის მოგვარება მარტოს არ შეუძლია. თეთრმა სახლმა უნდა თქვას: „გამარჯობა, მე ომზე დამოკიდებული ვარ, მე მიყვარს ომი და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, არ შემიძლია შეჩერება თქვენი დახმარების გარეშე“...

cont.ws

# ბელგია: 10 ათასზე მეტმა ადამიანმა თვითმკვლელობისთვის ექიმი დაიქირავა

**ცოტა ხნის წინათ ჯანმრთელმა 24 წლის ბელგიელმა ქალმა ადგილობრივი მასმედია შეძრა, როდესაც განაცხადა, რომ ევთანაზიით აპირებდა სიცოცხლის დასრულებას არა რაღაც ქრონიკული ტკივილების ან სასიკვდილო სნეულების, არამედ თვითმკვლელობაზე გამუდმებული ფიქრების გამო. ლაურა ერთ-ერთია იმ 50 ადამიანთაგან, რომელთაც ბელგიაში ყოველწლიურად ევთანაზიით სიცოცხლის დასრულების ნებას აძლევენ ფსიქიკური დაავადების გამო.**



**ბელგიაში 10 600 ადამიანმა სიცოცხლესთან ანგარიში ექიმების დახმარებით გაასწორა — მათი დაახლოებით ნახევარი 70-90 წლისა იყო**

ბელგია ისტორიაში შევიდა, როდესაც 2002 წელს დააკანონა თვითმკვლელობა ადამიანებისთვის, რომლებიც ფიზიკური ან ფსიქიკური გაუსაძლისი ტკივილებით იტანჯებიან. კანონის მომხრენი აცხადებენ, რომ ის გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ტანჯვას უმსუბუქებს, რადგან აძლევს საშუალებას, ბოლო მოუღონ ამ ყველაფერს. კანონის მოწინააღმდეგენი კი ირწმუნებიან, რომ ბელგიელი ექიმები ხშირად „უნიშნავენ“ პაციენტს ასისტირებულ თვითმკვლელობას, როდესაც სხვა ყველა საშუალება ჯერ არაა გამოყენებული.

კანონის ძალაში შესვლიდან დღემდე ბელგიაში 10 600 ადამიანმა სიცოცხლესთან ანგარიში ექიმების დახმარებით გაასწორა — მათი დაახლოებით ნახევარი 70-90 წლისა იყო, მაგრამ იმ 1 924 ადამიანთაგან, რომლებსაც ევთანაზია 2014 წელს ჩაუტარდათ, დაახლოებით 2-3 პროცენტი ფსიქიკური ავადმყოფები იყვნენ და მრავალი მათგანი ზემოხსენებულ ასაკობრივ კატეგორიაზე გაცილებით ახალგაზრდა.

ადგილობრივ გამოცემა Humo-ს ევთანაზიის საკითხთა ფედერალური კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ვიმ დისტელმანსმა აუხსნა, რომ ეს ადამიანები, „როგორც წესი, ჯერ კიდევ არ არიან მოხუცები, მაგრამ, უკვე დიდი ხანია, იტანჯებიან“.

ლაურამ ბელგიურ მედიასაშუალებებს უამბო, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაუმეგობრდა გოგონას, რომელმაც 18 თვის წინათ უკვე დაასრულა სიცოცხლე ევთანაზიით. ინტერვიუს პერიოდში თავად ლაურა საკუთარი დაკრძალვის ცერემონიის ორგანიზებით იყო დაკავებული. „ჩემთვის სიკვდილი არჩევანი არ არის. არჩევანი რომ მქონოდა, ასატან ცხოვრებას ავირჩევდი, მაგრამ მე გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შემეძლო და ყველაფერი ამაო აღმოჩნდა“, — ამბობდა იგი.

იმ ბელგიელების რაოდენობა, რომლებიც ექიმების დახმარებით თვითმკვლელობას ირჩევენ, ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. ამ კატეგორიის პაციენტების დაახლოებით 15% 60 წლისაც არაა. 2014 წელს ხელისუფლებამ კანონის მოქმედება გააფართოვა და გაავრცელა ნებისმიერი ასაკის ბავშვებზე, რომლებიც განუკურნებელი სენით ავადობენ. ამ დრომდე არ არის ცნობილი ბავშვების მიმართ ევთანაზიის გამოყენების შემთხვევა.

2014 წელს ქრისტიანულმა ჯგუფმა „თავისუფლების დაცვის ალიანსმა“ იმ ქალის საქმე, რომელიც ევთანაზიის გამოყენებით ბრიუსელში 2012 წელს მოკლეს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნა. გარდაცვლილის შვილი ირწმუნება, რომ ამ გადაწყვეტილებისკენ დედას ექიმმა უბიძგა. თუკი სასამართლო საქმეს წარმოებაში მიიღებს და მას გარდაცვლილის შვილის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ბელგიას კანონის შეცვლა ან გაუქმება მოუწევს.

vocativ.com

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირში ყველა ჩვეულებრივი ძროხა დღეში სახელმწიფო სუბსიდიის სახით 2,2 დოლარს იღებს. ამრიგად, ევროპაში ძროხა უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებს, ვიდრე მსოფლიოს 1,2 მილიარდი ულატაკესი ადამიანი.**

# სევდიანი სტატისტიკა მსოფლიოზე, რომელშიც ვცხოვრობთ

**ამჟამად მსოფლიოში 210 მილიონი ობოლი ცხოვრობს. მათი 15%, ანუ დაახლოებით 31,5 მილიონი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს, ვიდრე 18 წელი შეუსრულდება...**



* ყოველდღიურად მსოფლიოში სიღატაკის გამო 22 ათასი ბავშვი იღუპება.

* ევროკავშირში ყველა ჩვეულებრივი ძროხა დღეში სახელმწიფო სუბსიდიის სახით 2,2 დოლარს იღებს. ამრიგად, ევროპაში ძროხა უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებს, ვიდრე მსოფლიოს 1,2 მილიარდი ულატაკესი ადამიანი.

* ჩვენი ტვინი კვდომას იწყებს, როდესაც 27 წელი გვისრულდება.

* ფული, რომელსაც ამერიკელი სამხედროები ყოველწლიურად ხარჯავენ ერაყსა და ავღანეთში ჰაერის კონდიცირებისთვის, 20,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს უფრო მეტია, ვიდრე ნასას მთელი ბიუჯეტი.

* როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებშიც მთელი საკვები პროდუქტის 30-50 პროცენტი ლპება.

* მსოფლიო მოსახლეობის 80% დღე-ღამეში 10 დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს.

* მსოფლიოში ყოველწლიურად ორი მილიონი ბავშვი იღუპება ისეთი დაავადებებით, რომლებიც იკურნება (მაგალითად, დიარეა ან პნევმონია), მაგრამ სიღატაკის გამო თავს მკურნალობის უფლებას ვერ აძლევენ.

* მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედი ელექტროენერგიის გარეშე ცხოვრობს.

* პლანეტაზე 1,2 მილიარდი ადამიანი სათანადო წყალმომარაგების გარეშე ცხოვრობს.

* 1,6 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს იქ, სადაც წყალი ხელმისაწვდომია, მაგრამ მათ საამისო სახსრები არ გააჩნიათ.

* სატვირთო გემები და საკრუიზო ლაინერები ყოველწლიურად ოკეანეში 6,35 მილიარდ კილოგრამ ნაგავს ყრიან.

* უსახლკაროთა 34% 24 წლამდე ახალგაზრდები არიან.

* 5-დან 15-წლამდე ასაკის 250 მილიონი ბავშვი იძულებითი შრომის პირობებში მუშაობს.

* მსოფლიოში დაახლოებით 300 000 ჯარისკაცი ბავშვია.

* მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, 2006 წელს სიკვდილით დაისაჯა 1591 ადამიანი, მათ 91%-ს უკიდურესი სასჯელი აშშ-ში, ჩინეთში, სუდანში, ირანში, პაკისტანსა და ერაყში მიუსაჯეს.

* ყოველწლიურად 315 000 ქალი მშობიარობისას იღუპება, ისინი საკვების უკმარისობის გამო ძირითადი სასიცოცხლო ნივთიერებების ნაკლებობას განიცდიან.

* ყოველდღე მსოფლიოში 805 ადამიანი შიმშილობს. მათი 98% ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს და მათი უმრავლესობა ბავშვებია.

დასასრულ, ვინაიდან ეს ძალზე მძიმე სტატისტიკაა, უპრიანი იქნება, აქვე აღინიშნოს, რომ ამ წუთშიც მსოფლიოში 350 მილიონი ადამიანი ებრძვის დეპრესიას.

mixednews.ru



# საბერძნეთის პარლამენტმა ციპრასის გეგმა დაამტკიცა

**საბერძნეთის პარლამენტმა ქვეყნის პრემიერის გეგმა, რომელიც შემდეგ ევროზონის ფინანსთა მინისტრებს უნდა წარუდგინოს, დაამტკიცა.** ახალი გეგმის მიზანია, საბერძნეთმა 50 მილიარდ ევროზე მეტი დახმარება მიიღოს ევროპისგან და კრიზისიდან გამოვიდეს. ის არაერთი მძიმე რეფორმის გატარებასაც გულისხმობს, რომელთა მიზანი ბიუჯეტისთვის 12 მილიარდი ევროს დაზოგვაა. კენჭისყრის შემდეგ ალექსის ციპრასმა განაცხადა, რომ მან მიიღო ძლიერი მანდატი, რათა კრედიტორებთან გააგრძელოს მოლაპარაკება. მიუხედავად ამისა, ბევრი დეპუტატი, მათ შორის ციპრასის პარტიიდანაც, ამ გეგმის წინააღმდეგი იყო, რადგან, მათი თქმით, სწორედ ასეთ გეგმებზე თქვეს ბერძნებმა უარი რეფერენდუმზე. ახალი გეგმა ევროზონის ფინანსთა მინისტრებმა უნდა განიხილონ. წყაროები ევროკომისიიდან, ევროპის ცენტრალურ ბანკიდან და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიიჩნევენ, რომ გეგმა პოზიტიურია. მსგავსი შეფასება გააკეთა საფრანგეთმაც, ჯერჯერობით უცნობია გერმანიის პოზიცია.

# როგორ დირიჟორობს აშშ ევროკავშირს

**ბოლოს და ბოლოს მოხერხდა საფრანგეთთან შეთანხმება იმ ვერტმფრენმზიდებთან დაკავშირებული კომპენსაციის თაობაზე, რომლებიც სენ-ნაზარის გემსაშენში აიგო. როგორც მედია იტყობინება, ივნისის თვეში მოხერხდა იმ შეთანხმების მიღწევა, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთის მხრიდან რუსეთისთვის კომპენსაციის გადახდას „მისტრალების“ მიუწოდებლობის გამო. შეთანხმება ახლა ორივე ქვეყის ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს.**




**ევროპის სამოქალაქო საზოგადოება ძველებურად იბღინძება და დამოუკიდებლობის დემონსტრირებას ცდილობს, მაგრამ ყველაზე მგრძნობიარენი უკვე მიხვდნენ, თუ საით უბერავს ქარი: ევროკავშირში თითქმის აღარ დარჩა პატრიოტული ელიტა, მისი ყველა წარმომადგენელი სხვადასხვა მიზეზის გამო ოკეანის გაღმელ პარტნიორებს ემორჩილება**

ამერიკელებს საკადრისი უნდა მივაგოთ: საკუთარ ორკესტრს ძალზე მოხერხებულად დირიჟორობენ. ყველაფერი გამოდგება: საფრანგეთისათვის „მისტრალების“ გაყიდვის აკრძალვა, სანქციები, 50-მილიარდიანი სარჩელი რუსული ნავთობკომპანია „იუკოსის“ წინააღმდეგ და რუსული ქონების დაყადაღება, მალაიზიური ბოინგის ჩამოგდების ბრალდება, სომხური ელექტრომაიდანი, ფიფას კორუფციული სკანდალი და ფინეთის მიერ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მიმავალი რუსული დელეგაციისთვის ვიზების გაცემაზე უარის თქმაც კი. და კიდევ ბევრი სხვა რამ, რის შესახებაც ნელ-ნელა გახდება ცნობილი. საუბარი აღარ არის მასმედიაში გაჩაღებულ პერმანენტულ პრესინგზე.

**ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ისე ჩანდა, თითქოს ამერიკელები, მართავდნენ რა თავიანთ ევროვასლებს, არჩევდნენ დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულ გამოთქმებს, მაგალითად, „არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად“ ან „საჭიროა ატლანტიკური ერთიანობის დემონსტრირება და ერთიანი ფრონტით გამოსვლა“.**

მაგრამ შემდეგ გაირკვა, როგორ აძლევენ განკარგულებებს უკვე სრულად დამოკიდებულ ქვეყნებს ბოლო ხანგრძლივი დროის მანძილზე. **მინისტრები, პოპულარული პარტიების, პარლამენტებისა და ფრაქციების ხელმძღვანელები, უბრალოდ, იღებენ კონვერტებს, რომლებშიც პრინტერზე ამობეჭდილი ფურცლები აწყვია. ამ ფურცლებზე კი წერია, რისი თქმა შეიძლება და რისი — არა.** დარღვევა შეუძლებელია და დაუყოვნებლივ ისჯება ღვეზელთან წვდომის აღკვეთით.

ძველი ევროპის დამორჩილება უფრო რთული საქმე აღმოჩნდა, მაგრამ ნელ-ნელა ამერიკელებმა ესეც შეძლეს. **ევროპის სამოქალაქო საზოგადოება ძველებურად იბღინძება და დამოუკიდებლობის დემონსტრირებას ცდილობს, მაგრამ ყველაზე მგრძნობიარენი უკვე მიხვდნენ, თუ საით უბერავს ქარი: ევროკავშირში თითქმის აღარ დარჩა პატრიოტული ელიტა, მისი ყველა წარმომადგენელი სხვადასხვა მიზეზის გამო ოკეანის გაღმელ პარტნიორებს ემორჩილება.**

ასე რომ, „მისტრალებზე“ აზრი ფრანსუა ოლანდისთვის არავის უკითხავს — საფრანგეთის პრეზიდენტს გადასცეს თეთრი სახლის განკარგულება, რომელიც ყოველგვარი განხილვის გარეშე უნდა შეესრულებინა. სავარაუდოდ, ელისეის სასახლეში გზავნილი აშშ-ის საელჩოდან მივიდა.

ანალოგიური რამ დაემართა ბრიუსელსაც, როდესაც მას რუსული ქონების დაყადაღება უბრძანეს, მათ შორის დიპლომატიური ქონებისაც. ეს კი უკვე ძალიან სცდება საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს.

ამ სიტუაციაში არაფერია უცნაური ან კონსპიროლოგიური — საბჭოთა კავშირი დაახლოებით ასევე ექცეოდა საკუთარ ვასლებს. სოციალისტური ბლოკის ქვეყნებს, პრაქტიკულად, არ ჰქონდათ ხმის უფლება საერთაშორისო არენაზე და მორჩილად ასრულებდნენ საბჭოთა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის როგორც საიდუმლო, ასევე საჯარო განკარგულებებს. სავარაუდოდ, ამგვარი ვითარება კიდევ საკმაოდ დიდხანს გასტანს, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ვასალური დამოკიდებულება განაპირობებს ანტიამერიკანიზმის ზრდას, როგორც 1970-80-იან წლებში განაპირობა ანტისაბჭოთა დამოკიდებულების გამძაფრება აღმოსავლეთ ევროპაში.

**როგორ გადაწყვეტს საფრანგეთი რუსეთთან მისტრალების საკითხს, ამერიკას ნაკლებად ადარდებს, მაგრამ საკომპენსაციოდ ფულს არ მისცემენ — იმპერიას უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც აქვს.** და მთელი ეს პოლიტიკური კონსტრუქცია რაღაცით დაცემის ეპოქის საბჭოთა კავშირს წააგავს.

cont.ws




# ლონდონში მეტროპოლიტენის თანამშრომლები გაიფიცნენ

**ლონდონში მეტროპოლიტენის თანამშრომლების გაფიცვამ ქაოსი გამოიწვია.** პროტესტის გამო შეჩერდა მეტროს სადგურებისა და შეფერხდა არაერთი სარკინიგზო რეისის მუშაობა. სატრანსპორტო საშუალებების თანამშრომლები სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების გამო გაიფიცნენ. ისინი მუშაობის განახლებას მეორე დილამდე არ გეგმავდნენ. ბრიტანეთის დედაქალაქში სატრანსპორტო გადაადგილების გამარტივების მიზნით, დამატებით 200 ავტობუსი გამოიყვანეს. ასევე დამატებითი სანაოსნო რეისებიც დაინიშნა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფაქტობრივად, 365 დღე კი არა, 365,242 დღე სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ბრუნის განსახორციელებლად. თუ 4 წელიწადში ერთხელ არ დაამატებდნენ ამ დღეს, მაშინ წელიწადში 6 საათი დაიკარგებოდა.**



# ზოგი რამ დროს შესახებ

**კლასიკური მექანიკის კანონების მიხედვით, დრო არასდროს ჩერდება, ის ყოველთვის უცვლელი სიჩქარით მიდის, კვანტურ მექანიკაში კი დროის მსვლელობა დამოკიდებულია სხეულის სიჩქარეზე ათვლის სისტემის მიმართ. სიგრძე შეიძლება მეტრებითა და კილომეტრებით გავზომოთ, წონა — ტონებით, კილოგრამებით, გრამებით — ყველა ეს საზომი პირობითია და ადამიანის მოფიქრებული, დროის ძირითადი საზომი კი ბუნებამ მოგვცა.**

დროის აღრიცხვას საფუძვლად დაედო ციურ სხეულთა მოძრაობით განპირობებული ისეთი მოვლენები, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანაბარი პერიოდულობით მეორდება. ეს არის დედამიწის ღერძული ბრუნვა, მთვარის ფაზათა ცვლა, რომელიც დედამიწის ირგვლივ მთვარის გარემოქცევას უკავშირდება, და დედამიწის წლიური მოძრაობა მზის ირგვლივ.

დროს ხანგრძლივი შუალედის საზომად იქცა მზის გარშემო დედამიწის ერთი სრული გარემოქცევის დრო — წელიწადი, რომელთანაც დაკავშირებულია წლიური სეზონური ცვლილებების ციკლი.

მთვარის ფაზების ცვალებადობის პერიოდი — სინოდური თვე და მისგან მომდინარე ახლანდელი კალენდარული თვე ემსახურება დროის ათვლას წელიწადის ფარგლებში.

**დროის ძირითადი საზომი ერთეულია დედამიწის ღერძული ბრუნვის პერიოდი — დღე-ღამე. ეს პერიოდი იყოფა ორ ნაწილად — დღედ და ღამედ (მათი ხანგრძლივობა იცვლება წლის განმავლობაში). თავდაპირველად მას ყოფდნენ 12 თანაბარ ნაწილად — დღის საათებად და ღამის საათებად. შემდეგ მთელი დღე-ღამე დაყვეს 24 სტაბილურ საათად, საათი — წუთებად (საათის 1/60 ნაწილი), წუთები — წამებად (წუთის 1/60 ნაწილი).**

თუ დროის აღრიცხვა ემყარება დედამიწის ბრუნვას ვარსკვლავების მიმართ, ამას ვარსკვლავურ დროს უწოდებენ, ხოლო თუ მზის მიმართ ბრუნვაზეა დამყარებული, მაშინ — ჭეშმარიტ მზისიერ დროს.

ვარსკვლავურ დროს ასტრონომები გეოდეზიური სამუშაოებისა და ასტრონომიული დაკვირვებისთვის იყენებენ, მაგრამ ყოველდღიური საქმიანობისთვის მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ამისთვის არც ჭეშმარიტი მზისიერი დრო ივარგებს არასტაბილურობის გამო, ამიტომ შემოღებულია თანაბრად მიმდინარე საშუალო მზისიერი დრო.

დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს. პლანეტის იმ მხარეს, რომელიც მზისკენ არის მიმართული, დღეა, მეორე მხარე — ღამე.

ერთი წლის განმავლობაში დედამიწა ერთხელ შემოტრიალდება მზის ირგვლივ.

დრო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი დრო ამქვეყნად მაშინ დაიწყო, როცა დავიბადეთ. დღეს არაბეთი 14 საუკუნეს ითვლის, ისრაელი — 57-ს. ყველა ირჩევს დროის ათვლის საწყის წერტილს, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია, როდის დაიწყო რეალურად დროის ათვლა.

შესაძლოა, დროის ათვლა სამყაროს შექმნისას, დიდი აფეთქებისას დაიწყო ან თუნდაც უფრო ადრე.

სამყაროს არსებობის ყველაზე დიდი მტკიცებულება სინათლეა. მისი სიჩქარე 186 000 მილია წამში. ზოგი მეცნიერი კი დროს სწორედ სინათლეს უკავშირებს. სინათლე მუდმივია, სინათლის სიჩქარე ცვლილებას არ ექვემდებარება, ამიტომ დროც ხედვის არეზეა დამოკიდებული. სწორედ სინათლის მიხედვით ვსაზღვრავთ ადამიანები ამა თუ ამ საგნის სიჩქარეს და მოძრაობას დროში. პირველი ამ საკითხზე აინშტაინი დაფიქრდა და მანვე აღნიშნა პირველად, რომ დრო ფარდობითია.

**იმის გამო, რომ დრო და სივრცე განუყოფელია, მეცნიერთა აზრით, ათვლა სწორედ დიდი აფეთქებისას დაიწყო, რადგან ამ მომენტამდე სივრცე არ არსებობდა.**

თეორიულად არსებობს ადგილი, სადაც დროს გავაჩერებთ. იმის გამო, რომ დრო, უბრალოდ, სინათლის გარეშე ვერ იარსებებს, სინათლის გაქრობა საკმარისია დროის შესაჩერებლად. სამწუხაროდ, ეს არც ისე მარტივია, როგორც ჩანს, მხოლოდ შუქის ჩაქრობა და სიბნელე არ კმარა. ამისთვის საჭიროა სინათლეში გარღვევის, ანუ უფსკრულის შექმნა. დღესდღეობით წამიერი გარღვევის შექმნას ცერნზე რამდენიმე ათასჯერ დიდი ლაბორატორია დასჭირდება.

სინათლე დიდი აფეთქებისას წარმოიქმნა, დროის ათვლაც აქიდან იწყება, მაგრამ შესაძლოა, სამყაროში იყო მომენტი, როცა დრო, უბრალოდ, არ გადიოდა.

დავიწყოთ იქიდან, რომ სინათლის სიჩქარეს აქვს საზღვარი. სწორედ ეს საზღვარი ქმნის წარსულს. მაგალითად, მზე რომ აფეთქდეს, ჩვენ ამას მხოლოდ 8 წუთის შემდეგ გავიგებთ. სამყარო, ჩვენი გამოთვლით, 14 მილიარდი წლისაა, რადგან სინათლეს ეს დრო დასჭირდა ჩვენთან მოსაღწევად, მაგრამ, შესაძლოა, ასე არ იყოს. დიდი აფეთებისას წარმოიქმნებოდა უზარმაზარი რაოდენობით პლაზმა. ფოტონებს — სინათლის უმცირეს ნაწილაკებს — არ შეეძლოთ მუდმივად სინათლის სიჩქარით მოძრაობა. ფოტონები ეჯახებოდა ერთგვარ ბადეს და ცდილობდა მათგან გამოღწევას. ნელ-ნელა ეს ბადე დასუსტდა და ფოტონებმა შეძლო გარეთ გამოღწევა. ზუსტად არავინ იცის, რა დრო დასჭირდა ამ პროცესს. ეს ის მომენტი იყო, როცა სინათლის უფსკრული არა წამიერად, არამედ დიდი დროით შეიქმნა და დრო, უბრალოდ, არ არსებობდა.







სტივენ ჰოუკინგი

**ფიზიკოსებს სჯერათ, რომ დრო ფუნდამენტური საზომია სამყაროსი, თუმცა მაგალითები დროის ხაზოვან ნაკადზე უარყოფს ფარდობითობის თეორიას.** მიიჩნეოდა, რომ დრო იყო მარტივი და აბსოლუტური, სინამდვილეში კი მასზე გავლენას ახდენს სიჩქარე, ძალა და სიმძიმე. ოდესმე დაგისვამთ საკუთარი თავისთვის შეკითხვა, თუ როგორ იგებენ თქვენი მობილური ტელეფონის მეშვეობით თქვენს ადგილსამყოფელს რუკაზე? გლობალური პოზიციონირების სისტემა (GPS) ჩართულია ტელეფონის ქსელში 24 თანამგზავრით, რომელთაგან თითოეულს აქვს ზუსტი ატომური საათი და, დედამიწის საათთან შედარებით, ისინი დღეში კარგავს 7 მიკროწამს, რადგან დროის ნელ ნაკადში მდებარეობს. სისტემა GPS-ს ხშირად შეაქვს მცირე კორექტირებები, რათა დრომ ნელა იმოძრაოს, რასაც ფიზიკოსები „დროის გახანგრძლივებას“ უწოდებენ. მისი გავლენით ადამიანს შეუძლია, იმოგზაუროს დედამიწის გარშემო 20 წლის მანძილზე და აღმოაჩინოს თავი უშორეს მომავალში, ხოლო დროის გახანგრძლივებას თუ ზუსტ წერტილამდე მივიყვანთ, შეიძლება გაჩერდეს დრო და უკვდავებას ჰქონდეს ადგილი.

როგორც ვიცით, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ თებერვალში გვაქვს ერთი ზედმეტი დღე — 29 თებერვალი; ეს იმიტომ, რომ ორბიტა დედამიწას მოერგოს. **ფაქტობრივად, 365 დღე კი არა, 365,242 დღე სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ბრუნის განსახორციელებლად. თუ 4 წელიწადში ერთხელ არ დაამატებდნენ ამ დღეს, მაშინ წელიწადში 6 საათი დაიკარგებოდა.**

ოდესმე სულით-ხორცამდე შეგიგრძვნიათ მუსიკა? ამ დროს დროც და სამყაროც გვავიწყდება. მუსიკას გააჩნია ძალა, შექმნას პარალელური, მშვიდი ატმოსფერო. ნეირობიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ტვინის სენსორული ქერქი სხვა ნეირონებსა და ქერქებზე ახდენს გავლენას, რომელიც ერთობლივად ბლოკავს დროის შეცნობას.

შეიძლება თუ არა ნარკოტიკმა შეგვიცვალოს დროის განცდა? ეს საკითხი დამოკიდებულია თვით პრეპარატსა და გარემოებაზე. ბევრმა მტკიცებულებამ აჩვენა, რომ დაუზუსტებელია, მოქმედებს თუ არა დროის შეგრძნებაზე ნარკოტიკების მიღება. გავრცელებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ოპიუმის მოქმედების შემდგომ დროის აღქმა ნელდება. ოპიუმზე დამოკიდებული ინგლისელი, ვინმე ტომ დე კუინსი ამტკიცებს, რომ ოპიუმის მოქმედების ქვეშ მყოფს ერთი ღამე 70 წელიწადად მოეჩვენა. მეცნიერებმა ექსპერიმენტი ვირთხებზეც ჩაატარეს, ფხიზელი ვირთხები სრულიად ნორმალურად გადაადგილდებოდნენ და იკვებებოდნენ, მაგრამ პრეპარატ მეტამფეტამინის ინიექციის შემდგომ რეაგირებდნენ ძალიან ნელა, რაც იმის დასტურია, რომ დროის აღქმა შენელდა.

ჩვენი კულტურის ყველაზე დიდი ნაწილია მომავლისკენ მიმართული ხაზოვანი დრო. არასოდეს აღარ იქნება მომდევნო დროში 21-ე საუკუნე და 2014 წელი, მიუხედავად იმისა, რომ მზის სისტემური ბრუნვა ციკლურია (მეორდება), ხოლო ადამიანის სიცოცხლე — ცალმხრივი გზა. ციკლური სამყაროს იდეა მრავალმა თეორიამ წამოაყენა. იმის ნაცვლად, რომ დრო სრულიად გაფართოვდეს, რხევითი სამყარო დიდი დაშლის შემდეგ ისევ და ისევ იწყება დასასრულის გარეშე. სავარაუდოდ, ბნელ ენერგიას შეუძლია, გაააქტიუროს ვიბრაცია, რათა თავიდან ავიცილოთ ქვეყნის აღსასრული.

ერა და ეპოქა რთული სიტყვებია გასაცნობიერებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამოღებული დროის ერთეული სრულიად გაუგებარია და უფრო უცნაურია ის, რომ დროს გააჩნია სიღრმე. დრო იზომება მილიარდობით წლით, რადგან სამყარო შეიქმნა 4,6 მილიარდი წლის წინათ. ბევრმა ადამიანმა დროის ფანტასტიკური გრაფიკები არ მიიღო, ვინაიდან მათმა ტვინმა ვერ შეძლო მათი გააზრება.

დროში მოგზაურობა არის იდეა დროის ერთი მონაკვეთიდან მეორეში გადაადგილებაზე, აწმყოდან — წარსულში ან მომავალში, სივრცის ორ წერტილს შორის მოგზაურობის მსგავსად. ძირითადად, ეს ხდება თეორიული გამოგონების, დროის მანქანის მეშვეობით. დროში მოგზაურობის ცნება ფართოდ გავრცელებულია ფილოსოფიასა და ფანტასტიკაში, თუმცა გარკვეული შეზღუდვები აქვს თეორიულ ფიზიკაში, სადაც მსგავსი რამის განხორციელების მთავარ მეთოდად ითვლება კვანტური მექანიკისა და ჭიის ხვრელების ნაზავი.

ჰერბერტ უელსის „დროის მანქანა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დროის მოგზაურობის კონცეფციის ფართო საზოგადოებამდე მიტანაში, თუმცა ედვარდ მიტჩელის უფრო ადრინდელი ნაწარმოები „საათი, რომელიც უკუღმა დატრიალდა“ გვიამბობს საათზე, რომელმაც გაურკვეველი მეთოდით სამი ადამიანი წარსულში გადაიყვანა. დროში მოგზაურობის არატექნოლოგიური ფორმები მანამდეც იყო ნახსენები რამდენიმე მოთხრობაში, როგორიცაა, მაგალითად, ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიმღერა“. ისტორიულად ეს იდეა დასაბამს იღებს ინდუიზმის ადრეული მითოსიდან (მაგალითად, „მაჰაბჰარატა“).

ბოლო პერიოდში ტექნოლოგიის განვითარე- ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დრო მხოლოდ წინ მიდის. ეს იმიტომ, რომ ენერგია ნელ-ნელა იცვლება. დრო რომ უკან მიდიოდეს, შევძლებდით მთელი სამყაროს კვლავ ერთ წერტილში კონცენტრირებას, როგორც დიდ აფეთქებამდე იყო.

◀ბასა და სამყაროს შესახებ მეტი ინფორმაციის გაგებასთან ერთად, დროში მოგზაურობის შესაძლებლობები ფართოდ განიხილება სამეცნიერო ფანტასტიკის მწერლების, ფილოსოფოსებისა და ფიზიკოსების მიერ.

არ არსებობს საერთო აზრი იმაზე, რომელი წერილობითი ნაშრომი უნდა ჩაითვალოს დროში მოგზაურობის ამბის პირველ ნიმუშად, რადგან მსგავს რამეს ბევრგან შევხვდებით. უძველესი ზღაპრები და მითები მომავალში მოგზაურობის მსგავს მოვლენებს აღწერდნენ. მაგალითად, ინდუისტურ მითოლოგიაში მეფე რაივატა კაკუდმი ადის ზეცაში, რათა იხილოს შემოქმედი ბრაჰმა, დედამიწაზე დაბრუნებისას კი შოკირებულია იმის გამო, რომ მრავალი საუკუნე გასულა.

ბუდისტური კანონიც ახსენებს დროში მოგზაურობას. პაიასის სუტაში ბუდას ერთ-ერთი მთავარი მოციქული — კუმარა კასაპა უხსნის სკეპტიკოს პაიასის, რომ „ოცდაცამეტი დევას ზეცაში დრო სხვანაირად მიედინება და ხალხი გაცილებით დიდხანს ცოცხლობს. ჩვენი ერთი საუკუნე, ასი წელიწადი, იქ მხოლოდ ერთი დღეა, მხოლოდ ოცდაოთხი საათი".

ისლამშიც არსებობს გარკვეული მინიშნებები დროში მოგზაურობაზე. ყურანში საუბარია რამდენიმე ადამიანზე, რომლებმაც გამოქვაბულში რამდენიმე საათით დაიძინეს, მაგრამ გარეთ გასვლისას აღმოაჩინეს, რომ 309 წელი გასულა. ასევე, ნახსენებია ფრაზა „ერთი დღე ღმერთისთვის არის ათასი წელი თქვენთვის (ადამიანებისთვის)".

მსგავს იდეას ვხვდებით ქრისტიანული ახალი აღთქმის წიგნში, პეტრეს მეორე ეპისტოლეში.

**ქართული ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს" გვიამბობს ვაჟზე, რომელიც მარადიული სიცოცხლის ძიებაში მიადგა მინის კოშკს, რომელშიც მზეთუნახავი აღმოჩნდა. მზეთუნახავმა მას დარჩენა შესთავაზა, აუხსნა, რომ კოშკში დრო ძალიან ნელა გადიოდა. ვაჟი დარჩა, თუმცა სამი დღის შემდეგ ახლობლების ნახვა მოუნდა და წასვლა გადაწყვიტა. სოფელში დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში ათასი წელი გასულიყო, მისი სახლისგან კვალიც აღარ იყო დარჩენილი, მისი და მისი ნათესავების ამბავი კი არავინ იცოდა.**

წარსულში მოგზაურობა უფრო თანამედროვე იდეა ჩანს, მაგრამ ამ იდეის წარმოშობაც სადავო საკითხია.

**ფარდობითობის თეორია წინასწარმეტყველებს, რომ, თუკი დედამიწიდან ვინმე იმოძრავებს ფარდობითი სიჩქარით და შემდეგ უკან დაბრუნდება, დედამიწაზე მყოფთათვის უფრო მეტი დრო იქნება გასული, ვიდრე მოგზაურისთვის.** ამ გაგებით, საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ფარდობითობა უშვებს მომავალში მოგზაურობის შესაძლებლობას. რაც შეეხება წარსულში მოგზაურობას, ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ამის მოხდენა თითქმის შეუძლებელია.

ნებისმიერ თეორიას, რომელიც დროში უკან მოგზაურობას შესაძლებლად აცხადებს, შემოაქვს მიზეზ-შედეგობრიობის პოტენციური პრობლემაც. ამის კლასიკური მაგალითია ბაბუის პარადოქსი: რა მოხდება, თუკი ვინმე წარსულში გადავა და მოკლავს საკუთარ ბაბუას იქამდე, სანამ მამამისი (ანუ ბაბუის შვილი) ჩაისახება? მეცნიერების ნაწილი თვლის, რომ პარადოქსების აცილება შესაძლებელია ნოვიკოვის თვითკონსისტენციის პრინციპის გამოყენებით ან პარალელური სამყაროების შესახებ მოსაზრების მოშველიებით.

ცნობილი და გავლენიანი ბრიტანელი ასტროფიზიკოსი სტივენ ჰოუკინგი მიიჩნევს, რომ მომავლიდან მოსული ტურისტების არარსებობა წარსულში მოგზაურობის საწინააღმდეგო არგუმენტია. მისი აზრით, ეს არ ამტკიცებს დროში მოგზაურობის შეუძლებლობას; შესაძლოა, მომავლის ადამიანებს, უბრალოდ, არასდროს განუვითარებიათ საჭირო ტექნოლოგია ან, წინდახედულობის გამო, გამოყენებაზე იმთავითვე უარი თქვეს, მაგრამ თუნდაც განავითარონ, ჰოუკინგი აღნიშნავს, რომ დროში მოგზაურობა შესაძლებელია დრო-სივრცის მხოლოდ იმ რეგიონებში, რომლებიც საჭიროებისამებრ არიან გამრუდებულნი და მომავლის ტურისტები მხოლოდ იქ დაბრუნდებიან, სადაც გამრუდება მათ წამოსვლამდე მოხდა, ამიტომ შეიძლება წარსულში მოგზაურობა შესაძლებელი იყოს, მაგრამ ქვედა ზღვარი ის მომენტი იქნება, როცა ადამიანები პირველად შექმნიან ასეთ გამრუდებულ ადგილებს.



ფარდობითობის თეორია წინასწარმეტყველებს, რომ, თუკი დედამიწიდან ვინმე იმოძრავებს ფარდობითი სიჩქარით და შემდეგ უკან დაბრუნდება, დედამიწაზე მყოფთათვის უფრო მეტი დრო იქნება გასული, ვიდრე მოგზაურისთვის



ეს იმას ნიშნავს, რომ დროში მოგზაურებს მხოლოდ მაშინ ვიხილავთ, როცა დროის მანქანას შევქმნით. კარლ სეიგანმა ერთხელ აღნიშნა, რომ შესაძლოა, დროში მოგზაურები აქ არიან, მაგრამ ინიღბებიან ან მათ არავინ აღიქვამს მოგზაურად, რადგან გაუფრთხილებელი ცვლილებები დრო-სივრცეში შეიძლება მათთვისაც არასასურველი შედეგის მომტანი იყოს.

**ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ დროში მოგზაურობა შეუძლებელია, მაგრამ არ არსებობს ფიზიკის კანონი, რომელიც დროში მოგზაურობას გამორიცხავს.** ისააკ ნიუტონი მიიჩნევდა, რომ დრო გასროლილი ისარივით იყო, რომელიც მხოლოდ წინ მიიწევდა და არასდროს უხვევდა ნორმიდან. შემდეგ მოდის აინშტაინი და ამბობს – დრო ეს მდინარის მსგავსია, მდინარეს კი შეიძლება მორევები ჰქონდეს, გაიყოს ორ მდინარედ, დაიტოტოს და კრენდელივით მოიხაროს. აინშტაინს ეჭვი ჰქონდა დროში მოგზაურობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი კოლეგა კურტ გოდელი, რომელიც ბოლო ათასწლეულის საუკეთესო მათემატიკოსი და ლოგიკოსი გახლდათ, იყო პირველი ადამიანი, რომელმაც 1949 წელს აინშტაინის ამოცანას ახსნა მოუძებნა და დროში მოგზაურობა შესაძლებლად წარმოაჩინა. თუკი სამყარო ბრუნავს და შენ მის გარშემო მოძრაობ, დაბრუნდები იმაზე ადრე, ვიდრე მოგზაურობა დაიწყე. აინშტაინმა თვითონაც იცოდა, რომ მოძრავი სამყარო დროში მოგზაურობის შესაძლებლობას უშვებდა, მაგრამ, როგორც თავის მემუარებში წერდა, მას აწუხებდა ის ფაქტი, რომ სამყარო კი არ ბრუნავს, არამედ ფართოვდება.

ამის შემდეგ გავიდა დრო და აინშტაინის ამოცანას ასობით ახსნა მოუძებნეს, რომელიც დროში მოგზაურობას დასაშვებად მიიჩნევს, ანუ შენ შეგიძლია, შეხვდე შენს მშობლებს იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ იყავი დაბადებული.

ერთ-ერთი გზა არის ჭიის ხვრელის გაკეთება. აიღე ქაღალდის ფურცელი (რომელიც სიმბოლურად დრო-სივრცეა), დასვი მასზე ორი წერტილი და მოკეცე ფურცელი ისე, რომ ეს წერტილები ერთმანეთს მიედოს. ზუსტად ეს არის ჭიის ხვრელი. საოცრებათა ქვეყანაში ალისას ჰქონდა ჭიის ხვრელი, გზამკვეთი დროისა და სივრცის ორ პუნქტს შორის. ამოხსნაც ნაპოვნია: აინშტაინის გამოთვლებს თუ დავეყრდნობით, შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ ენერგია, რომელიც საჭიროა დროისა და სივრცის კრენდელის მსგავსად გასაღუნად, შეიძლება, შეედაროს აფეთქებული ვარსკვლავისას, შავი ხვრელისას; ენერგია, რომელიც გაცილებით აღემატება იმას, რისი მოპოვებაც დედამიწაზე შეიძლება.

შეიძლება, ღია სამყაროში უცხოპლანეტელებს ან ჩვენს შორეულ შთამომავლებს ათვისებული ჰქონდეთ დროში მოგზაურობის ხელოვნება და ამისთვის ვარსკვლავების ენერგიეს იყენებდნენ. ასე რომ, თუკი ერთ დღეს ვინმე მოგიკაკუნებთ კარზე და დაგიწყებთ მტკიცებას, რომ ის თქვენი შვილთაშვილთაშვილია და შორეული მომავლიდან გეწვიათ, ნუ მიუჯახუნებთ კარს, რადგან შეიძლება თქვენი შთამომავალია და შორეული წინაპრის მონახულება გადაწყვიტა.

ბევრი კითხვა დროში მოგზაურობის შესახებ უპასუხოდ რჩება. თუკი მომავალში შეძლებენ წარსულში მოგზაურობას, მოვლენ ჩვენს დასახმარებლად? ამის გასაგებად მხოლოდ ლოდინიღა დაგვრჩენია, მაგრამ, თუკი დროის მანქანად ჭიის ხვრელს გამოიყენებენ, მაშინ ჩვენც უნდა შევქმნათ ასეთი, ანუ მისი მეორე მხარე. ხიდზე ვერ გადახვალ, თუკი მხოლოდ ერთი მხარეა აშენებული, ასე არ არის?

თეორიულად, 100 წელზე მეტი იქნება საჭირო იმისთვის, რომ ჭიის ხვრელის ორი ბოლო შეიქმნას და მათ შორის სხვაობა 100 წელი იყოს. ასე რომ, არ არსებობს გზა, რომლითაც ჩვენი შთამომავლები უკან, ჩვენს დროში დაბრუნდებიან და გვეტყვიან რომ ამ საკითხში ვცდებოდით.

**დრო მხოლოდ წინ მიდის. ეს იმიტომ, რომ ენერგია ნელ-ნელა იცვლება. დრო რომ უკან მიდიოდეს, შევძლებდით მთელი სამყაროს კვლავ ერთ წერტილში კონცენტრირებას, როგორც დიდ აფეთქებამდე იყო.**

შესაძლოა, ოდესმე დროის საიდუმლო ბოლომდე გაიშიფროს.





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მშობლები ხშირად უსამართლოდ სჯიან ბავშვებს იმ საქციელისთვის, რომელიც არ ჩაუდენიათ, ან ისეთი საქციელისთვის, რომელიც სასჯელს არ იმსახურებდა. უსამართლო და დაუმსახურებელი ბრალდებები და სასჯელი მთელი ცხოვრების განმავლობაში გულისტკენად რჩება.**



# მეცნიერებმა კიბოს დროულად გამოვლენის ახალ ხერხს მიაგნეს

**ბრიტანელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ პაციენტების დიაგნოსტიკის ახალი მეთოდიკა, რომელიც სისხლში პროტეინის დონეს განსაზღვრავს, გაცილებით უფრო ეფექტურ შედეგს მოგვცემს სიმსივნის ნაადრევ სტადიაზე გამოსავლენად.** თოთხმეტი წლის განმავლობაში მეცნიერები ატარებდნენ ექსპერიმენტს, რომელშიც მონაწილეობდა 46 000-ზე მეტი ქალი. წინასწარი მონაცემებით, სისხლის ანალიზით შემოწმება ორჯერ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა დიაგნოსტიკაში, ვიდრე მანამდე არსებული ხერხები.



# ჟოლო – კიბოსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი პროდუქტი

**უნივერსიტეტ კლემსონში სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევები ცხოველებზე და აღმოაჩინეს, რომ ჟოლო სიმსივნის უჯრედებს ანადგურებს. სიმსივნით დაავადებულ ცხოველებს მეცნიერები ჟოლოს ექსტრაქტს უკეთებდნენ, რომლის შედეგადაც 90% კიბოს უჯრედებისა კვდებოდა.**

ამასთან, ცნობილია, რომ ჟოლო ანტიოქსიდანტური თვისებებითაა სავსე. მეცნიერები თვლიან, რომ ჟოლოში, აგრეთვე, არის სიმსივნის საწინააღმდეგო ნივთიერებები. მათი თქმით, არც ერთ ცნობილ ანტიოქსიდანტს არ შეუძლია კიბოს უჯრედების 90%-ის განადგურება.

ჟოლოს სხვა სასიკეთო თვისებებიც ახასიათებს. ის სავსეა C ვიტამინით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მამაკაცის ფერტილურობისთვის, და მაგნიუმით, რომელიც ტესტოსტერონის წარმოქმნას უწყობს ხელს. აგრეთვე, ჟოლო ძალიან სასარგებლოა ჯანსაღი სპერმის წარმოქმნისთვის.

# წყენა, რომელსაც ბავშვი არასდროს გაპატიებთ

**სამწუხაროდ, არსებობს ის, რასაც ადამიანები ვერასდროს მიუტევებენ. მშობლებსა და ბავშვებს უფრო მეტად წყენა ამახსოვრდებათ, ვიდრე ამაგი და სიკეთე. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანს ახლობლების მიერ ბავშვობაში მიყენებული წყენა მთელი ცხოვრება გულში რჩება. მაინც რა სწყინთ ბავშვებს ყველაზე მეტად და რას უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება?**



### როცა მშობლები შვილებს არჩევენ

ეს ის გულისტკენაა, რომელიც სამუდამოდ რჩება ადამიანს და მის ფსიქიკაზეც დიდ გავლენას ახდენს. ხშირად დედასა თუ მამას (ან ორივეს ერთად) გამორჩეულად უყვართ რომელიმე შვილი და მეორეს ჩაგრავს. შეიძლება, სიყვარულით არც უყვარს მეტად, მაგრამ ყოველთვის ისე იქცევა, რომ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება. მსგავსი რამ ადამიანს არასდროს ავიწყდება და გულნატკენი რჩება.

### ბავშვის აზრის უგულებელყოფა

ბევრ ოჯახში მშობლები არ თვლიან საჭიროდ, ბავშვს ჰკითხონ აზრი რაიმეზე, თუნდაც მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მის აზრს პატივს არ სცემენ, ხშირად დასცინიან და ამცირებენ. „კიდევ რა გინდა?", „ისე იქნება, როგორც მე ვამბობ!", „შენ არავინ გეკითხება!" — ასეთი გამოთქმები და დამოკიდებულება დიდხანს ახსოვთ.

### უსამართლობა

მშობლები ხშირად უსამართლოდ სჯიან ბავშვებს იმ საქციელისთვის, რომელიც არ ჩაუდენიათ, ან ისეთი საქციელისთვის, რომელიც სასჯელს არ იმსახურებდა. უსამართლო და დაუმსახურებელი ბრალდებები და სასჯელი მთელი ცხოვრების განმავლობაში გულისტკენად რჩება.

### ღალატი და ტყუილი

რასაც ბავშვები ვერასდროს ივიწყებენ, ეს არის ახლობელი ადამიანის ღალატი — ბავშვის სანუკვარი საიდუმლოს სხვებისთვის გამხელა, სხვათა ინტერესების ბავშვზე წინ დაყენება, პირობის დარღვევა. უფროსების ასეთი საქციელი ბავშვზე უარყოფითად მოქმედებს და მშობლებისადმი პატივისცემასაც უქრობს.

ასევეა ტყუილი – თუნდაც კარგი განზრახვით – რომ ბავშვს დაუმალონ რაიმე სამწუხარო თუ უსიამოვნო ფაქტი, თითქოს მისი ტრავმირების თავიდან ასაცილებლად. ბავშვს ეს ძალიან სწყინს.

### გულგრილობა

„რაც გინდა, ის გააკეთე, სულერთია", — მშობლების ასეთი დამოკიდებულება არანაკლებ საწყენია, ვიდრე გამუდმებული აკრძალვა და დიქტატი. გულგრილობა, ზედაპირული და გაუცხოებული დამოკიდებულება შვილის მიმართ სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის მიზეზი შეიძლება გახდეს და მასზე სამუდამო დაღი დატოვოს.

### სხვებთან შედარება

ბევრმა მშობელმა იცის ბავშვის შედარება მის და-ძმასთან თუ სხვა, თავისი გადასახედიდან უფრო წარმატებულ ბავშვთან. ბავშვს უყალიბდება განცდა, რომ მას ყველა ჯობია, ის ჩამორჩენილი და გარიყულია. ამ წყენას, ამ მუდმივ შეჯიბრს და დამცირებას ის ვერასდროს ივიწყებს, ამიტომ სჯობს, ხშირად შეაქოთ, წახალისოთ.

### „შენი არ მჯერა"

ძალიან ხშირად მოსიყვარულე მშობლებიც დიდ შეცდომას უშვებენ, როცა რეგულარულად ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ არ სჯერათ თავიანთი შვილების და მათი შესაძლებლობების. „მომეცი, ჯობია, მე გავაკეთო", „შენ მაინც არ გამოგივა," — ეს ის ფრაზებია, რომლებიც გამუდმებით რჩება ბავშვის თავში და სერიოზულ გავლენას ახდენს მის შემდგომ ცხოვრებაზე.

# დედამიწას გლობალური კატასტროფა ემუქრება

**ამერიკელმა, რუსმა, შვედმა, ჰოლანდიელმა, ინგლისელმა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელმა მეცნიერებმა გააერთიანეს ძალები არქტიკული მყინვარების ლღობის საფრთხეების შესასწავლად, რათა წინ აღუდგნენ მოსალოდნელ კატასტროფას. მოვლენების ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაში, კაცობრიობას გლობალური კატასტროფა ემუქრება, რომლის არმოსაფხვრელადაც საჭირო იქნება მთელი მსოფლიოს ბიუჯეტი.**





შარშან შეიქმნა ორი საერთაშორისო არქტიკული ექსპედიცია, რომელიც იკვლევდა მთელი პლანეტის კლიმატს. ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სიღრმეებში, 100 მეტრით ქვევით აღმოჩენილია მეთანის დიდი რაოდენობა. გათხრების მონაცემების თანახმად, ყინულის მთები უკვე ტრანზიტში იმყოფება. უკანასკნელ ექსპედიციაზე მეცნიერებმა მეთანის ნარჩენების ხუთასი ანომალიური მოდელი აღმოაჩინეს.

მყინვარების დნობა იწვევს ატმოსფეროში მეთანის გამოყოფას. ამან კი, შესაძლოა, უპროგნოზო კუთხით მოახდინოს გავლენა დედამიწის ეკოლოგიაზე. მეცნიერები მოვლენების განვითარების სულ ოთხ ვარიანტს განიხილავენ — ყველაზე ოპტიმისტურს და ყველაზე პესიმისტურს, რომელთაც კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ამ პროგნოზის თანახმად, ატმოსფეროში გაიფანტება 5 პროცენტი მყინვარის აირი და მეთანის კონცენტრაცია გაიზრდება. ასეთი სცენარის შემთხვევაში, შედეგებთან ბრძოლას 70 ტრილიონი დოლარი დასჭირდება.

მეთანის ნარჩენებმა და ნახშირმჟავის აირმა, რომლებიც ყინულის ლღობის შედეგად გამოიყოფა, ათი წლის განმავლობაში, შესაძლოა, დედამიწა კრიტიკულ ტემპერატურამდე გაათბოს, რომელიც გლობალური კატასტროფის გარანტი იქნება.

**სიცილი ზრდის შემოქმედებით უნარს და აადვილებს სირთულეებს გადაჭრას; ააქტიურებს თავის ტვინის ლიმფურ სისტემას, აუმჯობესებს კავშირს ტვინის ნახევარსფეროებს შორის.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიცილი სერიოზული საქმეა

**სიცილი, უწინარესად, სასარგებლო ფიზიკური ვარჯიშია, რომელიც ერთდროულად 80-მდე ჯგუფის კუნთს ამუშავებს. ამ დროს მოძრაობს მხრები, ვიბრირებს დიაფრაგმა, ეშვება კისრის, ზურგისა და სახის კუნთები. გულიან სიცილს ზოგიერთი სპეციალისტი 25-წუთიან ფიტნესს უტოლებს. სიცილის დროს ჩქარდება გულისცემა, მცირდება სისხლში სტრესის ჰორმონებისა და ქოლესტერინის დონე. ზოგჯერ ერთი გულიანი გაცინება საკმარისია თავის ტკივილის დასაამებლად.**



სიცილი ამშვიდებს ნერვებს და ამაღლებს განწყობას. ორგანიზმში ის სასარგებლო ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ გარდაქმნებს იწვევს — ქსოვილებს ჟანგბადით ამდიდრებს და ხელს უწყობს ბედნიერების ჰორმონების, ენდორფინების, გაძლიერებულ სინთეზს. სტრესის ჰორმონების შემცირებისა და ბედნიერების ჰორმონების გაძლიერებული სინთეზის წყალობით სიცილი იმუნიტეტსაც აძლიერებს.

სიცილის დროს იცვლება სუნთქვის რიტმი — ჩასუნთქვა ხანგრძლივდება, რომელიც ორგანოთა სისხლმომარაგებას აუმჯობესებს და გულის მუშაობაზეც სასარგებლოდ აისახება. აღსანიშნავია, რომ პირქუში ადამიანები გაცილებით ხშირად ავადმყოფობენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, ვიდრე ისინი, ვისაც გულიანი სიცილი უყვარს. მხიარულებს ნაკლებად ემუქრებათ მიოკარდიუმის ინფარქტის რისკი. ეს იმით აიხსნება, რომ სიცილი განამტკიცებს სისხლძარღვებისა და გულის კედლის ამომფენ ენდოთელიუმის უჯრედებს.

**არსებობს მოსაზრება, რომ სიცილი ნაოჭებს აჩენს. სინამდვილეში ასე არ არის. გარეგნობაზე სიცილი მხოლოდ და მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს — სახის კუნთებისთვის ის ვარჯიშის ტოლფასია.**

ახალშობილი 3 თვემდე ვერ იცინის. 10-წუთიანი სიცილი წვავს იმდენსავე კალორიას, რამდენსაც საშუალო ზომის შოკოლადის ფილა შეგძენთ. 17-წუთიანი სიცილი სიცოცხლის ხანგრძლივობას 24 საათით ზრდის. 6 წლის ბავშვი დღეში საშუალოდ 200-ჯერ იცინის. მოღიმარი ოფიციანტები და მიმტანები დღეში 1,5-ჯერ მეტ ანაზღაურებას იღებენ სტუმრებისგან, ვიდრე მათი სერიოზული კოლეგები. ზრდასრული ადამიანი დღეში საშუალოდ 15-70-ჯერ იღიმება. გულიანი სიცილი, შესაძლოა, ერთი საათიც კი გაგრძელდეს შეუსვენებლ. სიცილის უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს.

ყველაზე სიცოცხლისმოყვარე და ხალისიანი ადამიანები ბრაზილიასა და კუბაში ცხოვრობენ, ყველაზე გაუცინარი კი სკანდინავიელები არიან.

სიცილის დროს ჰაერი ფილტვებიდან 100 კმ/სთ სიჩქარით ამოიტყორცნება. ამ დროს ბრონქები თავისუფლდება დაგროვილი ლორწოსგან, ეს კი აუმჯობესებს სუნთქვას და ამსუბუქებს ანთებით პროცესს ბრონქიტისა და ასთმის დროს.

**სიცილი ზრდის შემოქმედებით უნარს და აადვილებს სირთულეებს გადაჭრას; ააქტიურებს თავის ტვინის ლიმფურ სისტემას, აუმჯობესებს კავშირს ტვინის ნახევარსფეროებს შორის.**

უკანასკნელი 270 წლის განმავლობაში მოღვაწე ხელოვანთა და მსახიობთა ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობის შესწავლამ ცხადყო, რომ კომიკოსები ტრაგიკოსებზე გაცილებით მეტხანს ცოცხლობენ.

ერთ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც სიმსივნური დაავადებების მქონე პაციენტთა ცხოვრებას ეძღვნებოდა, გაირკვა, რომ მათ, ვისაც ხშირად აცინებენ, გაცილებით მაღალი აქვთ გამოჯანმრთელების მაჩვენებელიც და განკურნების ხარისხიც.

მე-17 საუკუნეში ექიმები ამბობდნენ: „ქალაქში ერთი მასხარას სტუმრობა გაცილებით სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე წამლებით დატვირთული ათეულობით ექიმისაო“.

**თუ გსურთ, გაიცნოთ ადამიანი, ჩასწვდეთ მის შინაგან სამყაროს, გაიგოთ მისი სულიერი მდგომარეობა, სულაც არ არის საჭირო, ნახოთ, როგორ დუმს, ლაპარაკობს, ტირის ან ღელავს — საკმარისია, ნახოთ, როგორ იცინის. გულიანად მოცინარი ადამიანი კარგი ადამიანია!** ჩარლი ჩაპლინი ამბობდა: მჯერა, სიცილისა და ტირილის ყოვლისშემძლეობა სიძულვილისა და შიშის დამარცხების საუკეთესო საშუალებააო. ისე არაფერი აახლოებს ადამიანებს, როგორც გულიანი სიცილი. მაჰათმა განდის უთქვამს, იუმორის გრძნობის გარეშე დიდი ხნის წინათ მოვიკლავდი თავსო. ონორე დე ბალზაკს კი მიაჩნდა, რომ სიცილი ნერვების საუკეთესო მკურნალია.



# სახიფათო შავმა ხვრელმა გაიღვიძა

**მონსტრმა შავმა ხვრელმა, რომელიც დედამიწისგან რვა ათასი სინათლის წლითაა დაშორებული, 26-წლიანი ძილის შემდეგ გაიღვიძა. ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია თანამგზავრ „ინტეგრალის“ მეშვეობით გახდა ცნობილი.**

ბოლოს შავი ხვრელი ჩვენს მზის სისტემაში 1989 წელს გამოჩნდა, რომელიც შავი ხვრელების შესწავლის გარდამტეხ მომენტად იქცა. ასტროფიზიკოსებმა მოახერხეს მისი კომპანიონი ვარსკვლავის აღნუსხვა, რომლებსაც შავი ხვრელი ნელ-ნელა შთანთქავდა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ შავი ხვრელი ამჟამად უცნაურ და არაპროგნოზირებად ქცევებს ავლენს — იცვლის ზომებს და შეფერილობას საათებში და ზოგჯერ წუთებშიც კი.

აღსანიშნავია, რომ მაისში დედამიწიდან 12,5 მილიარდი სინათლის წელიწადის დაშორებით აღმოაჩინეს გალაქტიკა, რომელიც შუქს ასხივებს 300 ტრილიონჯერ მეტი სიძლიერით, ვიდრე ჩვენი მზე.





# ხელნაკეთი მაცივარი

**ზოგჯერ ვცდილობთ, რაც შეიძლება შორს გავექცეთ ქალაქურ ყოფას და ისე დავისვენოთ. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვან სამსახურს გაგვიწევს იმის ცოდნა, თუ როგორ დავამზადოთ საკუთარი ხელით მოწყობილობა, რომელიც მაცივრის მოვალეობას შეასრულებს.**

საჭიროა თიხის ორი ქოთანი — დიდი და მასზე ოდნავ პატარა (თუ ფსკერზე ნახვრეტები აქვს, ამოქოლეთ), ქვიშა, ცივი წყალი — მდინარის ან ჭის და სახურავი.

პატარა ქოთანი დიდში ჩადეთ და ეცადეთ, დააწებოთ ერთმანეთზე. დარჩენილ ღრიჭოში ჩაყარეთ ქვიშა. ეს ქვიშა ქოთანში ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ქვიშას რაც შეიძლება ცივი წყალი დაასხით, ჭის ან მდინარის, თუმცა ონკანის წყალიც გამოდგება. მჭიდროდ დაახურეთ თავსახური, წინააღმდეგ შემთხვევაში მაცივარი არ „იმუშავებს“.

15 წუთში შედეგი უკვე იგრძნობა — ქოთანში ტემპერატურა უკვე 12 გრადუსამდე დაეცემა და სასმელის გაცივებაც შეიძლება. თუ ქვიშას სისტემატურად დაამატებთ ცივ წყალს, დაბალ ტემპერატურას დიდხანს შეინარჩუნებთ. მინიმალური ტემპერატურა ხელნაკეთ მაცივარში 5 გრადუსზეც კი ჩამოვა.



# ფულის შოვნა უდიპლომოდ

**მაღალხელფასიანი სამსახურის შოვნა საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, თუ სათანადო განათლება და დიპლომი არ გაქვთ. მიუხედავად ამისა, დასაქმების ბრიტანულმა სააგენტომ Adzuna-მ იმ მაღალხელფასიანი სამსახურების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლებიც დიპლომს არ ითხოვს.**

სააგენტოს ცნობით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი უდიპლომო პროფესია აქციებით მოვაჭრეა, რომლის საშუალო წლიური ანაზღაურება 94 241 დოლარია. მართალია, ამ საქმეს დიპლომი არ სჭირდება, მაგრამ მომავალმა აქციით მოვაჭრეებმა სპეციალური ტესტირება უნდა გაიარონ ეთიკაში.

დიდ ბრიტანეთში უდიპლომო მაღალანაზღაურებად პროფესიებს შორის არის სამთო მშენებლის პროფესია, რომლის საშუალო წლიური ანაზღაურება იქ 89 146 დოლარს შეადგენს. სააგენტოს განცხადებით, ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაოა.

რეიტინგში, ასევე, მოხვდა HR მენეჯერი, რომლის საშუალო წლიური ანაზღაურება 61 285 დოლარს შეადგენს. სააგენტოს ცნობით, დიდ ბრიტანეთში HR მენეჯერის პოზიციაზე მუშაობისთვის უნივერსიტეტის დიპლომი არ არის საჭირო, მაგრამ აუცილებელია პერსონალისა და განვითარების ინსტიტუტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დიპლომი არ მოეთხოვებათ არც სახიფათო ნარჩენების მენეჯერებს, რომელთა საშუალო წლიური ანაზღაურება 58 127 დოლარია, და არც უსაფრთხოების ოფიცრებს, რომელთა ანაზღაურება 55 687 დოლარს შეადგენს.

უდიპლომო მაღალანაზღაურებად პროფესიებს შორის სააგენტო, ასევე, ასახელებს ჟურნალისტიკას. სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, იმისათვის, რომ მაღალანაზღაურებადი და პროფესიონალი ჟურნალისტი გახდეთ, საჭიროა, კარგად წერა შეგეძლოთ და კარგი ზოგადი განათლება გქონდეთ.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# სინგაპური — «აღმოსავლეთი აზიის ვეფხვი»





## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა სინგაპური სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქალაქი-სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს კუნძულ სინგაპურსა და 63 პატარა კუნძულზე. მალაკის ნახევარკუნძულიდან გამოყოფილია ჯოჰორის სრუტით. ესაზღვრება ჯოჰორის სასულთნოს, რომელიც მალაიზიის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ინდონეზიის კუნძულ რიაუს.

სინგაპურის სახელწოდება წარმოიშვა მალაიური „სინგა"-დან (ლომი), რომელიც ნასესხებია სანსკრიტულისგან (სინჰა — ლომი) და სანსკრიტული „პურა"-სგან (ქალაქი).

**კლიმატი.** სინგაპურში კლიმატი ეკვატორულია და წლის განმავლობაში სტაბილური — სითბო, მაღალი ტენიანობა და წვიმის სეზონები. ტემპერატურა პლუს 26-დან 30 გრადუსამდე მერყეობს.

**ფლორა.** პატარა კუნძულებზე შემორჩენილია ტროპიკული ტყის ნარჩენები. ხარობს პალმები, ბამბუკი, სეკვოია.

**ფაუნა.** სინგაპურში ბინადრობს მაკაკა, ლემური, პითონი, აგრეთვე, ფრინველის მრავალი სახეობა.

**უმაღლესი წერტილია** ბორცვი **ბუკიტ-თიმაჰი (163 მ).**

სინგაპურს არ აქვს ბუნებრივი ტბები და მდინარეები, მაგრამ აქვს ხელოვნურად შექმნილი არხები და წყალსატევები მტკნარი წყლით სინგაპურის მოსამარაგებლად, თუმცა სინგაპურში არის მდინარე სინგაპური, რომლის სიგრძე 3 კმ-ია.

სინგაპურის **ტერიტორია 718,3 კვ.კმ-ს** შეადგენს (171-ეა მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2012 წლის შეფასების მიხედვით, სინგაპურში 5,3 მლნ კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: ჩინელები — 76,8%, მალაიელები — 13,9%; ინდოელები — 7,9% (თამილები, პენჯაბელები და ბენგალიელები); ცხოვრობენ, აგრეთვე, ინგლისელები, არაბები, ებრაელები, სომხები და იაპონელები.

**ოფიციალური ენები: ინგლისური, ჩინური (პუტუნხუა), მალაიური, თამილური.**

დამოუკიდებლობის დღე: **1965 წლის 9 აგვისტო (მალაიზიისგან)**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

სინგაპური საპარლამენტო რესპუბლიკაა, აღმასრულებელი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტის ხელშია, რომელსაც პრემიერმინისტრი ხელმძღვანელობს, პრეზიდენტი უფრო წარმომადგენლობით როლს ასრულებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია, ვეტო დაადოს გადაწყვეტილებებს.

ამჟამად სინგაპურის პრეზიდენტია **ტონი ტანკენ იამი,** პრემიერმინისტრი — **ლი სიანლუნი.**

ქვეყანა დაყოფილია 5 ოლქად.

**რელიგია.** სინგაპური მრავალკონფესიური ქვეყანაა, მოსახლეობის 40% ბუდიზმის მიმდევარია, 15% — კონფუციზმის, 5% — დაოსიზმის; მუსლიმთა 18% მალაიზიელია, სინგაპურელთა 14% აღიარებს ქრისტიანობას — კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას.

## ეკონომიკა

სინგაპური განვითარებული ქვეყანაა საბაზრო ეკონომიკითა და დაბალი გადასახადებით. ქვეყანაში დიდ როლს თამაშობს ტრანსნაციონალური კორპორაციები. ინვესტორებისთვის სინგაპური მიმზიდველია დაბალი გადასახადების გამო. სულ არის 5 გადასახადი. მხოლოდ 4 იმპორტულ საქონელზეა გადასახადია დაწესებული: ალკოჰოლურ სასმელზე, თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და ავტომობილებზე.

ქვეყანაში განვითარებულია ელექტრონული მრეწველობა, გემთმშენებლობა, საბანკო სფერო, ბიოტექნიკის წარმოება, ფარმაცევტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები. სინგაპური რეგიონში ყველაზე მძლავრი სავაჭრო სახელმწიფოა, მისი ყოველწლიური სავაჭრო ბრუნვა დაახლოებით 500 მლრდ აშშ დოლარია.

ეკონომიკის სწრაფი განვითარების გამო სინგაპურს „აღმოსავლეთი აზიის ვეფხვი" შეარქვეს.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი 161,9 მილიარდს შეადგენს** (44-ე), მოსახლეობის ერთ სულზე — 51 649 დოლარს.

**ვალუტა: სინგაპურული დოლარი.** 1 სინგაპურული დოლარი უდრის 0,74 აშშ დოლარს.

**ინტერნეტდომენი: sg.**
**სატელეფონო კოდი: + 65**
**საათობრივი სარტყელი: GMT+8**

## კულტურა

სინგაპურის კულტურაში შერწყმულია ჩინური, ბრიტანული, მალაიური და ინდური კულტურები.

სინგაპურული კულტურის კოსმოპოლიტურმა მიმართულებამ წარმოშვა მრავალენოვანი ლიტერატურა და ხელოვნების დარგები.

**ღირსშესანიშნაობები.** მუსიკალური შადრევნები, სინგაპურის დამაარსებელთა მუზეუმი, იშვიათი ქვებისა და ზღვის მუზეუმები. ოკეანერიუმი, ბაღი „ჰაუ პარ ვილა ტაიგერ ბალმ"-ი, ცვილის ფიგურების მუზეუმი, პეპლების პარკი — თავისუფლად მფრენი პეპლების უნიკალური კოლექცია, სინგაპურის ბოტანიკური ბაღი, ზოოპარკი და სხვ.



## სამზარეულო

სინგაპურული სამზარეულო მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა ჩინური, მალაიური, ინდონეზიური და ევროპული სამზარეულოების გავლენით. სინგაპურში საკვები ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ ქვეყანაში კვების კულტურას დიდ ყურადღებას აქცევენ და შესაბამისად შექმნილი აქვთ კიდეც „კვების სამოთხე".

სინგაპურში პოპულარულია სხვადასხვა ხალხის კერძები. მაგალითად, ჩინური — ქათამი ბრინჯთან ერთად, მალაიური — შემწვარი ხორცი არაქისის სოუსში, კიტრსა და ხახვთან ერთად, ინდური ბლინები და სხვ.

სინგაპურელთა საყვარელი სასმელია ლუდი, ჩაი რძით და, რა თქმა უნდა, კოქტეილები.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





## ინგრედიენტები (2 ულუფისთვის):

* მჭლე ხორცი (ღორის, საქონლის ან ქათმის ფილე) — 300 გრ.
* ბულგარული წიწაკა — 1 ც.
* მწვანე ლობიო — 500 გრ
* პომიდორი — 2 ც.
* ნიორი — 3 კბილი
* კოჭა (ფესვი) — 20 გრ
* სოიას სოუსი — 5 ჩ/კ
* მარილი — გემოვნების მიხედვით
* წიწაკა ჩილი (დაფქული ან წვრილად დაჭრილი) — გემოვნების მიხედვით.
* მცენარეული ზეთი — გემოვნების მიხედვით.

## შემწვარი ხორცი და მწვანე ლობიო

ეს კერძი, რომელიც ძალიან პოპულარულია სინგაპურში, გემრიელი და სასარგებლოა. კერძში შეგიძლიათ გამოიყენოთ ის ხორცი, რომელიც უფრო გიყვართ — საქონლის, ღორის ან ქათმის.

მომზადება:

1. ხორცის ნაჭერით, დაბეგვეთ და წვრილად დასერეთ, დაასხით სოიას სოუსი და ასე დატოვეთ 15 წუთის განმავლობაში.
2. მაღალკედლიან ტაფაზე დაასხით ზეთი და გააცხელეთ.
3. ტაფაზე გადაიტანეთ ხორცი და 5 წუთის განმავლობაში წვით (დროდადრო მოურიეთ).
4. ბულგარული წიწაკა წვრილად დაჭერით, დააყარეთ ხორცს და წვით კიდევ 3 წუთის განმავლობაში.
5. ხორცსა და ბულგარულ წიწაკას დაუმატეთ მწვანე ლობიო, აურიეთ და თავდახურულ ტაფაში მოშუშეთ 7-8 წთ-ის განმავლობაში.
6. ვიდრე ლობიო იშუშება, წვრილად დაჭერით (არ დაჭყლიტოთ) ნიორი, კოჭა და წიწაკა ჩილი (თუ გიყვართ ცხარე კერძები), პატარა კუბებად კი — პომიდვრები.
7. ტაფაზე გადაიტანეთ დაჭრილი ნიორი, კოჭა, პომიდორი, ჩილი და მოაყარეთ მარილი. კარგად აურიეთ და დაბალ ცეცხლზე დატოვეთ 5-7 წუთით.

შეგიძლიათ, სუფრაზე მიტანამდე კერძი მწვანილით მორთოთ.

**არ ღირს ყურადღების კონცენტრირება მხოლოდ პირველ შემხვედრ ავტომობილზე, აუცილებელია სიტუაციის სრულად შეფასება, ამიტომ თვალი ადევნეთ, პირველის გარდა, კიდევ 2-3 ავტომობილს. თუ ასე მოიქცევით, ავარიულ სიტუაციაში მზად იქნებით მკვეთრად დასამუხრუჭებლად ან მანევრისთვის.**

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რა არ უნდა გააკეთოთ საჭესთან ჯდომისას — რჩევები ახალბედა მძღოლებს

**მართვის მოწმობის აღებისთანავე ბევრი თავს სრულყოფილ მძღოლად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ, როცა საჭეს მიუჯდება, არაფერი შეეშლება. მაგრამ გზაზე მოძრაობისას ახალბედა მძღოლს გამოუცდელობის გამო ბევრი გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება შეემთხვეს. გთავაზობთ რჩევებს, რა არ უნდა გააკეთოს მძღოლმა, განსაკუთრებით — გამოუცდელმა, ავტომობილის მართვისას:**

**1.** არ ღირს ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ **პირველ შემხვედრ ავტომობილზე,** აუცილებელია სიტუაციის სრულად შეფასება, ამიტომ თვალი ადევნეთ, პირველის გარდა, კიდევ 2-3 ავტომობილს. თუ ასე მოიქცევით, ავარიულ სიტუაციაში მზად იქნებით მკვეთრად დასამუხრუჭებლად ან მანევრისთვის;

2. არასოდეს დაიწყოთ **სარეკლამო აბრებისა** და **ბანერების** წაკითხვა, თუნდაც ნელა მოძრაობდეთ. შეიძლება, ამ ჩვევამ ცუდი სამსახური გაგიწიოთ. ავტომობილის მართვისას, მაგალითად, ცივი სასმელის ძებნა, ყურადღებას გაგიფანტავთ და შეიძლება ავარიულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, ამიტომ ავტომობილისთვის შეიძინეთ მაცივარი და ცივი სასმელის ძებნა აღარ დაგჭირდებათ;

**3.** ნუ ჩართავთ **მაღალ ხმაზე მუსიკას**. გარდა იმისა, რომ ის ყურადღებას გაგიფანტავთ, შეიძლება ვერ გაიგონოთ სხვა ავტომობილის გამაფრთხილებელი სიგნალი, რომელიც თქვენ წინ ან უკან მოძრაობს;



4. ნუ მოწევთ **სიგარეტს** საჭესთან, თუნდაც ეს თქვენთვის ძნელი გადასატანი იყოს. სიგარეტის კვამლმა შეიძლება მოულოდნელად გააღიზიანოს თვალის გარსი და თქვენი მოგზაურობა ცუდად დასრულდეს;

**5.** რა თქმა უნდა, დაუშვებელია ავტომობილის მართვისას **მობილურ ტელეფონზე** ლაპარაკი. როგორი მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ზარი, არ ღირს, უპასუხოთ სპეციალური სალაპარაკო მოწყობილობის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტელეფონზე საუბარი გაცილებით ძვირი შეიძლება დაგიჯდეთ.

# ვინ ხართ თქვენ ცხოვრების ხომალდზე?

ტესტი

**ცხოვრებაში ჩვენ, ყველა, სხვადასხვანაირად ვიქცევით, იმის მიხედვით, როგორ გვესმის და აღვიქვამთ საკუთარ თავს და ცხოვრებას. ვიღაცას კაპიტნობა სურს, ვიღაცას კი... რა არის თქვენი მიზანი? სამი ვარიანტიდან (ა, ბ, გ) შეარჩიეთ ის, რომელიც ყველაზე მეტად გესადაგებათ.**



**1. ფიქრობთ, რომ ყველაფერზე, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა დაიკისროთ?**
**ა.** დიახ — 10 ქულა;
**ბ.** არა — 0;
**გ.** ძნელი სათქმელია — 5.

**2. ვინ არის დამნაშავე, როდესაც ადამიანი ალკოჰოლიკი ხდება?**
**ა.** ამ საკითხზე არ მიფიქრია — 5;
**ბ.** თვითონ — 10;
**გ.** ცხოვრება ასე აეწყო — 0.

**3. როგორ იქცევით, როდესაც კონფლიქტისა და უიღბლობის მიზეზებს აანალიზებთ?**
**ა.** ვეძებ, ვინ არის დამნაშავე — 0;
**ბ.** მიჭირს პასუხის გაცემა — 5;
**გ.** ჩემ საქციელსა და გადაწყვეტილებებში ვეძებ წარუმატებლობის მიზეზებს — 10.

**4. გსურთ, რომ ზოგიერთმა შეცვალოს თქვენდამი დამოკიდებულება?**
**ა.** არა — 10;
**ბ.** რა თქმა უნდა — 0;
**გ.** არ ვიცი — 5.

**5. ხშირად ამბობთ, რომ უიღბლო ხართ?**
**ა.** ზოგჯერ — 0;
**ბ.** იშვიათად — 5;
**გ.** არასოდეს — 10.

**6. ყველაზე ხშირად რა არის თქვენი აგრესიულობის მიზეზი?**
**ა.** მძიმე ხასიათი — 10;
**ბ.** არ ვიცი — 0;
**გ.** გარშემო მყოფი ადამიანები — 5.

**7. გსურთ, რომ გარშემო მყოფებმა ყურადღება არ მიაქციონ თქვენს ნაკლოვანებებს?**
**ა.** ამ საკითხზე არ მიფიქრია — 5;
**ბ.** არა — 10;
**გ.** ძალიან მინდა — 0.

**8. ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ადამიანი ყოველთვის ძლიერი უნდა იყოს?**
**ა.** მიჭირს პასუხის გაცემა — 5;
**ბ.** ასეთი ადამიანები არ არსებობენ — 0;
**გ.** ვეთანხმები — 10.

## დაითვალეთ ქულები:

**0-დან 15 ქულამდე:**
თქვენ ცხოვრების ხომალდზე მგზავრი ხართ, ადვილად ემორჩილებით გარემოებებს. უიღბლობასა და წარუმატებლობაში სხვებს ადანაშაულებთ. მიუხედავად ამისა, ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობა გაქვთ და სულაც არ აქცევთ ყურადღებას, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ თქვენდამი.

**16-დან 45 ქულამდე:**
მოგწონთ ცხოვრების ხომალდის მესაჭის როლი, გონიერი ხართ, წინდახედული და ალღოიანი. იმ სირთულეების შეფასებაში, რომლის წინაშეც აღმოჩნდებით ხოლმე, არ ცდებით. ადამიანებთან მშვიდობიანი ურთიერთობა გაქვთ, გესმით მათი. ამასთანავე, არ ეწინააღმდეგებით საკუთარ თავს.

**46-დან 80 ქულამდე:**
ცხოვრების ხომალდის კაპიტანი ხართ. თვლით, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაიკისროთ ყველაფერზე, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება. არ გეშინიათ სირთულეების, მიზანმიმართული და პრაქტიკული ხართ, ემოციებსა და გრძნობებს კი საგულდაგულოდ მალავთ. აი თქვენი მთავარი თვისებები.

# როგორ ავარჩიოთ საზამთრო

**ერთი შეხედვით ყველა საზამთრო ერთნაირია, მაგრამ არის რამდენიმე ნიუანსი, რომლებიც საზამთროს შეძენისას უნდა გავითვალისწინოთ.**

## მწიფე და გემრიელი საზამთროს გარეგნული ნიშნები:




**საზამთრო მავნეა მათთვის, ვისაც აქვს:**

***დიაბეტი; *წინამდებარე ჯირკვლის ადენომა; *შარდსადინარი გზების ანომალიები; *კენჭები თირკმელებში.**

საზამთრო, აგრეთვე, რეკომენდებული არ არის, თუ ადამიანს აქვს:

**კოლიტი, დიარეა** ან **დისბაქტერიოზი; ათეროსკლეროზი; გულის დაავადება.**

მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ არ შევიძინოთ **ადრე მოწეული** საზამთროები, რადგან ისინი სწრაფი დამწიფების მიზნით ნიტრატებით არის გაჯერებული, რაც შეიძლება მოწამვლის მიზეზი გახდეს.

არ შეიძინოთ საზამთრო საავტომობილო **გზის პირას!** ეს ბაღჩეული მცენარე სწრაფად იწოვს მძიმე ლითონებს, რომლებიც ავტომობილის გამონაბოლქვშია. **თუ საზამთროს ყუნწი არ აქვს, სჯობს, არ იყიდოთ.**



ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**16 ივლისს ახალმთვარეობაა — რთული პერიოდი მგრძნობიარე ადამიანებისთვის. ემოციებისგან თავშეუკავებლობის გამო შეიძლება მცირე უთანხმოება მწვავე კონფლიქტში გადაიზარდოს. კარგი პერიოდია კუროს, სასწორისა და თევზების ნიშნით დაბადებულთათვის.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**15 - 21 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

პრობლემების მოგვარების გზების ძიებისას მხოლოდ საკუთარ თავს ნუ ენდობით და ოჯახის წევრების თვალსაზრისიც გაითვალისწინეთ.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც ხელს შეგიწყობთ კარიერის კიბეზე აღმასვლაში.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავშეკავება გამოიჩინეთ და მისი მოთხოვნებიც გაითვალისწინეთ.

ნუ მიეძალებით ალკოჰოლურ სასმელს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 16 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივლისი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

კარგი პერიოდია საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად. გაერკვიეთ თქვენს გრძნობებსა და მისწრაფებაში, შეისწავლეთ ფსიქოლოგია და ფილოსოფია. მუხლჩაუხრელი შრომით შეიძლება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ოჯახური ცხოვრება კმაყოფილებასა და ბედნიერებას მოგგვრით და შეძლებთ, დაინახოთ თქვენი შვილების შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ყურადღება მიაქციეთ ღვიძლს, რადგან მაღალია ამ ორგანოს ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 16 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივლისი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ღრუბლებიდან დაეშვით და მეტი იზრუნეთ მიწიერი საკითხების, საქმეების, მოგვარებაზე, რომლებიც დაკავშირებულია უძრავ-მოძრავ ქონებასთან.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ხელშეკრულებაზე ან რომელიმე იურიდიულ დოკუმენტზე ხელმოწერისას.

მოგიწევთ შეხვედრა ნათესავებთან, რომლებსაც თქვენი რჩევა ან დახმარება შეიძლება დასჭირდეთ.

უფრო მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში და შეეცადეთ, შეასრულოთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივლისი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

სამსახურში შეიძლება გაგიმწვავდეთ ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან, რომელსაც თქვენ მიმართ ბევრი უარყოფითი დაუგროვდა. ღირსეულად გადაიტანეთ ეს დაპირისპირება და მომავალში ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც თქვენ გსურთ.

თქვენი ფინანსური მდგომარეობა ახლა სტაბილურია, მაგრამ, თუ გასავლებს არ შეზღუდავთ, ვალის აღება მოგიწევთ.

თუ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი შეგექმნებათ, არ ინერვიულოთ — რამდენიმე დღეში ურთიერთობა თავის კალაპოტში ჩადგება.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, ფიზიკური დატვირთვა, ვარჯიში თქვენს ნერვულ სისტემაზე დადებითად იმოქმედებს.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

სწორი გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდებათ. ემოციებს თუ არ მოთოკავთ და წინდაუხედავად იმოქმედებთ, დაუშვებთ შეცდომას, რომლის გამოსწორებაც ადვილი არ იქნება. თუ ყველა დეტალს წინასწარ განჭვრეტთ, წარმატება არ დააყოვნებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ნუ იქნებით პრეტენზიული, პრობლემების მოგვარებას ერთობლივი ძალებით შეეცადეთ.

თავი მოარიდეთ მზის მწველ სხივებს და ჩაიტარეთ კანის გამაჯანსაღებელი პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივლისი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

მნიშვნელოვანი პერიოდია, თუმცა ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება ვერც გააცნობიეროთ. დადგებით დილემის წინაშე — თუ ერთს აირჩევთ, მეორეს დაკარგავთ, ან პირიქით. ეს არჩევანი შეიძლება შეეხებოდეს სამსახურებრივ სფეროს ან სასიყვარულო ურთიერთობას. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ინტუიცია დაგეხმარებათ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ახლობლებს, განსაკუთრებით — ბავშვებს.

შეეცადეთ, რაციონში შეამციროთ შაქრის რაოდენობა, ეს თქვენი კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობას გააუმჯობესებს.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

გაგიმართლებთ ფინანსურ საქმეებში. გაბედულად დადეთ კომერციული გარიგებები, თუმცა მყისიერ წარმატებას, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, არ უნდა ელოდოთ. შემოსავლები მოგვიანებით მოიმატებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივი და ფინანსური პრობლემების მოგვარებას დიდი დრო და ენერგია დასჭირდება, ახლობლები არ უნდა დაივიწყოთ, განსაკუთრებით — ოჯახის ხანდაზმული წევრები.

დაიცავით კვების რეჟიმი და რაციონში შეამცირეთ ცხიმიანი საკვები.

**დადებითი დღე: 16 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივლისი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

თუ ძალაუფლება ხელში ჩაგივარდებათ, შეიძლება მის გამოყენებას არასწორი გზით შეეცადოთ. ნუ მიმართავთ ძალისხმევას მხოლოდ თქვენი კეთილდღეობისკენ, გახსოვდეთ, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც თქვენი მხარში ამოდგომა სჭირდებათ.

ოჯახში თანხმობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო დაისადგურებს, რადგან თქვენ მიმართ მზრუნველობას გამოიჩენენ და ეს სიხარულს მოგგვრით.

თუ ფარისებრი ჯირკვლები გაწუხებთ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივლისი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ახლა ყველაფერი თქვენს ხელთაა და, თუ მართებულ გადაწყვეტილებებს მიიღებთ, წარმატებები არ დააყოვნებს.

ყურადღებით გააანალიზეთ ხელშეკრულებები, რომლების დადებასაც აპირებთ, რადგან დიდია ალბათობა, რომ თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუმცა შესაძლოა მცირე უთანხმოება საოჯახო ბიუჯეტის ხარჯვაზე.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

პროფესიულ სფეროში მდგომარეობის გასამყარებლად, აგრეთვე, მომავალი წარმატებებისთვის საფუძვლის შესაქმნელად ურთიერთობები უნდა დაამყაროთ საჭირო ადამიანებთან.

იაქტიურეთ და გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ!

შესაძლოა, ურთიერთობა გაგიფუჭდეთ ნათესავებთან ან შვილებთან. ვითარება კიდევ უფრო რომ არ გამწვავდეს, შეეცადეთ, კომპრომისული გადაწყვეტილებები მიიღოთ.

თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, შეცვალეთ მუშაობის გრაფიკი და შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გარდაუვალია.

**დადებითი დღე: 20 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივლისი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

მოვლენები, რომლებიც გაფორიაქებდათ, წარსულში დარჩა. ახლა ემოციური წონასწორობა აღდგენილია და რაღაცის შეცვლა საჭირო არ არის. მოგეცემათ თქვენი უნარების სრულად გამოვლენის შესაძლებლობა და წარმატებასაც მიაღწევთ, ოღონდ ყველა ახალი წამოწყების განხორციელებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს, იზრუნეთ მათი პრობლემების მოგვარებაზე.

ახლა მაღალია ღვიძლისა და თირკმლების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივლისი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

ამ პერიოდში თქვენი ემოციური მდგომარეობა გამოსწორდება და სტაბილური გახდება. ახლა თქვენ ძალიან გჭირდებათ სიმშვიდე და კეთილდღეობა, სრულფასოვანი დასვენება და ძალების აღდგენა, ამიტომ აიღეთ შვებულება და სადმე გაემგზავრეთ.

თუ უთანხმოება წარმოგექმნებათ საყვარელ ადამიანთან, ურთიერთობას კიდევ უფრო ნუ დაძაბავთ, სჯობს, ყურადღებით მოუსმინოთ და მოთხოვნები გაითვალისწინოთ.

ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 17 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 21 ივლისი.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. სიდიდით მესამე ქალაქი ბულგარეთში
2. ყვავილი
3. სამშობლოს მონატრება
4. უარყოფითი მოვლენების დაუზოგავი გაკიცხვა
5. იტალიელი დიზაინერი
6. მომღერალი ... მატიე
7. საქიდარო ხალიჩა
8. მწერალი ... ბრედბერი
9. მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მქონე
10. მდინარე აღმ. საქართველოში
11. მახრჩობელა გველი
12. იაპონური ტრადიციული სამოსი
13. მსახიობი ... ბოლდუინი
14. მამაკაცის სასიმღერო ხმა
15. დიდი თანამდებობის პირი
16. ... გეიტსი
17. თევზი ორაგულისებრთა ოჯახისა
18. მაღალი, უნაყოფო ხე
19. „უსიყვარულოდ მზე ... სუფევს ცის კამარაზე"
20. იგივეა, რაც ფუთა
21. ამობურცული მებრძე
22. ხაჭაპური
23. თბილისური ფარგონი
24. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული მზის სხივი
25. მოკრივე მუჰამედ ...
26. „ჩელსის" ბრაზილიელი ლეგიონერი
27. თეთრი გაუმჭვირვალე ლაქა რქოვანაზე
28. კარადა ძვირფასეულობის შესანახად
29. აღმ. საბრძოლო ხელოვნების ოსტატი ბრუს ...
30. ძველ თბილისში ხელზე მოვაჭრე
31. შარვლის სამაგრი
32. გრამატიკული ნაწილაკი
33. დიდი ნემსი
34. ქვეყანა აფრიკაში
35. „... კარენინა"
36. მთის ნაწვეტებული ნაწილი
37. რკინიგზაზე დაყრილი ღორღი, ხრეში
38. მეძახილი ქართული ცეკვის დროს
39. სოფელი სიღნაღის რაიონში
40. ცხვრების წინამძღოლი
41. არწივის ბარტყი
42. ხეობა პირიქითა ხევსურეთში
43. მიმართვა იტალიელი მამაკაცისადმი
44. ფასის დადება, შეფასება
45. ჩინეთის უდიდესი ქალაქი
46. მწერალი არტურ ... დოილი
47. ... ჭავჭავაძე
48. რეგულარული შემოსავალი
49. 2014 წლის ოსკაროსანი ფილმი
50. ბრიტანეთის ძვ. სახელწოდება
51. ადგილი აზარტული თამაშებისთვის
52. ბურთის შეგდება კარში
53. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი
54. მუს. ნოტი
55. პარფიუმერული ფირმა
56. ცხარე საწებელი
57. გარეული ცხოველი





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ესარის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | | 7 | | 3 | |
| | | 7 | | | 8 | | | |
| | | 9 | | | 3 | | | |
| 5 | | 1 | 9 | | | | | 3 |
| | 8 | 3 | | | | 2 | 1 | |
| 7 | | | | | 2 | 9 | | 5 |
| | | | 8 | | | 6 | | |
| | | | 2 | | | 5 | | |
| | 4 | | 6 | | | | | 9 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | | | | | 1 |
| 8 | | 1 | 3 | | | | | |
| 5 | 4 | | | | 8 | | 3 | |
| | 1 | 8 | | | 7 | | | 5 |
| 9 | | | | | | | | 7 |
| 3 | | | 2 | | | 6 | 8 | |
| | 9 | | 8 | | | | 7 | 2 |
| | | | | | 1 | 9 | | 3 |
| 1 | | | | | 5 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 6 | | 9 | 5 | | |
| | | 9 | | | | | 8 | |
| | | | 8 | | | 2 | | |
| 5 | | 3 | | 9 | | | 6 | |
| | 9 | 7 | | | | 4 | 3 | |
| | 8 | | | 4 | | 9 | | 1 |
| | | 4 | | | 3 | | | |
| | 7 | | | | | 6 | | |
| | | 5 | 1 | | 4 | | 7 | |

# შტანგა სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე...

**ფიზიკური აღზრდა აღზრდის საერთო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობის საერთო ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფას და გულისხმობს შრომისუნარიანობის ოპტიმალური დონის მიღწევას, რათა სკოლის კურსდამთავრებულნი მზად იყვნენ, როგორც შრომითი საქმიანობისთვის, ასევე, თუ საჭირო შეიქნება, სამშობლოს დასაცავად.**



საერთო ფიზიკური მომზადება გამოიხატება ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების (ფიზიკური თვისებები) — ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, სიმარჯვისა და მოქნილობის გამოვლენაში. ამ თვისებების განვითარება კი ხორციელდება ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამაში შეტანილი შესაბამისი ფიზიკური ვარჯიშების დაუფლებით. აქ ჩამოთვლილი ხუთი ფიზიკური თვისებიდან ძალა ერთ-ერთია, რომლის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ სხვა ფიზიკური თვისებების განვითარება, არამედ შრომითი მოქმედების განხორციელება და სპორტული მოღვაწეობა.

მიუხედავად ძალის ასეთი მნიშვნელობისა **ფიზიკური აღზრდის ადრე არსებულ სასკოლო პროგრამებში, არაფერს ვამბობთ ამჟამად მოქმედ სასკოლო ფიზიკური აღზრდის პროგრამა „გზამკვლევზე“, ძალის გასავითარებლად შეტანილი სავარჯიშოების რაოდენობა ისეთი მცირეა, რომ ვერ უზრუნველყოფს ძალის საჭირო დონეზე განვითარებას. არადა, სპეციალური ძალისმიერი ვარჯიშების ფიზიკური აღზრდის სასკოლო გაკვეთილებზე გამოყენების პრაქტიკა, დიდი ხანია, არსებობს, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში.**

უნდა ითქვას, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე სპეციალური ძალისმიერი ვარჯიშების გამოყენებას ხელს უშლიდა და, სამწუხაროდ, დღესაც უშლის ხალხში საკმაოდ მყარად დამკვიდრებული მცდარი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ადრეულ ასაკში (სკოლაში) ძალოსნობაში ვარჯიში თითქოს აფერხებს სიმაღლის მატებას და ადამიანს ადაბლებს კიდეც. ძალოსნობის მიმართ ასეთი მცდარი, ღიმილის მომგვრელი თვალსაზრისი უარყოფილი იქნა მეცნიერული გამოკვლევებით (გ.შ. კოვალი, ვ.ი. ილინი, ვ.ს. კაპიტონოვი, ვ.ს. სალდატოვი, კ.პ. ჩერნოვი, გ.გ. გონჩაროვი, ნ.ი. კურაჩენკოვი, ბ.ე. პოდსკოცკი, შ. ბუაძე და სხვ.). დღეს ეჭვს არ იწვევს ის ვერსია, რომ ადამიანის სიმაღლის მატება დამოკიდებულია არა იმაზე, რა ფიზიკურ საქმიანობას ეწევა იგი ან სპორტის რომელ სახეობაში ივარჯიშებს — კალათბურთში, ცურვაში, ძალოსნობაში და ა.შ., არამედ, პირველ რიგში, განპირობებულია გენეტიკური ფაქტორით, ხოლო შემდეგ — სოციალური და სხვა ფაქტორებით. დღეს ძალოსნებს შორის არიან ისეთი სიმაღლის სპორტსმენები, რომლებსაც კალათბურთშიც შეეძლოთ წარმატების მიღწევა. ამჟამად ძალოსნობაში ტარდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები 14-17 წლის ძალოსნებს შორის. ამ წლოვანების ახალგაზრდა ძალოსნები სარეკორდო შედეგებს აღწევენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში პრაქტიკამ გაუსწრო მეცნიერებას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე სპორტში, მათ შორის, ძალოსნობაშიც, ექსტრაკლასის შედეგების (ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონობა) მისაღწევად საშუალოდ 8-10 წლის განმავლობაში რეგულარული წვრთნაა საჭირო, მაშინ მომავალმა ოლიმპიურმა თუ მსოფლიო ჩემპიონმა სპეციალიზებული ვარჯიში 6-7 წლიდან უნდა დაიწყოს.

ჩვენ ამ საკითხით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დავინტერესდით, ჩავატარეთ მეცნიერული გამოკვლევები სკოლის ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე სპეციალური — ძალისმიერი ვარჯიშების გამოყენების შესაძლებლობების დადგენის მიზნით. კვლევა ტარდებოდა თბილისის საშუალო სკოლების ბაზებზე. ამ საკითხის შესწავლას სიფრთხილით მივუდექით და გამოკვლევა V-VI-VII კლასების ვაჟებიდან დავიწყეთ. საცდელი მეცადინეობები ტარდებოდა ჩვენ მიერ შედგენილი მეთოდით, რომლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ საცდელი კლასების ბავშვებს გაკვეთილის ძირითად ნაწილში ეძლეოდათ ძალისმიერი სავარჯიშოების სპეციალური კომპლექსი, ხოლო საკონტროლო კლასის მოსწავლეებს გაკვეთილი უტარდებოდათ ჩვეულებრივი პროგრამით ძალისმიერი სავარჯიშოების კომპლექსის გამოყენების გარეშე. ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენა, რომ, სატესტო მაჩვენებლების ყველა პარამეტრების მიხედვით, საცდელი ჯგუფების მონაცემები უკეთესი იყო, ვიდრე საკონტროლოსი. ჯანმრთელობის მდგომარეობაში რაიმე უარყოფითი გადახრა არ აღინიშნულა. **ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა სხვა ავტორების მონაცემები, რომ სასკოლო ასაკის ბავშვებთან, ჩვენ შემთხვევაში V-VI-VII კლასების (11-14 წლის) ვაჟებთან ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე სპეციალური ძალისმიერი ვარჯიშების გამოყენება დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა საერთო ფიზიკურ მომზადებაზე, რაც მთავარია, ამ წლოვანების ბავშვთა სიმაღლეში ზრდას არ აფერხებს.**

მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე სპეციალური ძალისმიერი ვარჯიშების გამოყენებისას იზრდება გაკვეთილის ინტენსიურობა და შესაბამისად — ფიზიკური დატვირთვა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ეფექტიანად ჩასატარებლად.

კვლევის შედეგები და ძალოსნური სპორტის თანამედროვე პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა, განათლების სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის V-VI-VII კლასების ვაჟებთან ფიზიკური აღზრდის პროგრამაში, სხვა სავარჯიშოებთან ერთად, შეტანილ იქნას სპეციალური ძალისმიერი სავარჯიშოები (შტანგით). იგი ხასიათდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარების მარტივი მეთოდიკით, არ საჭიროებს ძვირად ღირებულ სპორტულ იარაღსა და დიდ ფართობს, საგრძნობლად ზრდის გაკვეთილის ხარისხობრივ მხარეს და მისი სკოლაში დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის ძალოსნური სპორტის მასობრიობას საქართველოში.

**შოთა ბუაძე,**
**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**



## ვალერი ხაბურძანია: ვაღიარებ, კანონი დავარღვიე, ჩავერიე და გია გეწაძე პარლამენტში შევიყვანე!

**„ახლა ვაღიარებ: მე ლომის წილი მიმიძღვის გია გეწაძის გადეპუტატებაში“, — განუცხადა ვალერი ხაბურძანიამ „კვირის ქრონიკას“. უშიშროების ყოფილი მინისტრი აღიარებს, რომ კანონი დაარღვია.**

**„ვაღიარებ, კანონი დავარღვიე, ჩავერიე და გია გეწაძე შევიდა პარლამენტში. ამის შემდეგ შეიქმნა მისი „წარმატებული“ პოლიტიკური კარიერა და გლდანის ოროთახიანიდან გახდა მილიონერი. თავს ვარიდებდი მის შეფასებებს ჩვენი წარსული ურთიერთობების გამო, მაგრამ მისმა თავხედურმა ცინიზმმა აპოგეას მიაღწია, არა იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს, უბრალოდ, თვითონაა აფერისტობის, ქლესობისა და ხელისბიჭობის ეტალონი. ბოლოს იმერეთის გუბერნატორი იყო. ამის შემდეგ აღმოჩნდა მიშას ძმის, დავით სააკაშვილის, ჯგუფში და უცებ გახდა მილიონერი. გეწაძე ვითომ წავიდა ხელისუფლებიდან, სინამდვილეში სასათბურე პირობები ჰქონდა შექმნილი, ჯერ იყო მეწილე კაზინო „აჭარაში“, ჰქონდა რამდენიმემილიონიანი წილი, მერე გაყიდა და ახლა დავით სააკაშვილის თხოვნით, მიშამ წაიყვანა უკრაინაში“,** — განაცხადა ხაბურძანიამ.

## რუმინეთის პრემიერს თაღლითობაში, გადასახადებისგან თავის არიდებასა და ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ

**რუმინეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ პონტას ქვეყნის პროკურატურამ ბრალი დასდო თაღლითობაში, გადასახადებისგან თავის არიდებასა და ფულის გათეთრებაში.**

კორუფციული დანაშაული, რომელშიც რუმინეთის პრემიერია ეჭვმიტანილი, 2007-2008 წლებში მოხდა, როცა ვიქტორ პონტა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის იურისტი იყო. ვიქტორ პონტა ბრალდებებს უარყოფს.

ივნისის დასაწყისში რუმინეთის პრეზიდენტმა კლაუს იოჰანისმა ვიქტორ პონტას კორუფციული სკანდალის გამო თანამდებობიდან გადადგომა მოსთხოვა.

## 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ფოტოებზე:. ნატო ვაჩნაძე; სფინქსი; ჩარლი ჩაპლინი.
1. ვარნა; 2. ია; 3. ნოსტალგია; 4. სატირა; 5. არმანი; 6. მირეი; 7. ტატამი; 8. რეი; 9. ოლიგარქი; 10. იორი; 11. ბოა; 12. კიმონო; 13. ალეკ; 14. ტენორი; 15. ბობოლა; 16. ბილ; 17. კალმახი; 18. ალვა; 19. არ; 20. ბოხჩა; 21. კოპი; 22. აჩმა; 23. ტო; 24. ათინათი; 25. ალი; 26. ნათანი; 27. ლიბრი; 28. სეიფი; 29. ლი; 30. კინტო; 31. ქამარი; 32. ან; 33. მახათი; 34. ეგვიპტე; 35. ანა; 36. პიკი; 37. ბალასტი; 38. ასა; 39. ანაგა; 40. ყოჩი; 41. მართვე; 42. არხოტი; 43. სინიორ; 44. ტარიფი; 45. შანხაი; 46. კონან; 47. ილია; 48. რენტა; 49. იდა; 50. ალბიონი; 51. ტოტალიზატორი; 52. გოლი; 53. იზა; 54. ლა; 55. ნივეა; 56. აჯიკა; 57. ირემი.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 7 | 5 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 3 | 8 | 5 | 7 |
| 5 | 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 9 | 8 | 3 | 7 | 5 | 6 | 2 | 1 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 3 | 9 | 2 | 8 | 4 | 5 | 6 | 7 | 1 |
| 1 | 7 | 6 | 2 | 3 | 9 | 5 | 4 | 8 |
| 8 | 4 | 5 | 6 | 7 | 1 | 3 | 2 | 9 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 9 | 4 | 5 | 6 | 8 | 2 | 1 |
| 8 | 6 | 1 | 3 | 7 | 2 | 5 | 4 | 9 |
| 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 |
| 4 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 2 | 9 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3 | 5 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 8 | 4 |
| 6 | 9 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 7 | 2 |
| 2 | 8 | 4 | 7 | 6 | 1 | 9 | 5 | 3 |
| 1 | 7 | 3 | 9 | 2 | 5 | 4 | 6 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 | 7 | 6 | 8 |
| 1 | 9 | 7 | 5 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 8 | 6 | 3 | 4 | 7 | 9 | 5 | 1 |
| 9 | 1 | 4 | 7 | 6 | 3 | 8 | 2 | 5 |
| 3 | 7 | 2 | 9 | 5 | 8 | 6 | 1 | 4 |
| 8 | 6 | 5 | 1 | 2 | 4 | 3 | 7 | 9 |

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894